

9 772298 095006



საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

ქრიჭი

ფასი 3 ლარი

1134
2023 №1



2023
1 (309)

ბიორბი რუთლაშვილი

*ერთ მეტაფორაში
ორჯერ ვერ შეხვალ*

სარჩევი

ხსოვნა	1	გიორგი ჩუთლაშვილის ხსოვნას მოამზადა თაკო წულაია
პოეზია	6	ლელა სამნიაშვილი
	9	ნატალი აბესაძე
თარგმნილი პოეზია	11	უოლეს სტივენსი შაშვზე დაკვირვების ცამეტი ხერხი ინგლისურიდან თარგმნა მარიამ მჭედლიძემ თარგმანის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი მანანა მათიაშვილი
	13	ჩარლზ ბერნსტაინი ლექსები ინგლისურიდან თარგმნა და შესავალი დაურთო ინგა ულენტმა
პროზა	15	ცოტნე ავსაჯანიშვილი ტყაშმაფები
	21	ლევან სებისკვერაძე აპრილის საბანი
თარგმნილი პროზა	25	ტესა ჰადლი დაკრძალვის შემდეგ ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ
	35	კურტ ტუხოლსკი ცოლ-ქმარი ანეკდოტს ჰყვება გერმანულიდან თარგმნა ნათია მეჩიტაშვილმა
დიალოგი	37	ინტერვიუ კატია ვოლტერსთან - ენდეთ "მგრძნობიარე მთხრობელს" ესაუბრა თაკო წულაია
კინო	43	იონას მეკასი ლიეტუვაში მოგზაურობის რემინისცენციები თარგმნეს და შესავალი დაურთეს ნინი შველიძემ და ლიკა გლურჯიძემ
კრიტიკა	47	დავით გაბუნია ვისწავლოთ მეგრული და სვანური (ოლონდ - მართლა)

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია,
ლექსო დორეული,
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამალალობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,
ზურაბ კიკნაძე, ვასილ მალაფერძიძე,
ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი,
ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე,
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე,
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.



არილი - დასასვენებელი სინამდობა

სულხან-საბა

არილი - მზის შუძი, რამეზე დამდგარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის
მარილი

ხალხური



ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

AriliMagazine

გამოდის 1993 წლიდან

© ყურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ყურნალი გამოდის
საქართველოს კულტურის,
სპორტისა და ახალგაზრდობის
სამინისტროს ფინანსური
მხარდაჭერით



გიორგი ჩუთლაშვილის ხსოვნას

მოამზადა თაკო ნულაიამ



ინა არჩუაშვილი

**“შუადღე მშვიდობისა,
ძვირფასო მეგობარო!”**

და მინდა მეგონოს, რომ არ შემშლია სააქაო, და
მინდა მჯეროდეს, რომ საიქიოც არ შემეშლება...
გიორგი ჩუთლაშვილი

* * *

გიორგის გარდაცვალების ამბავი რომ გავიგე,
მთელი ის დღეები ერთადერთი აზრი მიტრიალებ-
და თავში: “არილს” რომ ისევე “ისეთი რედაქცია”
ჰქონოდა, ისეთი სიმყუდროვით, თანაგრძნობით
სავსე თუნდაც ერთი პატარა ოთახი, სადაც ყო-
ველთვის შეგეძლო მისვლა, ამოსუნთქვა, სიტყვის
გაცვლა, იქნებ გიორგი ცოცხალი ყოფილიყო-მეთ-
ქი. სამწუხაროდ, მხოლოდ ასეთ დროს ფიქრობ,
რომ საუკუნემ, რომელმაც უზარმაზარი შესაძ-
ლებლობები მოგვცა, ყველაფერი ელექტრონუ-
ლად შეგვიფუთა, შრომა შეგვიმსუბუქა, დრო გა-
მოგვითავისუფლა და დიდი მსხვერპლიც მოითხო-
ვა ჩვენგან.

* * *

“შუადღე მშვიდობისა, ძვირფასო მეგობარო! 4
ახალი ლექსი მაქვს, იქნებ ჩემი დებიუტი შედგეს
“არილში”. უბედნიერესი ვიქნები. მადლობა.”

18 აპრილი, 2017 წელი, გიორგი ჩუთლაშვილის
პირველი პუბლიკაცია “არილში”.

“შუადღემშვიდობისა, ჩემო მეგობარო!
ამ დღეებში 3-4 ლექსს გამოგიგზავნი, იქნებ კი-
დეგ მივამატო და გამოდგეს დასაბეჭდად.”

2018 წელი, მარტი, გიორგი ჩუთლაშვილის მეო-
რე პუბლიკაცია “არილში”.

“მეგობარო, დღე მშვიდობისა, მალხაზმა ლექ-
სები გადავიტანე უკვე ჩემთან, ვერ გეტყვი, რო-
გორ გამახარეთ.

გიორგი ჩუთლაშვილი, 15 ოქტომბერი, 2019.

2020 წელს “არილის” მხოლოდ 6 ნომერი დაფი-
ნანდა, 3 უკვე გამოცემული გვექონდა, სამი გამზა-
დებული, როცა მოგვწერა. ვერ დავბეჭდეთ და ძა-
ლიან განვიცადეთ. მერე შადიმან შამანაძემ დაბეჭ-
და “ელექტროლიტი”.

უხერხულად ვგრძნობდით თავს მისი დაუსრუ-
ლებელი მადლობებით, ლოცვებით, რომლებშიც არ-





ცერთი სიტყვა არასოდეს ყოფილა ყალბი.

არავის არ ჰგავდა თავისი თაობის მწერლები-დან, საშინლად მორცხვი იყო, ლამის აუტანლად მოსიყვარულე და გულის გახეთქვამდე ალალი.

* * *

2021 წლიდან ყველა სანუხარს “თავი მოხსნა” და ახლობლებთანაც და სოციალურ ქსელშიც ღიად ალაპარაკდა:

“ცარიელი ვარ, ვერც ქრისტეს ვპოულობ, ვერც ადამიანები შევიყვარე!”

“სამსახურს ვეძებ.”

“ყველაფერი ჩამომენგრა თავზე.”

“ბარში ვიმუშავე 4 წელი მზარეულად, მექსიკურ სენდვიჩებს, ფრის და რაღაცეებს ვაკეთებდი, კერამიკის ცეხში მთავარ ჩამომსხმელად ვიმუშავე. ბოლოს შინდისში, მძიმე საქმეებზე...”

“სამსახურს ვეძებ გიჟივით.”

“ვსვამ 3-ლარიან ჭაჭას, რომელიც მეზიზღება.”

“მონასტერში წავალ, აქ შვებას ველარ ვპოულობ.”

“იქნებ ვინმემ დამასაქმოს...”

“არაფერი გამომდის...”

“მეგობრებს რაც შეეხება...?”

გასული წლის 19 თებერვალს ჰქონდა თავისი მეორე ნიგნის, “მშრალი თევზის წონასწორობის” პრეზენტაცია. დიდ იმედებს ამყარებდა ამ ნიგნზე. არ ვიცი, რას ელოდა. გადაჭარბებული წარმოდგენა არასოდეს ჰქონია თავის ლექსებზე. პირიქით, სულ დაეჭვებული იყო და სხვების აზრი ყოველთვის აინტერესებდა.

* * *

ის უონგლიორი არ იყო, ცხოვრებით თამაში არ შეეძლო, ამიტომაც ვერ დაუძვრა ყველაზე მთავარ საფრთხეს და “წონასწორობა” დაკარგა. ვერ დაიც-

ვა “ბალანსი”, არ ეყო გამოცდილება, არც ძალა და გამბედაობა, არც საყვარელი ქალი, არც მეგობრები... და, გულწრფელი რომ ვიყო, არც ის მცირე ჰონორარი, რომლითაც თავი უნდა გაეტანა.

გიორგი კარგად აკეთებდა იმას, რაც იცოდა. პოეტის ალღოს მისთვის არასოდეს უღალატია. იმას, რასაც ცხოვრობდა, იმ ყველაფერს, რასაც ხედავდა და გრძნობდა, თავის მტკივან, თოთო გულში ხარშავდა და მერე თითქმის მუდამ უიმედო, და თურმე, როგორც ბოლოს აღმოჩნდა, წინასწარმეტყველურ სტრიქონებად აქცევდა. მწარე რეალობაა, რომ ქვა კი არა, თავისივე სიტყვა დაენია აღმართზე მიმავალ უიღბლო (ნაქცეულ) პოეტს.

აღმართი ავიარეთ მის პატარა სახლში მისასვლელადაც, რომელიც გარეუბანში, გორაკზე იდგა და მალევე ისევ დიდ ქალაქში, დიდი ქაოსისა და გულგრილობისკენ დავეშვით, რომელიც პოეტი ბიჭის სიკვდილის ხმას დაუნანებლად ახშობდა თავისი ჩვეული ხმაურით.

უფრო დიდი და სასტიკი ქალაქებიც არსებობს, მაგრამ გიორგის ჩასაყლაპად ეს ქალაქი, ეს სივრცე და საუკუნეც საკმარისი აღმოჩნდა.

კულტურის სანიტარი გიორგი ბუნდოვანი

“მის თითოეულ ლექსში თვითონაა ჩაბუდებული, მათში ცოცხლობს და იქიდან გვესაუბრება”

ჩემს უმცროს ძმასთან და მეგობართან, კოლეგასთან, არაჩვეულებრივ პოეტთან, სამწუხაროდ, მხოლოდ 5 თვის მეგობრობა მაკავშირებდა, მიუხედავად იმისა, რომ 10-12 წლის წინ ჩემს არტისტულ და პოეტურ საღამოებს ესწრებოდა. მაშინ ახლოს მოსვლა და გაცნობა მორიდებია, თავად მითხრა,

როცა დავმეგობრდით და ადრე, ჩემს სალამოებზე გადაღებული ფოტოებიც მაჩვენა.

პიროვნულად უაღრესად კეთილშობილი, კეთილგანწყობილი, ხალასი ადამიანი გახლდათ, სულ მოღიბარი. ყოველთვის სიყვარულს გამოხატავდა, სიტბოს გაზიარება უნდოდა მუდამ. ეს იშვიათი თვისებებია ადამიანში.

იყო ძალიან ალალი და ძალიან გულჩათხრობილიც, რაც გარეგნულად არ ჩანდა. არცერთ საკითხზე არ შეეძლო ზერელედ და ზედაპირულად ელაპარაკა. გულსა და სულს აყოლებდა ყველა თემას, უხსტად ამან მიმიზიდა მასში, როგორც ადამიანში.

ეს 5 თვე აბსოლუტურად საკმარისი იყო იმისთვის, რომ ერთმანეთი შეგვეცნო და რალაცნაირად თითქოს ერთ საუკუნეს უდრიდა. არის ურთიერთობები, რომლებიც დროისა და სივრცის მიღმა იზომება.

რაც შეეხება მის პოეზიას, როგორც ბოლოსიტყვაობის ავტორი, პოეტი პაატა შამუგია ამბობს, ეს კრებული ძირითადად აღსარებითია და ვეთანხმები ამაში. როცა მწერლების ბარში გიორგის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მისი წიგნის - "მშრალი თევზის წონასწორობა" რეპრეზენტაცია ჩატარდა, აღვნიშნე, რომ ჩემთვის, როგორც პოეტისთვის და ხელოვანისთვის, ზოგადად, პოეტის შეფასების კრიტერიუმი არის ძალიან მარტივი: არ ვაფასებ პოეტს სტროფების რაფინირებით, რითმების ორიგინალურობით, მეტაფორების, მხატვრული სახეების სიუხვით (თუმცა ეს ყველაფერი პოეზიაში ძალიან მნიშვნელოვანია, პოეტის ხელწერა გამორჩეული რომ იყოს). ჩემთვის პირველი კრიტერიუმი არის ის, რომ პოეტი თავის ლექსებში უნდა ცხოვრობდეს და ასე ვთქვი მაშინ, მისი წიგნის რეპრეზენტაციაზეც. როდესაც მის ლექსებს ვკითხულობთ, ჩვენ მასში გიორგის ვხედავთ, არა მხოლოდ როგორც ავტორს, არამედ როგორც ბინადარს. თითქოს ყოველი ლექსი მისი ერთგვარი სახლი თუ ქოხია; თითქოს სიტყვები და სტრიქონები საშენი მასალაა, რომლითაც თავისი ეს ლექს-სახლი ააგო. იმყოფება შიგნით და იქიდან გველაპარაკება. მე ასე აღვიქვამ მის ლექსებს, რაც მის პოეზიას აბსოლუტურ ინდივიდუალიზმს სძენს, გამორჩეულად აქცევს.

მას აქვს ძალიან მრავალფეროვანი თემატური სპექტრი. გიორგიმ თვითონ თქვა (რაც მანამ არ ვიცოდი და ბევრს გაუკვირდა), რომ ის 31 წლის განმავლობაში თბილისიდან არსად არ გასულა. არათუ საქართველოდან, არამედ თბილისიდანაც კი არასოდეს არსად გასულა, საქართველოს არცერთ კუთხეში არ იყო ნამყოფი. ეს იმიტომ ვახსენე, რომ მის პოეზიაში უხვადაა სხვადასხვა ქვეყნის, კონტინენტის დასახელება, აღწერა და ამას ისე ოსტატურად გადმოსცემს, ისე საუბრობს, თითქოს ყველგან ნამყოფია. ვერ იფიქრებ, რომ ასე არაა.

ხშირად ამბობენ, რომ როცა ადამიანი ცოცხალია, მასზე ნაკლებად საუბრობენ ან საერთოდ არ საუბრობენ. სამწუხაროდ, ეს სენი გვახასიათებს. გიორგი, რა თქმა უნდა, არ გამოხატავდა, მაგრამ მას რეალურად მოუწია დაუფასებლობის გამოცდა

საკუთარ თავზე. მეტი აღიარება ეკუთვნოდა, მეტი ყურადღება.

გიორგი ხშირად ითხოვდა დახმარებას სოციალურ ქსელში. "ახალგაზრდა ხარ, ხელი გაანძრიე" - მსგავსი კომენტარები მხვდებოდა ხოლმე. შორიდან საუბარი ძალიან იოლია, როცა პირადად არ იცნობ ადამიანს, მის პრობლემებსა და მის დუხჭირ ყოფას.

რა თქმა უნდა, ამ ყველაფერმა - ხასიათმა, ცხოვრებამ - განაპირობა მისი ასეთ პოეტად ჩამოყალიბება.

გიორგი სრულიად გამორჩეული ხელწერის პოეტი იყო. მე ყოველთვის ვამბობ, რომ ბოლო 2-3 ათწლეულია, რაც პოეტები თითქმის აღარ წერენ კონვენციურ ლექსებს და ეს მაღიზიანებს. ხარისხიანი რითმიანი ლექსის დაწერა ძალიან რთულია, თუ ძალიან განაფული და ნაკითხი არა ხარ და თითქოს გაურბიან ამ სირთულეს. ამ დროს სულაც არაა იოლი კარგი, ძლიერი ვერლიბრის, თეთრი ლექსის დაწერა. გიორგი იყო ის გამონაკლისი, ვისი ურთიმო ლექსების კითხვაც არასოდეს მღლიდა. მის თითოეულ ლექსში თვითონაა ჩაბუდებული, მათში ცოცხლობს და იქიდან გვესაუბრება. ყოველი ლექსი მისი სამყაროა, რომელშიც ის არსებობს და კიდევ მრავალი წელი იარსებებს.

ვისურვებდი, რომ საქართველოს (და არა მხოლოდ) უფრო მეტად დაეფასებინოს გიორგი ჩუთლაშვილი და მისნაირი შემოქმედები. თუ ცხოვრებაში რამე დავაკელით, რაც ჩვენი ბრალიც არის და არა მხოლოდ ჩვენი ბრალი, ყველანი უნდა შევეცადოთ, რომ, სიცოცხლის შემდეგ მაინც, მათი ღვაწლი დავინყებთ არ მიეცეს.

ნიკა ლაშხია

"ერთად ნავიკითხავთ ლექსებს და არასდროს არ მოვკვდებით!"

სალამო იყო, როცა მეგობარმა მომწერა - გიორგი ჩუთლაშვილი გარდაცვლილაო. გავშეშდი... გაბრიელმა, ჩემმა შვილმა, მკითხა - რა გჭირსო? მეგობარი გარდამეცვალა-მეთქი... ვერ ვიჯერებდი, მაგრამ ეს სამწუხარო რეალობა იყო. რთულია, როცა შენი თაობის პოეტი მიდის, ასეთი ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, რომლის გეგმებში არ შედიოდა სიკვდილი, მაგრამ ასე მოხდა, ასე დაუნდობლად!

გიორგი წლების წინ, სოციალურ სივრცეში გავიცანი, მოკლე დროში გავხდით ერთმანეთის გულშემამტკივრები. ლიტერატურულ პერიოდიკაში თითქმის ერთდროულად გვქონდა დებიუტი. ხშირად იბეჭდებოდა ჩვენი ლექსები ერთ ნომერში. მალევე ბარ "მაკულატურაში" შევხდი, ერთ-ერთ სალამოზე, ლექსებს კითხულობდა... ამავ ბარში მუშაობდა რამდენიმე წელი. ძნელი წარმოსადგენია, რომ სადმე ბარში ან რომელიმე ლიტერატურულ ფესტივალზე ვერ ვნახავ, აღარ მომესალმებოდა ჩვეული ღიმილით. არ მომიკითხავს თბილად... ასე იცოდა, რალაცნაირად აღმატებულად გაგრძობინებდა თავს, თითქოს მასზე ბევრად მაღლა იდებოდა. ასეთი ადამი-

ანი იყო, თავმდაბალი და ადამიანის ღმერთივით მყვარებელი. არასდროს არ გაგრძობინებდა იმ სევდასა და უიმედობას, რომელსაც განიცდიდა, რომელსაც ყოველდღე ხვდებოდა, მოუშორებელი ჭირივით. დიახ, მას ხშირად აქცევდა ცხოვრება ჩიხში, მაგრამ უმკლავდებოდა! სულ სამსახურის ძიებაში იყო... მას ოდნავი ყურადღება ახარებდა... მისი სიკვდილით ჩაქრა კამკაშა ვარსკვლავი, თუმცა, იმავე წამს ანთო სხვა ვარსკვლავი, რომელსაც მარადისობა ჰქვია და ეს სიმართლეა!

თუ გიორგის შემოქმედებას გადავხედავთ, მაშინვე დავრწმუნდებით, რომ ის ძალიან თვითმყოფადი პოეტია, მისი პოეზია დაცლილია ყოველგვარი ზედმეტისგან, ზუსტი მეტაფორებით ამბობს სათქმელს. მისი პოეტური ენა თავისუფალია, უჩვეულოა მისი ხელწერა, მისი რამდენიმე ლექსი მაინც თუ წაგიკითხავს, ხელმოუწერელსაც ხელწერით აუცილებლად გამოიცნობ.

ზღვა ემოციების მატარებელი ბიჭი პოეზიის რუკიდან აკვირდებოდა სამყაროს. მას ისეთივე ლამაზი ეგონა ცხოვრება, როგორც პოეზიაა, ამიტომ ვერ გუობდა მას ისეთს, როგორსაც ხედავდა. ხშირად სასმელში კლავდა ბრაზს, მეტი ღიმილის და ყურადღების მოლოდინში...

გიორგის ყოველი დღე პოეზია იყო. ის თხემით ტერფამდე პოეტია, პოეტი, რომელმაც ასე ხანმოკლე სიცოცხლით მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართულ პოეზიაში. რალაცნაირად აუხდა მისი ერთი ლექსი.

*“ჩემი ლექსი შობას ვერ დაესწრო...
მზის სხივი თოვლში ჩაიკეცა.”*

გიორგის ლექსები ითარგმნა ბერძნულ და ლიტუვურ ენებზე. დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ არაერთ ენაზე ითარგმნება და ნებისმიერ უცხოური პოეზიის ანთოლოგიას დაამშვენებს, რადგან მის პოეტური ენა ნამდვილია! ხოლო რაც ნამდვილია, იმას დრო ვერ ერევა...

ორი კრებულის გამოცემა მოასწრო. ნიგნებს თავიანთი ბედისწერა აქვთ. გიორგიმ ასე ინება, რომ თვითონ გაიგონ გზა მკითხველებისკენ... თავში აღვიწინე და გავიმეორებ, ძალიან რთულია, როცა შენი თაობის პოეტი მიდის, ბევრ რამეს ნანობ, ბევრი რამისთვის მადლობელი ხარ. ზოგჯერ მგონია, რომ ცხოვრება კინოა, რომ ჩვენ არ ვკვდებით, რომ სადღაც აუცილებლად ვაგრძელებთ სიცოცხლეს, ერთად წავიკითხავთ ლექსებს და არასდროს არ მოკვდებით!

ივა ფეხუაშვილი

თვალის გასწორების სიძნელე

არის ეგეთი სევდები, ფიქრით რომ უნდა ატარო და გულით რომ უნდა ატარო და როდესაც გულმა იცის, რას ფიქრობ და ფიქრმა - რას გრძნობ, ალბათ, ზუსტად მაშინ იქმნება ისეთი ლექსები, სევდად დაწერილი, შენს დარდად რომ იქცევა და ეგეთი ლექსებით ვიცნობ გიორგის და მის ლექსებში სევდის და დარდის ამოცნობაზე მეტად ამ ორის-

თვის თვალის გასწორება ჭირს. ჭირს და ძნელია ის, რასაც შენც განიცდი, სხვაშიც დაინახო, სხვასთანაც, და რა კარგია, რომ გიორგის ლექსებში თვალგახელილი თუკი გაივლი, თუ არ დაფრთხები და შეშინდები, არა მხოლოდ სევდას, არამედ დარდისგან შევებასაც იგრძნობ.

*“ავარიულ სახლს დაემსგავსა ეს დღე...
სინათლე და სიმყუდროვე საბოლოოდ*

*გამოეცალა
და საყრდენად ჩემს დახვეწილ სევდას ვიყენებ.
სწორედ იმ სევდას, შენ რომ ვაშინებს...”*

ალბათ, ეგ არის კარგი პოეზია - სევდის საყრდენია, რომელშიც ავტორი დაიცალა და კარგი ლექსიც, ალბათ, ის არის, შენ რომ აგავსებს და მაგით განთავისუფლდები.

გიო ლომიძე

“ცოცხლობდა ნამდაუნუმ მთსაგერიებელი ფარული ტკივილით”

სიცოცხლე უნდა დაიმარცვლოს რამენაირად. ვის მიმართ უნდა შევძლო საუბარი ამ როლიდან თანაბრად ისე, სისასტიკეც რომ გავმიჯნო სიკვდილისგან და სიცარიელეც ამოვავსო შეუმჩნევლად? თბილისის მესამე საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალზე გავიცანი 2017 წელს. იქ ყველა თავისებურად გამოირჩეოდა ან მე მინდოდა ასე აღმექვა. პირველი ჭიქაც გამოეცალეთ და შთაბეჭდილებებიც გავაზიარეთ ჩვენში რეაქციის მეტ-ნაკლებად გამომწვევი საკითხებიდან გამომდინარე. სოციალურ ქსელში იმ საღამოსვე აღმოვჩნდი ერთმანეთის მეგობრებში. შეხვედრის ძირითადი ადგილი “მწერალთა სახლი” იყო, საიდანაც გრძელდებოდა ურთიერთობა მახსოვრობის ზღვრის დარღვევამდე. ახლა ისე არ მინდა გამომივიდეს, რამის უკვე ვეღარ გადამონებთ თავდაჯერებულმა სანდოობა დავუკარგო მონაყოლს, თუმცა მოყოლაც ერთი დიდი შეუძლებლობაა მაშინ, როცა შექმნილი მოცემულობა იძენს ყოვლისმომცველ შინაარსს, აჩენს მანამდე არსებულიდან გამომდინარე კონტექსტს და მეც სწორედ მანამდემდე შევეცდები შთაბეჭდილებების გაზიარებას ახლანდელობასთან უწყვეტობის გათვალისწინებით.

შუა ღამეა. ქალაქის საკრებულოს წინ მივსეირნობ. სკამთან მიყუყულ ბომჟებს შევხვდი. მივედი ახლოს, მივესალმე. ფულს ითვლიდნენ ალტაცებით. ცოტა ხურდა დავუმატე. დამპატიყეს, თუ გაჩერდები, ორ წუთში ლუდს ვიყიდით და თორმეტიც მაღლე გახდებო. რა ხდება-მეთქი. როგორც აღმოჩნდა, ერთ-ერთის დაბადების დღეს უნდა შევსწრებოდი უნებლიეთ. ჩამოვჯექი იქვე. წარსულს იხსენებდნენ მორიგეობით. ესა ძველი სნაიპერი იყო, იუბილარისკენ იშვერს ხელს სკამზე წამოწოლილი. იცინის. სახელიც აღარ აქვს, სპეციალური ნომერი აქვს მინიჭებული. ნომერი ვადლეგრძელეთ. მეღიშება მორიდებით.

არც ისე მოულოდნელია იმ ადგილას ნაცნობს



გადაეყარო ადამიანი. დავინახე, მოდის გრძელ პლამში, თავზე ბენდენანაკრული. გიუშკი, როგორ ხარ, ძმაო, აგრძელებს და ხელებგაშლილი ვეგებები. შემოგვიერთდა. ურთიერთობაში ხალისიანად შესვლის უნარი თავისთავად მულავნდებოდა მისი მხრიდან. თბილი ღიმილით დაგაკვირდებოდა ახლოდან და ხელს ბეჭებზე ფრთხილად ჩამოგისვამდა. სახლისკენ წამოსვლის დროც დაგვიდგა. სნაიპერი მოგვარიდა რამდენიმე ნაბიჯით. მერე ყველას დაემშვიდობა და ადე, ნავიდეოთ, მითხრა. იუბილარს გული აუჩუყდა. მეგობრებთან დაიხარა და მსხვილი კუპიურა დააგდო ამაყად.

იმ ღამით ჩემთან დავრჩით. დაგვათენდა. ჩემი პოეზია ისეთ ემოციას ვერასოდეს გამოიწვევს ადამიანში, როგორც ნუხელ ჰქონდა უცნობსო. ვერც შენით - დამამშვიდა. ღმერთისადმი სიყვარულს ადამიანებით ამართლებდა. ჩემს ფისოებს ფოტოები გადაუღო წასვლის წინ, პუდელს ჩაეხუტა. ასე დაგვემშვიდობა. მგონია, მის ტელეფონში ახლაც არის ჩარჩენილი კადრები.

წერდა სუფთა ემოციით. ცოცხლობდა წამდაუნუმ მოსაგერიებელი ფარული ტკივილით. მისი პოეზია, შეგვიძლია, დავინყებებში ხელის შემლის უნივერსალურ ინსტრუმენტადაც მივიღოთ.

ერთ ტექსტში ასეთი ფორმით ახერხებს ურთიერთგამომდინარეობის გამყარებას საკუთარ სამყაროსა და პოეზიაში საკუთარი წილის უტყუარობას შორის:

“აჰა, კართან ვდგავარ და ვაკაკუნებ - მე პოეზია ვარ... თუ ვინმე გაიგებს ჩემს ხმას, მე მასთან ერთად ვისაუბრებ...”

მასთან ერთად ვისეირნებ და მოვუყვები ამბავს ადამიანზე, რომლის ფანჯრის მინაც ჩამტვრეულია და ფურცლით ანახლებს.”

ბუნებრიობის განცდა გიორგის პოეზიის მიმართ, შესაძლოა, მისი აღარ ყოფნით შექმნილი მოცემულობითაც იყოს გამძაფრებული, თუმცა აღარ ყოფნის, როგორც მოცემულობის, მიღება რამდენად არის შესაძლებელი, ეს საკითხავია. რამდენიმე დღის წინ აღმოვაჩინე ერთი ლექსი სათაურით “წინააღმდეგობა. მოუთმენლობა”, რომლის დასასრულიც მინდა გავიხსენო:

“დრო კი არა, მე ვერ ვითმენდი და ქრონიკული დაავადების მსგავსად მიმწვავდებოდა საკუთარი თავი, მაგრამ ვეწინააღმდეგებოდი. თან მაჯებივით მექავებოდა სურვილი, რომ ჩემი სხეულისგან მოშორებით დაცემულიყავი მხრებში გაშლილი...”

წინა წელს გამოსცა კრებული “მშრალი თევზის წონასწორობა”. იცით, როგორი ფერის არის წიგნი? კაშკაშა კუნაპეტი. წიგნსა და ლექსს საერთო სათაური აქვს, რომლიდან ამონარიდის ციტირებით, ვისარგებლებ მეგობარი პოეტის შესახებ მეტად საუბრისგან თავის შეკავების უნიკალური შესაძლებ-

ლობით, რადგან ავტორის სამყაროსა და ბუნებას იმაზე უკეთესად ვერავინ დაიმსგავსებდა ამეტყველებული გამოცოცხლებით, როგორც ეს მისმა თითოეულმა ლექსმა შეძლო მომავალი ცხოვრების გარდაუვალი გათვალისწინებით:

“წყლიდან გაუფრთხილებლად ამომიყვანეს და მიუხედავად იმისა, რომ მათ სახეები შმიტის “ნოეს შვილივით” მახსოვს, თავს ვიმაგრებ და ამის შესახებ არაფერს ვამბობ.”

**ევა ქევანიშვილი
მაძიებელი პოეტი**

გიორგი, ჩემი აზრით, მაძიებელი პოეტი იყო, თითქოს სულ თავის სევდას დასტრიალებდა და წერდა მის გარშემო ხელშესახებ, ხშირად მწარე სინამდვილეზეც. წერდა გულწრფელად და ყოველი ახალი პუბლიკაცია იყო ამ მაძიებლის ახალ-ახალი აღმოჩენების ერთობლიობა. მის პირველ და ბოლოდროინდელ ლექსებს რომ ვადარებ, სულ მაქვს განცდა, როგორ იხვეწებოდა და რამდენი რამ ვერ მოასწრო. ეს საშინლად მტკენს გულს.

პაატა შამუგია

“ერთ მეტაფორაში ორჯერ ვერ შეხვალ”

ისე მოხდა, რომ გიორგი ჩუთლაშვილის წიგნის “მშრალი თევზის წონასწორობა” პირველი მკითხველი და უკანასკნელი მყიდველი ვიყავი. “მწერლების ბარში” ჰქონდა ბოლო საღამო, როცა მიკროფონში გამოვაცხადე უტიფარი ტყუილი, სხვების წასაქეზებლად და თვითონ ავტორის გასამხნეველად: მე გიორგის წიგნი მომპარეს, ამიტომ ახლა ისევე უნდა ვიყიდო, სხვა გზა არ არის-მეთქი.

ბავშვივით გაუხარდა. რომელ პოეტს არ გაუხარდებოდა!

სამწუხაროდ, წიგნებს აღარავინ იპარავს და, მით უმეტეს, პოეტურ კრებულებს. თუმცა კი, თვითონ მუდმივად იმის მოლოდინში იყო, რომ მისი წიგნები გაიყიდებოდა, ამიტომაც აწყობდა პრეზენტაციებს პერიოდულად. ეს მისი უკანასკნელი გაყიდული წიგნი იქნებოდა. რამდენიმე დღეში გარდაიცვალა კიდეც.

ერთი რამ, რაც კარგად გამოაჩინა მისმა სიკვდილმა, ისაა, რომ ბევრი დაფიქრდა უკვე ცოცხალ პოეტებზე, ემანდ, ვინმე კარგი არ გამოგვეპაროს უსახელოდ და უსიხარულოდო. იქნებ სხვა გიორგი-ჩუთლაშვილებიც იყვნენ გარშემო, რომელთაც მეტი ყურადღება სჭირდებოდათ.

“მშრალი თევზის წონასწორობის” წინასიტყვაობაშიც დავწერე, ერთ მეტაფორაში ორჯერ ვერ შეხვალ-მეთქი (არადა, ზოგი მეტაფორა ისე ძლიერი და მოქნილი იყო, მოგინდებოდა ორჯერ და მეტჯერ შესვლაც და შიგნით დაბუდებაც). ვერც ერთი წიგნის შესახებ დანერ ორჯერ, ასე მგონია. მხოლოდ ის შემძლია ვურჩიო ამ მცირე მოგონების მკითხველს: იყიდეთ “მშრალი თევზის წონასწორობა”, საერთოდაც, იყიდეთ ახალი ავტორების წიგნები.

ლელა სამნიაშვილი

ოქტომბერი

ჯერ ბრონეული მალავს თავის კრისტალურ თრომბებს
და შემოდგომა ახალია. სიმნიფის დრო ბევრს
ჭკნობა ჰგონია, მაგრამ არის ნუთი ან წამი
სრულყოფილები. გულის მთელი ძრავა, სანვავი,
მუხრუჭი - არის მწყობრში სრულად. კრიალებს კანი.
არ ჩანს ბზარები არც სიღრმეში, არც გარეგანი
სისხლჩაქცევები. და ამ წამის დაჭერის ფასად
ინყება ჭკნობის დეპრესია. უწყდება თასმა
ყუნწს, ატომს. თუმცა, შეიძლება ისეც მოხდეს რომ
ენტოს, საკუთარ ჭკნობას წამით არც კი შეხედოს,
და უცებ მთელი თავგანწირვით, სისწრაფით მოწყდეს,
რომ მის დაცემას სამყაროში არ ყავდეს მონმე.

მამა

ჩემი და არის მამას გოგო, მე უფრო - მამის
ალი-კვალი და მამასავით ჭინკებით თვალეში
ფორმულებს ვწერდი დაფებზე და ციფრებიც ლამის
სიტყვებზე მეტად შევიყვარე. სიტყვების გარეშე
ვერცერთ ფორმულას გამოვთვლიდი - სიკვდილის, ლამის,
არყოფნისა და მაინც ყოფნის უხილავ მხარეში
მამა, არ უნდა გამეშვი და მაინც გაგიშვი.
ხელი გაგიშვი. აპარატის დემონურ კოცნას
გრძელ პალატაში ჩამწკრივებულ სხეულებს შორის
ინანილებდი და არ გავდი მამაჩემს, მომწყდა
თვალეში, მხრები, ნიაღვრები, ჟანგბადის შმორით
სავსე კორიდორს, ექთნებს, კედლებს, ქვეყანას მგონი
ერთადერთ სიტყვას ჩავყვიროდი. მე და შენ - ორნი
შევრჩით ამ გლოვას - ხუთწუთიანს - ფილტვებში კოვიდს
და კიდურებში პარკინსონის უპულსო ტრემორს
და ბოლო ჭიქა წყლის ყლუპსა და სანატრელ გემოს
და გადასხმების გამჭვირვალე ვენებს და წვეთებს
ვგრძნობ, ვიმეორებ, ვისრუტავ და ვივინყებ დღემდე.
თუ სადმე კარი არის ღია ან დახურული
იმ სამყაროდან ამ სამყაროს თუკი იერთებს
და აკაკუნებს თავგანწირვით მთელი მილეთი
და იმეორებს მეტანიებს, ლოცვებს, იმედებს
ხსნის და განწმენდის, გაგატარონ, რადგან შენია
გზაც, გადარჩენაც, განკურნებაც. არ დაგრჩენია
არცერთი წამი - ჯვარცმის - მიღმა შენი სხეულის.
თუ არის კიბე - ცაში - გრძელი და დახვეული,
თუ არის ვილაც, ვინც მზეები დღეებს დაკიდა,
თუკი დაყურებს ჭიანჭველებს, რომ არ დაგიდგამს
ფეხი, თუ გველის, თუ ადამის, თუ ევას მოდგმას
პატრონობს, იცის, რაც არ მოხდა, ისიც, რაც მოხდა -
გაგიღოს კარი. მე კი ვიდრე არ ჩამიქრება
თვალეში, იქნებ შევინახო შენი ჭინკები.



მძიმე დღე

როგორ უმანკოდ იწყებიან მძიმე დღეები -
 თვალის გახელით, მზით, ფინჯანი ყავით, საათით -
 ხელახლა გვაქცევენ ახალმობილებად -
 გვასწავლიან ფეხის ადგმას,
 ზღურბლზე გადადგმას,
 ხელ-პირს გვბანენ, ჩამოგვრეცხენ ღამის
 კოშმარებს,
 კარს გვიღებენ, გვპირდებიან თავგადასავალს.
 როგორ ვენდობით ახალ დღეებს,
 როგორ ვეძებთ განძს, ჩვენთვის რომ გადაუნახავს -
 სანახაობას, წარმატებას, სიყვარულს, ფრენას,
 როგორ გვწყვეტენ ქანცს მათ დევნაში
 და საღამოს გვერეკებიან -
 შინისაკენ, რომ თვალზე კვლავ აგვაფარონ
 ეკრანები - დღის ქრონიკებით -
 სავსე - ცხედრებით, კატასტროფებით,
 მტკიცებულებით, რომ აი, ეს დღეც, ცივისსხლიანი
 მკვლელი აღმოჩნდა -
 დილაადრიან ადგა და წუთი არ დაუკარგავს -
 ამოიღო თვალში სამიზნე,
 ჩაუსაფრდა გზაზე, მთაში, მეგობრის სახლში,
 ინადირა, მოიკლა ჟინი,
 ჩვენ კი, ცოცხლად დარჩენილებს
 ისევ სულგრძელად მოგვგვარა ბანგი,
 ამოგვივსო ღამე ახალი კოშმარებით,
 ნანადირევი გაგვინანილა.



ვერცხლის თევზები

ვიყიდეთ ვერცხლის თევზების წყვილი -
 ტოლი, ფრიალა ფარფლებით - ვინრო
 აკვარიუმში ცხოვრობენ - დილა-
 საღამოს - თავზე ვაბერტყავთ - თითქოს
 წყალობა იყოს - წვრილ ნამცეცს ხარბად
 ენაფებიან და ისრუტავენ
 და დღიდან დღემდე ყლუპების ხაპვა,
 მუჭი ნამცეცი, წყლის სისუფთავე -
 ცხოვრებისათვის საკმარისია.
 და აგრძელებენ ხელებიც ასეთ
 ჩვეულებრივ და მარტივ მისიას -
 ანაბეჭდებით ავსებენ ასლებს -
 დღეების - კენჭებს აკვრია ფსკერი
 და ნიჟარებშიც ზღვები ცხოვრობენ,
 გარეთ - ოთახის კედლების, ჭერის
 სიბრტყე იფარავს უცხო ობობებს,
 ჩვენს სახეებსაც. ვერცხლისფერ თევზებს
 არ ვეკითხებით, თუ მართლა აწყობთ
 ყოველდღიური - არსაით გეზი,
 ყოველდღიური - არსაით ანწყო.
 ტალღა, რომელიც ყველას ამომლის
 ჯერ მხოლოდ ცრემლით სავსე უპეა.
 ვინ ფშვინის ნამცეცებს ამ სამყაროში,
 ვარსკვლავების მტვერს სულს ვინ უბერავს.



წრე

მკვდრები ჩაძირულ გემებს გვანან
დასრულებული ვოიაჟებით,
ალარ გუგუნებს გულის ძრავა
დაფლეთილია დრომის აფრები -
ხელები, მხრები - ძვლების გროვა,
ხერხემალი ფსკერზე ჩაშლილი,
სადღაც წარსულში ძველი დროა,
უჩინარი დროთა კავშირი
მათ მსხვერპლს ითხოვდა და მიიღო -
შამანია ცივისსხლიანი,
ვინ როდის იყო და სად იყო -
გამყინავი სიცილი არის
სრიალა პირზე, იმუქრება
ყველა თოვლის სისხლით შეღებვით,
კვლავ აქ ხარ, მაგრამ სულ უქმეა
და სიცოცხლეს ველარ ეხები
ველარც თითებით, ველარც თვალით,
რომ ერთხელაც ჩაიპირქვავო,
ხმას ველარ განვდენს ველარავინ
სიზმრებს ხედავ ალბათ იქაურს
სადაც ნერვები არ გირტყამენ,
სადაც გული არ აკაკუნებს,
სადაც იდაყვებს არ იტყავენს
ალარავინ და არც აგურებს
ადებს აგურზე - გამოქვაბულს
კორპუსი რომ ამოუშენოს,
ყველა იარლიყს, ყველა ტაბუს
ანებებენ ახლა უშენოდ -
ცოცხლები - სადღაც ფუსფუსებენ
და გაღწევას ისევ ცდილობენ,
აქედან ცქერაც უფასოა,
სულ ფასი სურთ სასაცილოებს,
და ქვესკნელიდან ზესკნელისკენ
ყველა არის ფასის მძევალი,
თუმცა წრე არის განასკვული,
სიშავემდე ლურჯი წრე არის.



პანტა

აქ უხსოვარი დროიდან ვართ დიდიც, პატარაც,
რადგან არ გვახსოვს დრო, როდესაც აქ არ
ვიყავით.
და ის ედემის ვაშლი იქნებ სულაც პანტაა -
არც გემო გვახსოვს, არც იმ ხესთან ჩვენი მიმყვანი
გველი, რომელიც შეიძლება იყო ხვლიკი და
(არ გვქონდა ენა - რომ სახელი გვეთქვა მკაფიოდ)
მერე სიტყვებით გაივსო და გამოიფხიკა
მეხსიერება. და ნაყოფი თუკი აბია
ჩვენს წარმოსახვას - ფორმას იცვლის - ცვილს და
პლასტიკელის
ძერწავს. და დნება, რასაც ვძერწავთ. თუმცა
ყველანი
აქ უხსოვარი დროიდან ვართ, ზუსტად ამდენი
ადამიანი, ვერ იხსენებს რადგან ვერავინ -
დროს, როცა თვითონ აქ არ იყო. სხვების ვერსიებს
ვენდობით, მაგრამ არც ბოლომდე, როგორც წესია.

ნატალი აბესაძე

შენს სიყვარულზე ისე ნუ საუბრობ

შენს სიყვარულზე ისე ნუ საუბრობ,
 თითქოს ჩვენ არავის არ გვესმოდეს
 რა არის ნამდვილი სიყვარული.
 და ვერასოდეს შევძლებდეთ შენსავით შეყვარებას...
 რომ არ იციან ეგეთი სიყვარული
 მრეცხავმა ქალებმა და მატარებლის მძღოლებმა,
 დიასახლისებმა და
 თინეიჯერებმა.
 შენს სიზმრებზე ისე
 ნუ საუბრობ,
 თითქოს არავის გვესიზმრება ეგეთი სიზმრები
 და შენი სიზმრები შენს მარტოობას ჰგავს
 და შენი მარტოობა შენს ცხოვრებას
 და შენს ცხოვრებაზე ისე ნუ საუბრობ,
 თითქოს არავის უცხოვრია დღემდე ამგვარად.
 რომ არ იციან მათ ნამდვილი ცხოვრების გემო.
 და, საერთოდაც,
 შენზე და ხალხზე
 განცალკევებით
 ნუ საუბრობ.
 შენი თმის სიმსუბუქეზე ისე ნუ საუბრობ
 თითქოს შენი თმის სიმსუბუქე ჰგავს შენსავე სიყვარულს
 და რაც შენ სიყვარულს შეეხება
 ისე ნუ საუბრობ
 თითქოს არავის შეუძლია
 შენსავით სიყვარული.
 და დღემდე არც კი გამოჩენილა
 ის
 ვინც შენსავით დაიტევდა ამ შეყვარებას...




ახალი წლის ღამე

ჩვენ ვსაუბრობდით და ბრჭყვილებდა იმ ახალი წლის ქარსუსხი ღამე.
 შენ მწერდი შიშზე
 და ვარსკვლავები ჰგავდნენ გაფანტულ შაქრის ნატეხებს.
 და ახალი წლის პოლარული ნათების ცის ქვეშ
 შენ მიყვებოდი ახალგაზრდა წლების კრიზისზე.
 მე კი ვიყავი უკვე დაღლილი,
 უკვე შორი და გამოფიტული.
 და შენ კი მწერდი
 ახალი წლის ქარსუსხი ცის ქვეშ.
 და აგრძელებდი, რომ გძულდა ქარი და ვერ იპოვე თავშესაფარი.
 და შენ უეცრად
 მომაბრუნე სიცოცხლისაკენ.

იგრი - Aprilis

ამ გაყინული ქვების ქალაქში
 შენ იყავ ჩემი შემომნახველი.
 ისევე მწერ, მაგრამ რა ვქნა,
 არ მახსოვს,
 მართლა არ მახსოვს შენი სახელი.
 ვაშლის ხეების მიდის ზამთარი,
 და გაზაფხულის მოდის ძახილი,
 ისმის ყვირილი, ისმის ხარხარი,
 მაგრამ არ ისმის შენი სახელი.
 მახსოვს, რომ არის ყველა ზღაპარში
 ცხენი, ყვავილი და მთავრებილი.
 და იმ ჩანჩქერის ამონათქვამში
 იქნებ ვიპოვო შენი სახელი.



შენ შემოხვედი...



შენ შემოხვედი ქალაქიდან ოთახში, მხოლოდ დაჯექი. კაბას ჰქონდა ორი ტანწერილი ზოლი. გაჭერი ვაშლი და დაასხი წვენი ჭიქიდან. შენი ქერა თმა ღამეებს და დღეებს ითვლიდა, და ნაოჭები შეგემატა ისე მალულად, როგორც დაისის მდინარის და ზღვის სიყვარული. დაწექი. როცა ჩაგეძინა უცხო ბავშვივით, შენთან მოვიდა პანანინა გოგოს აჩრდილი.

ძველბერძნული კიდევ არფები

ძვირფასო, გახსოვს თოვლისა და ქარის ნიღაბი? შენ სულ გინდოდა, მხიარული ყოფილიყავი. იისფერ ჟოლოდ იღვრებოდა შენი აურა და იჭრებოდა ახალი წლის აურზაური ოთახში. გახსოვს? კოცონი რომ ავუნთეთ ყინულს და შენ ყოველთვის გპოულობდით შენი სიცილით შენ ისევ მომწერ, "ამ მხარეში ზაფხული ღვივის" მაგრამ არასდროს არ ახსენებ, რომ მოიწყინე. გახსოვს ვარდები, ძველბერძნული კიდევ არფები? შენ თქვი, ცხოვრება თამამია, ან არაფერი გახსოვს ნარმები, მარნების და კოშკის ნიღაბი? შენ სულ გინდოდა, მხიარული ყოფილიყავი.

არ გინდა, ჩემთან ამოხვიდე?

არ გინდა, ჩემთან ამოხვიდე ერთხელ და უბრალოდ დავიძინოთ. ჰო რა, უბრალოდ დავიძინოთ, ქურთუკის სამკერდეზე ჩემი თმა გეყაროს. მხარზე თავს დაგადებ ან მხარზე თავი დამადე, თმაზე ხელი დამისვი, ნახე როგორ ვუმკურნალე მკვდარს. თმაზე ხელს დაგისვამ, ყოველთვის მბზინვარე, ყოველთვის ტალღოვანი, ურჩი და მოკლე. პლედები მოვიტანე, გარეთ რომ ციოდეს შიგნით კი - არა. რამე მომიყევი, არავის შეგადარებ, არავის შემადარო, ნახე ამ დილით სარკმლები გავწმინდე, რომ კარგად ჩანდეს ღრუბლის ნაგლეჯი. ფორთოხლები ვიყიდე, ნიგნები დავანყვე, ნივთები დავანყვე, დავმალე დღიური, საათი, სამელნე, სარეცხი. დავმალე ყველაფერი, რაც თავს მახსენებს, იატაკი გავხეხე, დავწექი. არ გინდა, ჩემთან ამოხვიდე ერთხელ და უბრალოდ დავიძინოთ. ჰო რა, უბრალოდ დავიძინოთ ქურთუკის სამკერდეზე ჩემი თმა გეყაროს.



უოლეს სტივენსი

შაშვზე დაკვირვების ცამეტი ხერხი

ინგლისურიდან თარგმნა მარიამ მჭედლიძემ
თარგმანის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი მანანა მათიაშვილი



პოემა “შაშვზე დაკვირვების ცამეტი ხერხი” ამერიკელი მოდერნისტი პოეტის, პულიცერის პრემიის ლაურეატის (1955), უოლეს სტივენსის (1879-1955) ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია.

პოეტის შემოქმედების უმთავრესი მოტივი ფაქტობრივი რეალობისა და ადამიანის გონებაში მისი გარდასახვის ურთიერთკავშირის კვლევა იყო და, შესაბამისად, ამ ნაწარმოებშიც შაშვის სიმბოლური სახე, როგორც ბუნების განსახიერება, გამოყენებულია ადამიანებს, ბუნებასა და განცდებს შორის მიმართებების წარმოსაჩენად. თავად ავტორი პოემას “შეგრძნებების” კრებულს უწოდებდა მასში ასახული სწრაფწარმავალი შთაბეჭდილებების გამო, რომელთა მიღმა, სულ არ თვლიდა აუცილებლად, მკითხველს კონკრეტული შინაარსი და მნიშვნელობები მოეძიებინა.

“შაშვი” პირველად 1917 წელს დაიბეჭდა ანთოლოგიაში *Others: An Anthology of the New Verse*. მოგვიანებით, პოემა შევიდა უოლეს სტივენსის პირველ პოეტურ კრებულში *Harmonium* (1923). ნაწარმოების შთაგონების წყარო გახდა ჰაიკუს ჟანრი, მაგრამ მისი არც ერთი სტროფი არ მიჰყვება ჰაიკუს ტრადიციულ სქემას.

პოემის კონცეფციას ატყვია როგორც კუბიზმის, ისე იმპაზიზმის ესთეტიკის კვალი და შესანიშნავი ნიმუშია იმისა, თუ რა როლს თამაშობდა ლინგვისტიკა სტივენსის შემოქმედებაში. მაგ. საგულისხმოა, თუ რამდენჯერ იყენებს მწერალი ინგლისურ ზმნას “to be” ტექსტში; რომ შაშვი აღწერილია გრამატიკული დროის ყველა კატეგორიით და წარმოდგენილია მრავალგვარ სიტუაციაში. პოემის 13 სტროფში შაშვის წარმოდგენა სხვადასხვა მაკრო თუ მიკრო-სამყაროს განუყოფელ ნაწილად, ობიექტს სხვადასხვა პერსპექტივიდან გვიხატავს; შესაბამისად, თითოეული სტროფი სავსეა განსხვავებული ესთეტიკური სილამაზით, მინიშნებებით, მოულოდნელობითა და მხატვრული სახის განვითარების ყველა შესაძლო ვერსიის მაქსიმალური ვერბალური გამომსახველობით.

პოემის სათაურში ფიგურირებს სიტყვა “დაკვირვება”, როგორც ავტორის “მე”-სგან წამოსული

მიმართება კონკრეტული ობიექტისკენ, მაგრამ პოემის ბოლოს ირკვევა, რომ ეს ორმხრივი პროცესი ყოფილა - ბოლო სტროფში კედარის ტოტზე მჯდარი შაშვი, ანუ ობიექტიც აკვირდება ლირიკულ სუბიექტს - ამ ხერხით გამოიხატება ურთიერთმიმართება რეალურსა და ინდივიდის მიერ აღქმულ სამყაროებს შორის და იკვრება ნრე 13 სტროფის გარშემო. პოემის მიხედვით, რეალობა სუბიექტურია, რაც იმას გულისხმობს, რომ სინგულარული, ე. წ. ნამდვილი რეალობა არ არსებობს და მისი რაგვალობა იცვლება ინდივიდუალური აღქმის მიხედვით.

ამგვარად, პოემა რეალობა-ირეალურობის ზღვარზე ყოფნის გამოცდილების გადმოცემით მნიშვნელოვან მოდერნისტულ მხატვრულ ქსოვილს ქმნის, რაც, ვფიქრობ, დედნის ადეკვატურად გამოიყურება ქართულ ენაზე დებიუტანტი მთარგმნელის ნამუშევარში.

I

ოც მთას, დათოვლილს,
დასტრიალებდა
ერთი შაშვის მახვილი თვალი.

II

სამად გაჭრილი ჩემი გონებით
იმ ხეს ვგავდი,
სამი შაშვი რომ შეაფრინდა.

III

შავი შაშვი შემოდგომის ქარებში მოჰყვა.
ეს იყო ერთი მცირე სცენა პანტომიმიდან.

IV

კაცი და ქალი
ერთნი არიან.
კაცი, ქალი და შაშვიც
ერთია.

V

არ ვიცი, რომელი რომელს მირჩევნია:
ინტონაციის ცვლის სილამაზე
თუ მინიშნების სილამაზენი.
შაშვის გალობა
თუ მას შემდეგ დამდგარი წამი.

VI

პატარ-პატარა ლოლოების უხეში მინით
ავსებულებო გრძელი ფანჯარა,
ყინულზე ჩანდა წინ და უკან მოძრავი
ჩრდილი - მოფრთხილავ შაშვის ფიგურა.
განწყობა:
ჩრდილში მოხელთებული
ამოუცნობი მიზეზი ყოვლის.

VII

ჰეი, ადამის ქალაქის კაცნო,
რად გელანდებათ ოქროს ჩიტები?
ნუთუ ვერ ხედავთ, გარს რომ უვლის
შაშვი თქვენს ქალებს?
ზედ ფეხებთან, სწორედ თქვენ თვალწინ.

VIII

კარგად ვიცნობ დახვეწილ აქცენტს,
და იმ რიტმებს, თავიდან რომ ვერ მოიცილებ;
ისიც ვიცი,
სწორედ შაშვია გარეული იმ საქმეში,
კარგად რომ ვიცი.

IX

როცა შაშვი გაუჩინარდა ხედვის არიდან,
მან გადაკვეთა
მრავალთაგან ერთი წრის კიდე.

X

მწვანე შუქზე აფრენილი
შაშვების ფონზე
ტკბილხმოვანების მაჭანკლებსაც
აღმოსდებოდათ მჭახე ბგერები.

XI

ერთმა კაცმა მინის ტახტრევნით
გადასერა კონექტიკუტი.
როგორღაც გზაში შიშმა გამსჭვალა;
თურმე მისივე ეტლის აჩრდილი
მოეჩვენა შაშვების გუნდად.

XII

ქვემოთ მდინარე მიედინება
სადღაც ალბათ შაშვი მიფრინავს.

XIII

სალამო იყო მთელი შუადღე.
თოვდა და მაინც
ფიქრობდა თოვას.
შაშვი იქ იჯდა,
კედრის კიდურზე.






ჩარლზ ბერნსტაინი

ჩარლზ ბერნსტაინი ამერიკული პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი მიმდინარეობის - ენის სკოლის პოეზიის მთავარი წარმომადგენელი და თეორეტიკოსია. მისი პოეტური კრებულებია “პოეტური სამართალი” (Poetic Justice, 1979), “ინტერესთა კონტროლი” (Controlling Interests, 1980), “სოფისტი” (The Sophist, 1987), “თავდაყირა” (Topsy Turvy, 2021). პოეზიასა და პოეტიკაზე ესეების კრებულებიდან კი აღსანიშნავია: “ენა” (L-A-N-A-G-U-A-G-E) (1984) და “შინაარსის სიზმარი: ესეები 1975-1986” (Content’s Dream: essays, 1975-1986). ესეში “წერა და მეთოდი” (Writing and Method, 1986) ბერნსტაინი თავისი პოეზიის მთავარ მახასიათებელს ასე განმარტავს: “ლექსებში ხშირად ვიყენებ ბუნდოვან, ძნელად გასაგებ & აღქმად ელემენტებს, რთულ ნიაღვრებს & აზრის განყვეტის ტექნიკას, როგორც უფრო ძლიერი აღქმის და ზემოქმედების მიღწევის იარაღს, ვიდრე ეს შესაძლებელია ნებისმიერი ტრადიციული, ბევრად მოსაწყენი, ერთფეროვანი და ადვილად გასაგები ხერხებით”.

ინგლისურიდან თარგმნა და შესავალი დაურთო ინგა ჟღენტმა



წყვილადი, რომელსაც უხმობენ ღამედ

სათნოება
 ერთგვარი სასონარკვეთაა,
 სიყვარულით შენიღბული.
 ტკივილის განცდა
 სიხარულს
 ანიჭებს.
 საუცხოო ღვინოს
 გემოს უწუნებს.
 ხელებიდან
 გველები ეზრდება,
 მის ახირებებს
 სულელები ემორჩილებიან.
 ცხოვრების გზა თვით-
 მარქვიობით გაიკვლია. ამაღლებულ
 სიყვარულს და მოჩვენებით პათეტიკურ ემპათიას
 მთელი ძალით

ჩაბლაუჭებული,
 კრიმინალური მეთოდებით (Modus Operandi)
 მოქმედებს.
 სათნოების მახვილი
 სიმართლეა, თავის თავზე
 შეყვარებული, რომელსაც მხოლოდ
 სხვების წინააღმდეგ მიმართავს.
 ნორმების თაყვანისცემას
 შეგუებული, გასაქანს
 არ აძლევს არამზადებს, გმობს
 მოწინააღმდეგეებს, აბუჩად იგდებს
 ცვლილებებს.
 სხვათა გმობა მისი
 მარადიული გატაცებაა.
 სათნოების თვალში
 ძალადობრივი სამართალი
 და მწვავე უთანხმოება -
 უმაღლესი მშვენიერება: იმ
 თარგზე იჭრება, რომელიც
 არასდროს სწყალობს ესთეტიკას.

ლექსი

აქ. უნდა დაივიწყო.
 აქ უბრალოდ ინტონაციებია
 ღრუბლიანი, გრილი
 ჩიტები & და ა.შ.
 ჩამოჯექი მათთან ერთად.
 დროა ასე მოიქცე.
 ბუნების ამაზე უკეთესი ხედი არ არსებობს.
 ნებისმიერ შემთხვევაში ყველაფერი უნდა გარდაქმნა.
 სიჩუმე, ხეები.
 იმედს ვიტოვებ,
 ეს ყველაფერი შენს შინაგან მე-ში
 მიედინება, თვალების ეს მოძრაობა,
 სიტყვების ეს წყობა,
 ყოველი მოძრაობა, ყოველი წინააღმდეგობა.
 ღამე მოძრაობენ
 კომეტები, “მბრუნავი პლანეტები,
 მზეები, პემზის ბრჭყვიალა ნატეხები”
 უხეში ტონით მიგვითითებენ
 სიმსივნეებსა & კარიერაზე.
 “განახლებული ლიმოზები, თუ შეიძლება.”
 შეარჩიე რამე ღირებული
 განწყობა, იდეა, სიმბოლო ან ქალაქის სურნელი
 ფერადი, უსიცოცხლო
 & “ღამაზმანის სისხლძარღვებში რომ იზადება”
 უბრალოდ იაზროვნე
 “აღელდი & ჩაებლაუჭე”
 უფრო მეტი გატაცებით
 უფრო დაუკმაყოფილებლად
 ეს ყოველივე ფორმის
 ნიშან-თვისებაა და ა.შ.
 და განუყოფელია მისგან.
 სათანადო კორექტირება
 ქმნის უცნაურ, გახლეჩილ
 სივრცეს
 ნაღებ საზოგადოებას შორის:
 თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი ხმა
 “მუქი წითელი წრებივით”
 იფანტება
 და უკან იხევს, ექოსავით გაისმის,
 ერთდება, ისევე იფანტება.
 სათანადოდ მორგებული
 მაგალითად, შენი ტანსაცმელი,
 სახე, სტილი,
 უნიჭო უფერულობას
 ფარისევლურად რომ ასხივებს
 & რამდენიმე წუთში
 სხეულს & ცნობიერებას
 რომ აკნინებს, ამასობაში “მზეზე აფეთქებებმა”
 მიზანი ხელიდან გაუშვეს.
 შენ თვალები

გებინდება,
 ფიქრში წონასწორობას კარგავ, დაბრმავებულს
 საზღვრებს გირღვევს
 ლაქების წყება.
 “მაგრამ აღფრთოვანებისგან ჯერ კიდევ შორს ხარ.”
 ეს სიშორე კარგია, გაჯადოებს.
 მოიმარჯვე ბალიში & კალამი
 ბროლის ფინჯანი, ხავერდის საფერფლე
 ისე, რომ მოძრაობაში შეინარჩუნო მოჩვენებითი
 ელევანტურობა,
 შეუმჩნეველი, უჩინარი
 & ამაყი სიმბოლოები
 სარევეებს იცილებენ,
 ნანილებად, უნესრიგოდ იშლებიან,
 და ერთუზიანობით სავსე ღიმილით გულგრილობენ
 & ახალი ფეხსაცმელების
 უხეში მონაცვლეობით
 “ამაღლებულნი” & “ხორცშესხმულნი”
 სასიკვდილოდ იმეტებენ
 ადამიანად ყოფნის სიმძიმეს.

სამოთხის ყველა ვისკი


არც სამოთხის ყველა ვისკისთვის
 არც ვერმონტის ყველა ეტლისთვის
 არც საძირკველში ჩალვრილი ყველა ცრემლისთვის
 არც მარსზე მილიონჯერ მოგზაურობისთვის
 არც ბრილიანტების ფასად
 არც მარგალიტების ფასად
 არც მაშინ შენი ნეკა თითის ბეჭედი რომ მაჩუქო
 არც მაშინ შენი თმის ხვეული რომ მაჩუქო
 არც ყველა იმ ცეცხლისთვის რაც ჯოჯოხეთშია
 არც უღრუბლო ცის სიკამკამისთვის
 არც ჩემი საკუთარი იმპერიისთვის
 არც სულის სიმშვიდისთვის
 არა, არასდროს დავთმობ შენს სიყვარულს
 უკანასკნელ ამოსუნთქვაშიც შენ მეყვარები
 ჩემს სიმღერებშიც და ლექსებშიც შენ მეყვარები
 ჩემს სიყვარულში ყოველთვის შენ განმეორდები.

სამოქმედო გეგმა

რა მოხდებოდა
 ეს უბრალოდ
 არ ჩაგვედინა

ცოტნე ავსაჯანიშვილი

ტყაშმაფები



არც ისე სასიამოვნო იყო მარტი მონტევიდეოში ორი ათას ათ წელს. მე მინახავს რამდენიმე სულელი, რომელთაც ასეთი მარტი მოსწონს, მაგრამ მათი მოსმენა არ მინდა. მონტევიდეოში დამდგარი ასეთი არც თუ კარგი მარტის გამო, ალბათ, საოცრად ყინავდა ბუენოს-აირესშიც, რადგან გულის სიღრმეში ყველა ქართველ გეოგრაფიის მასწავლებელს უფიქრია იმაზე, ეგ ორი ქალაქი რამ გაყოფს ბატონებო, რამ გაყოფს და მდინარე ლა პლატამ. რივერ პლეიტმა. ისე მაგრად ციოდა მაშინ მონტევიდეოში, რომ ერთხანს რივერ პლეიტიც გაიყინა. არანაირი ნავი ან ხიდი, შეგეძლოთ პირდაპირ, ფეხით გველოთ მდინარეზე და თავი ურუგავის დედაქალაქიდან არგენტინის დედაქალაქში ამოგეყოთ. ალბათ, არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ყინვას არ იყვნენ მიჩვეული სამხრეთელი მეშვიდეკლასელები. სულელებივით უყურებდნენ საკუთარი ქურთუკების სახელოებს და ვერ იხსენებდნენ, როდის იყიდეს ან როდის შეინახეს გარდერობში ასეთი უცნაური ტანსაცმელი. მათემატიკის მასწავლებელი ჰორასიო ალვარესი კი სიას კითხულობდა...

ნაჩო კემპესი...
ხულია პეცელა...
აჩიკო რამირესი....

* * *

იმათთვის თვალეები არ აუხვევიათ. თვალეების ახვევა კი არა, სადაც უნდოდათ, იქ დაყიალობდნენ დებილი მამლებივით. ვითომ არ იყვნენ თავისუფლები, მაგრამ არც ბევრი ვინმე იყო მათსავით თავისუფალი, არც თუ თავისუფალ რესპუბლიკაში. დადიოდნენ, დადიოდნენ... კარალიოკის ხეები სულ ჩამოკრიფეს და კიდევ ის, ბრონეული, ოლონდ მუავე, ტკბილი არ უყვარდა არცერთს. მთელი სოფელი გაიცნეს და, მგონი, ცოტა მეგრულიც ისწავლეს. ტიტინებდნენ ხოლმე სასაცილოდ. ერთს ჩახვეული ჰქონდა, სკან ყოლე, ჩქიმ გულიმ ვარდიო. ვინმე ოხერი თუ ასწავლიდა და ამასაც უხაროდა, კაი რამეს ვამბობო. პირველ დღეს, ჯერ ცხელი რომ იყო ამბავი, ქვეყანა რომ ამოტრიალდა და იმას რომ ფიქრობდნენ, არიქა თავებს დააყრევინებენ მაგათო, ვალერა მალანიამ ქანცი გაიწყვიტა, გიჟივით გამოქროლდა ონარიიდან, ოფლიც ღვარა და ბენზინიც, დროულად რომ მოეტანა გავარდნილი გენერლის, ვაჟა მონიავას წერილი ესვანჯიასთვის. ესვანჯია პატივს სცემდა მონიავას და უყვარდა კიდევ მამასავით. ეძმაკაცებოდაო, ვერ იტყვი, ძალიან უფროსი იყო ის. მაგიტომ იყო, თავიდან ძალიან მონინებით რომ გახსნა წერილი. მერე კი ცოტა

აერია სახე. თან ბრაზობდა, თან კიდო სიცილით კვდებოდა რომ ნახა ის წერილი. არის ხოლმე ეგეთი ამბებიც, იმაზე რომ ბრაზობ, ვინც არ გუფს და თან რომ გიყვარს კიდეც მისი იუმორი და გასაბრაზებელს რომ გეუბნება ისე, რომ თავის საყვარელ იუმორსაც გამოურევს აქა-იქ. ესვანჯია ბრაზით იმაზე ბრაზობდა, მონიავა რომ ურჩევდა, მაგენს როგორც ვაინნი ზალოუნკებს ისე არ მოექცე, თავზე ტომრები არ ჩამოაცვა და საჭმელიც საუკეთესო აჭამეო. ეს მე რანაირად მასწავლის სტუმრის პატივისცემასო, ჭკუა ჩაეკეტა ესვანჯიას. კიდეც ის ეწერა, ჯიმა, ისინი ისეთი უაზრო ხალხია, ყველას ყელი რომ გამოჭრა, მაინც არ გადადგებიან და რამე ისეთი მოსთხოვე, ნამდვილად რომ მივალწევთ და გავერთობით კიდეცო. მე იმას გირჩევო, შეუთვალე შევარდნაძეს, მომდევნო შვილიშვილს ზვიადი დაარქვას, ამით გათავდეს საქმე და მაგენიც გადარჩებიანო. ეს რომ ნაიკითხა ესვანჯიამ, გამხიარულდა ძალიან და აპატია გენერალს პატივისცემის ამბავზე ჭკუის სწავლება. ესვანჯიაზე სინამდვილეში იმასაც ვერ იტყოდი, რიგითიანო, მაგრამ მაგიც გენერალს უძახდა თავს. ისე, ოფიციალური სტრუქტურების ის რომაა ბლატების დარიგება თვარა, არავიზე ნაკლებად არ იცოდა არც სტრატეგია და არც ავტომატის ხმარება. პრაქტიკულ ამბავში მართლა იყო გენერალი და თეორია კიდო არაა საინტერესო, თუ იმ თამაშს არ თამაშობ, კომპიუტერში რომაა, ახლანდელი ბავშვები რომ ანკაპუნებენ რაღაცას და ხალხი რომ ჩნდება უცბად ბევრი, რომ გადააჯგუფებ და სხვა ბევრ ხალხთან აჩხუბებ, აქაოდა, დიდი სტრატეგი ვარო. გენერალი ესვანჯია თუ გაინტერესებთ, როგორც საკმაოდ რთული ადამიანი, სუფთად გაპარსული პარტიზანი და დიდი მამულიშვილი, აუცილებლად უნდა მოიკითხოთ მისი განუყრელი ნაცრისფერი პულოვერი, რომელზეც შუაში, სულ-სულ ცენტრში, ძალიან ლამაზი ჯვარი ეხატა. და კიდეც ტყვია მის კისერზე, ყელსაბამად რომ იყენებდა მთელი მისი ვაინნი კარიერის გზაზე. ძმას ამოულო მაგ ტყვია თავიდან, პარლამენტის სასადილოში. რუსთაველზე რომ მოკლეს პირველი შეტაკებისას, ე, ზუსტად იმას. ისე, მონიავა რომ ეუბნებოდა, მაგაზე ათჯერ მეტი ქნა მაშინ ესვანჯიამ ჯიხაშკარში. ჭამა და სმა რა სალაპარაკოა საერთოდ. ესენი რომ მოიყვანეს, ლამარა მეუნარგიაც მოაყოლეს უკან. იცით თქვენ როგორ გვიყვარს ამ რესპუბლიკის ხალხს ისეთი რამეების სხვებისთვის ჩვენება, რაც კარგად გამოგვდის და ღმერთია მონმე, ომის გარდა სხვა რამეებიც გამოგვდის ჩვენ. მე თუ მკითხავ, ომი საერთოდ არ გამოგვდის კარგად და არ მომიყვებ ახლა დიდგორი და შამქორი. მაგენი არ მინახავს მე და რაც მინახავს და ვიცი მაქიდან ყველაფერი ნავაგეთ. ამათ ჩვენი კულტურის არაფერი გაეგებათ, ტყიურები ვგონივართ და ერთი ნახონ რანაირი ტყიურები და ტერორისტებიც ვართო, ბრაზობდა ესვანჯია, ასე, ცარიელ სიტყვაზე რომ სჯეროდა ყველას თბილისის მთავრობის და ყველა რომ თვლიდა, სამეგრელოს ტყეებში ზვიადის სახელზე შეფიცულები ველური და ყველაფრის მკადრებელი ხალხიაო. მოკლედ,

პირველად რომ ასადილეს და ღვინოც რომ მიაყოლებიეს, დაიკავა ლამარა მეუნარგია ფანდური და დაამლერა ოდოები. გაუდიდდათ იმათ თვალები. არ მოესმინათ აქამდე ასეთი ჯერ. ფიქრობდნენ ალბათ, გვეგონა დავგზოცავდნენ და აქ კიდო კონცერტი ყოფილაო. მთვრალეებიც იყვნენ ცოტა და მთლად გაანითლა ლამარას ხმამ მაგათი ცარცში ამოვლებული ლოყები. ესვანჯია რუსულად ამბობდა, ეტა გრუზინსკი ფოლკლორ მუზიკა, მეგრელსკი, კრასივიო... მარა არ ესმოდათ იმათ რუსული და არც გენერლის მოსმენა უნდოდათ, ლამარას უსმენდნენ სულ. ერთი ისეთი შერყეული გამოდგა, პასტა და ფურცელი მოითხოვა, მიუცუცქდა მეუნარგია და მითხარი ერთი, თუ ქალი ხარ, პირველად რომ იმლერე, იმ სიმღერის ტექსტი როგორ იქნებაო. ამანაც არ დაიზარა, ჩამოუჯდა და თითო სიტყვა სამჯერ, დამარცვლით, ცალ-ცალკე გაუმეორა. გიჟი იყო ამკარად ის. ჩაინერა ყველაფერი, გადაკცა ფურცელი და შეინახა გულის ჯიბეში. შეიძლება არც იყო გიჟი. ზოგს მოსწონს ასეთი ინტერესიანი ხალხი. მე არ ვგოყდები უბრალოდ და მაგიტომ ვამბობ, გიჟი იყო-თქო. მე ის მიყვარს, კაცი რომ წყნარია, თავის საქმის რომ იცის და რომ არ ცანცარებს, აქაოდა, ყველაფერი მინდა ვიცოდე, იმნაირი და ამნაირი ვარო. ესვანჯია ლამარას რომ აცილებდა, ზუსტად მაშინ შემოცვივდნენ ეზოში ტელევიზიები. მარტო ჩვენები კი არა, სხვებიც. ისე, ჩვენები სულ ორი არსებობდა, კაცმა რომ თქვას. ის, მთავარი, ზოოპარკთან რომაა და მეორე, ჯერ რუსთაველში რომ გახსნეს და მერე გადმოიტანეს დედაქალაქში. ჰოდა, მაგ ორის გარდა იქ იყო, ენტევე, არმენია აძინი და მაგენს კიდო ვინ ჩივის, მგონი, ამერიკულებიც და ვიღაცეები, ესპანურად რომ ქაქანებდნენ. ესვანჯიას არ უყვარდა კამერებთან ბევრი ლაპარაკი. ისე კი, ძალიან ლამაზი იყო გვერდიდანაც და ტელევიზორსაც ამშვენებდა, როცა აჩვენებდნენ ეკრანებზე. დაუდგა ესვანჯია წინ ამ მიკროფონებს და ძალიან ცივად თქვა, კანონიერი ხელისუფლება აღსდგეს თუ არა, არ ვიცი რას ვიზამო. უფრო სწორედ, როგორ არ ვიცი, ამათ ყველას ამოვხოცავ, თავსაც მოვიკლავ და მერე არჩიეთ საქმე ვისთანაც გინდათო. გენერალთან რომ დაასრულეს, ჟურნალისტები სახლშიც შევიდნენ. იმათ უღებდნენ. ხოარ გემინიათო, ჰკითხეს. ვის რისი უნდა შემინებოდა, მთვრალეები ეყარენ და სიცილ-სიცილით ანახებდნენ ანუელ ცერს ჟურნალისტებს. თან გაიძახოდნენ, ფუდ გუდ, სონგ გუდო. სულ გაგიჟდნენ ეს ჟურნალისტები, რა უხარიათ ამ უბედურებსო. სუფრაც იმნაირი დახვდათ, გადირიენ. არადა არაა ადვილი უცხოელი ჟურნალისტის საქმლით გადარევა. ქართველისგან კიდეც არ გაგიკვირდებოდა, მგონი ხელფასი არც ჰქონდათ მაშინ. შესთავაზა ესვანჯიამ მათაც ზაკუსკა, მაგრამ არ იყვნენ მაგენი ის ხალხი, იქ რომ ხარჩოს ჭამა დაენყოთ. მხოლოდ ერთი-ორმა ჩვენებურმა ოპერატორმა არ თქვა უარი და მათაც მხოლოდ ღვინო დალიეს და ხილი მიაყოლეს. რთული იყო იმ დროში ფხიზლად ცხოვრება და საქმის კეთება ხომ მით უმეტეს. დაბნელდა. გაყინული ცა ყვითლად გაანათა მთლად

დამრგვალებულმა კოლხურმა მთვარემ. ლოცავდა მაშინ ხალხი ამ მთვარეს. გზას გვინათებსო ამბობდნენ და, ეგეც რომ არ იყო, ყაჩაღებისაც ეშინოდათ. ის კი გეცოდინებათ, რომ ყაჩაღობა მაშინ უფრო ადვილია, როცა ძალიან ბნელია. უშუქო სოფელში კიდევ უფრო ადვილია ყაჩაღობა. უშუქო სოფელში მთვარე თუ არ ამოდის, მორჩა, გათავდა, ექვსს რომ გადასცდება, ყველა ერთიანად ბრმავდება. ჟურნალისტები ჯიპებით დაეშვნენ ზუგდიდისკენ. მკაცრი თებერვალი იყო სამეგრელოში. თოვლი არ იყო, მაგრამ უმაგისოდაც იყინებოდა ყველაფერი. რომან ვახანიას ქათმებიც კი გაეყინა იმ ზამთარს. აბა, რა ექნა, საქათმეში ფეჩს ხომ არ დადგამდა. თვითონაც ძლივს ჰყოფნიდა შუშა. ესვანჯიამ ასი ლიტრი არაფერი მოატანინა საიდანლაც მის მეგრძოლებს, აქაოდა, არც ჩვენ შეგვანუხოს ყინვამ და არც ესენიო. მე მაინც მგონია, რომ გენერალი ესვანჯია ძალიან მგრძობიარე და პოეტური კაცი იყო. ახლა თქვენ გაგიმხელთ რასაც დავაკვირდი და მგონია, რომ დანამდვილებით ვიცი... მთვარის შუქზე სეირნობა უყვარდა გენერალ ესვანჯიას და ფიქრითაც მაშინ ფიქრობდა ხოლმე. მეტყვით რა არი მაგაში საოცარი და გაუმხელელი და ალბათ მართლებიც იქნებით, მაგრამ ამხელა გაქანების მეგრძოლი რომ ღამ-ღამობით სულ მარტო დასეირნობს და მთვარეს უყურებს, მე მგონია, რომ მაინც უჩვეულოა და იმსახურებს, რომ სილამაზეც ვუნოდოთ. ისე, მე ვამბობ, რომ ფიქრობდა თუ არა, შეიძლება უბრალოდ დაკვირვებული სახით იყურებოდა. აბა, რას გაიგებ, როცა ადამიანი ჩუმადაა. ჩვენ ასე გვგონია, რომ თავად თუ ვფიქრობთ სიჩუმისას, სხვაც აუცილებლად ასეა, ხოდა, არ ღირს ასე უაზროდ დასკვნების გამოტანა. მე რა ვიცი, რას შევბოდა ესვანჯია?! მთვარეს რომ უყურებდა ხოლმე, ეგ ნაღღია. ხოდა, ამ სეირნობისას მოადგა ღობეს მაგდა დარსალია. ხაჭაპურები დაეცხო და ხელში ეკავა ცხელები. მასზე ამბობდნენ, მთვრალმა გვარდიელმა გააუპატიურა, მერე კედელთან მიაყენა დასახვრეტად და ბოლოს რატომღაც შეეცოდაო. რამხელა სულგრძელობაა, არა? ალბათ, როგორი პატიოსანი კაცი იქნებოდა ის გვარდიელი მშვიდობიან პერიოდში... მაგდა დარსალიას ვითომ იმის დარდი ჰქონდა, ესენი შიმშილით დაიხოცებოდნენ თუ ტყვიით. მაგას უყვარდა ესვანჯია და მიტომ დაიარებოდა იქ. სკოლიდან მოყოლებული უყვარდა. ომი სანამ დაიწყებოდა, პაემანზეც კი იყვნენ ერთად, ზუგდიდის ბოტანიკურში. ყავა არ დაუღვავიათ. უბრალოდ სეირნობდნენ და დანარჩენს რას შევბოდნენ, არ ვიცი ეგ მე. ესვანჯია კი გაუჯავრდა მაგდას, ნუ მოდიხარო აქო, საშიშიაო და საქმლის მეტი კიდო რა გვაქო, მაგრამ არ ჰქონდა აზრი, მაინც მოვიდოდა ის. ძალიან უყვარდა მაგდას ესვანჯია. სულ ფიქრობდა ძილის წინ, თუ მოკლავენ, შევარდნაძესთან მოვენყობი მზარეულად, მოვწამლავ და შურს ვიძიებო. წინასწარ ტიროდა მაგდა გენერალ ესვანჯიას.

* * *

არასდროს ყოფილა თბილისი ასეთი დამთმობი.

იმასაც ვერ იტყვი, თბილისს არასდროს დაუთმიაო, მაგრამ ასე სწრაფად მე არ მინახავს მაგათი უკან დახვევა. მგონი, საზღვარგარეთის ეშინოდა მთავრობას. მათი ხალხი რომ ყოფილიყო ესვანჯიას ხელში, არ მგონია, დიდად ებერტყათ ყურები, მაგრამ უცხოელები ჰყავდა გენერალს და მოსვენებას არ აძლევდა მაგ ამბავი დედაქალაქს. მაგენის ფულით კეთდებოდა ბევრი რამე აქ და ბევრი რამე კი არა, მგონი რაც კეთდებოდა, ყველაფერი მაგენის ფულით იყო, აბა ჩვენთან სად იყო ფული?! გააბრაზებდი და მორჩა, აღარაფერი იქნებოდა ისეთი, გულს და მუცელს რომ უხარია. არადა, ეს ელჩები დაიარებოდნენ ტელევიზიებში და უბრალოდ კიარ დაიარებოდნენ, ხმასაც უწევდნენ ხანდისხან. მე რომ მკითხო, არაფერი უკვირთ დასავლეთში და ბევრ ცუდ რამეზეც დახუჭავენ თვალს რომ მიუშვა, მაგრამ მათიანებს რომ ესები, მერე ძალიან ბრაზიანები ხდებიან. ხოდა ამ ელჩების და კიდო ვინცხა ქერა ბობოლებს შიშით იყო რომ გამოაცხადა მთავრობამ გამოუშვას ესვანჯიამ შუამავალი, ან თუ უნდა თვითონ დაგვიჯდეს და ვილაპარაკოთო. ეს რომ გაიგო გენერალმა ესვანჯიამ, დაუძახა ჯიხაშკარში ჟურნალისტებს, პრესკონფერენცია მაქვსო მეო. ჯერ მამლები ყიოდნენ ისევ. იქ კიდო იმნაირი ჭკვიანი მამლებია, მარტო დილით ყვირიან. იციან თავისი საქმე. ეზარებოდათ კიდევ ჟურნალისტებს დილაადრიან იქ ასვლა, მაგრამ ისიც იყო, რომ ზუსტად ესვანჯიას პრესკონფერენციების გამო იყვნენ შეკრებილი ზუგდიდში და ვერ გააცდენდნენ მაგ ამბავს. იმათ ეძინათ ყველას ჯერ. ღამით იმდენი სასმელი ჩაისხეს, რომელი მამალი და დისქავერი გააღვიძებდა მაგათ. მერე ვიტყვით, ქართველები ვართ ზარმაცები და ისინი მაგრებიო. ჩვენი სიზარმაცე იმაშია, მათზე მეტს რომ ვსვამთ. სადარდებელიც გვაქვს მათზე მეტი და იმიტომ. ახლა მიეცი სადარდებელი შვეიცარიელს, დაანყებო არყის სმა გულის გადასაყოლებლად და მერე ნახავ როგორი მაგარი და მოწესრიგებულია მაგ. კამერებმა გაანათა ჯონი მანიას ჩაბნელებული ზალა. ხო, ის არ მითქვამს, რომ ესვანჯიაც, მისი მეგრძოლებიც და ზალოშნიკებიც, თავს სწორედ ჯონი მანიას ოდაში აფარებდნენ. დედამინის ყველაზე ცხელი ნერტილი იყო მაშინ ჯონი მანიას კარ-მიდამო. ამაცობდა ამით ჯონი, მაგრამ ცოლი უშლიდა ნერვებს. მალე წაეთრეოდნენ ნეტაო, ბუზღუნებდა ვიოლეტა მანია. აბა ჯონი რას დაითვლიდა და ვიოლეტამ კი იცოდა, რა ძვირი უჯდებოდა ოჯახს ამდენი კაცის გამოკვება. უცხოელების ძვირიან კამერებში ყველაზე უკეთ ჩანდა გენერლის ლეგენდარული პულოვერი. თქვენ არ იფიქროთ, სულ თუ ეგ ეცვა ხომ გაიჭუჭყებოდაო? არ ეცვა სულ ეგ. ხშირად ეცვა, მაგრამ სულ რეცხავდა, არ იდარდოთ მაგაზე. ძალიან უნდოდა პაპიროზის მოწვევა გენერალ ესვანჯიას. ზოგჯერ აბნევდა კამერები და იმიტომ. მაგრამ იფიქრა, ცუდი მაგალითია ტელევიზორში გაბოლებო და გადაიფიქრა. რადგან პუტჩის სამართალმემკვიდრეები მზად არიან დაელაპარაკონ კანონიერი ხელისუფლების ცოცხლად დარჩენილ მალაჩინოსნებს, შერამას ვიღებ როგორც

2023

სიგნალს კომპრომისზე წამოსვლისა და ამიტომ ახლავე ვუშვებ ორ ტყვესო, ეს თქვა მაშინ ესვანჯიამ პრესკონფერენციაზე. მისი მარჯვენა ხელი, ჯუმა სხულუხია იმ ოთახში გავიდა, სადაც ზალოყნიკებს ეძინათ და პადიომო, თქვა. პირველმა ორმა ვინც გაახილა თვალი, ისინი გამოიყვანა, იმსახურებთო თქვენო. ესვანჯიამ ყურნალისტებს სთხოვა, თქვენ გაიყოლიეთო ესენიო. ერთი კანადელი იყო, ენდრიუ ერქვა სახელად. მეორეს კიდო წვრილი თვალები ჰქონდა, მაგრამ მგონი ჩინელი არ იყო, ვერ ვარჩევ მე მაგენს. მერე როგორც გავიგეთ, ბურდულაძე უნდა ჩამოსულიყო მოსკოვიდან. ზვიადის ხალხიდან ვინც გადარჩა, იმათ შორის მაგი იყო ყველაზე მაღალ თანამდებობაზე და მას უნდა ელაპარაკა თბილისთან.

* * *

პაპიროზს ენეოდა გენერალი ესვანჯია. შეშინებული არასდროს ყოფილა მაგ და, მგონია, არც ეშინოდა არაფრის ცხოვრებაში. ან რისი უნდა შეშინებოდა? კაცს ყველაზე ძაან სიკვდილის ეშინია. სიცოცხლე არ ეთმობა და იმიტომ. სიცოცხლე კი იმიტომ არ ეთმობა, რომ რაღაც ან ვიღაც აკავებს სიცოცხლეში. უღირს სიცოცხლე რაიმედ. ესვანჯიას აღარაფრად უღირდა. დაკარგული ჰქონდა ყველაფერი და მიტო. მაგას რაც სჭირდა, საგონებელში ჩავარდნაა ეგ. ის არ აგდებდა საგონებელში, მოკლავდნენ თუ არა. იმედი ჰქონდა ესვანჯიას დიდი და ეს იმედი არ გამიცრუვდესო, ეს აგდებდა საგონებელში. ცხოვრების მიზანი იყო მისი, ფაქტობრივი მთავრობა რომ ჩამოეგდო და კანონიერი რომ აღედგინა. ყველაფერი გადადო ამის გულისთვის და ახლა ფიქრობდა, რომ პირველად იყო ამასთან ისე ახლოს, როგორც ოთხმოცდაცამეტი წლის კონტრშეტევისას. ორი საათის შესული იყო ბურდულაძე მოლაპარაკებებზე თბილისელებთან. ნელა გადიოდა დრო. შვიდი წელი ომობდა ესვანჯია და ეს შვიდი წელი არ განელილაო ასე, ეს ორი საათი რომ გაინელაო, ფიქრობდა. ბურდულაძის შესვლამდე ვაჟა მონიავამ შუამავლის საშუალებით ისიც შეუთვალა ესვანჯიას, რომ სენაკში ტანკები ჰყავდა დაქოქილი და თუ ყველაფერი ისე წავიდოდა, როგორც ისინი ოცნებობდნენ, ამ ტანკებს საზეიმო ბათქაბუთქით შეიყვანდნენ თბილისში და რუსთაველის პროსპექტზე კანონიერ აღლუმს ჩაატარებდნენ. მართლა გაუჩნდა იმედი მონიავასაც. არადა, სულაც არ იყო მიამიტი კაცი და არც ისეთი ახალგაზრდა იყო, როგორიც აჩიკო ესვანჯია. რაც აქამდე მომხდარა, იმაზე უარესს მაინც ვერაფერს გვიზამენო. ცოტა არ იყოს, კანონიერი ხელისუფლების გადახვეწილი მაღალჩინოსნები ვერ იყვნენ გონორზე. გატეხა მაგენი ომმა და ემიგრაციამ. მგონი, იმითაც ბედნიერები იყვნენ, ცოტა ხნით თბილისში რო ჩაუშვეს. ეს არ მოსწონდა ესვანჯიას. მოლაპარაკებაზე შესვლის წინ გაიძახოდნენ, ჩვენთვის მთავარია, ადამიანების სიცოცხლე გადავარჩინოთო. სწყინდა კიდევ გენერალს ეს ნათქვამი. ჩემთვის თუ ქვეყნის გადარჩენა და სამართლიანობის აღ-

დგენაა მთავარი, იმათ რა ადამიანები აუტყდათო. ტანკებზე პრეზიდენტის სურათებს დავაკრავთ და ისე ავიღებთ თბილისსო, ამასაც ამბობდა ვაჟა მონიავა. ზვიადის სურათებს კიდო იმდენს იშოვიდნენ სამეგრელოში, რამდენი ოჯახიც იყო იქ. ნეტა ტანკები ჰყოლოდათ მაგდენი. მოლაპარაკებები არც დასჭირდებოდათ. პარტიზანებს დიდი ხნის წინ გარდაცვლილი პრეზიდენტი მოჰყავდათ ხელისუფლებაში. ამიტომ ვინმე თუ გეტყვით, მაგვირი რეალიზმი კოლუმბიაში გაჩნდაო, თქვენ უთხარით, მასე იყოს, მაგრამ სამეგრელოში დაკაცდა-თქო. მეც მომანვეიეო, რუსულად უთხრა ერთმა ზალოყნიკმა ესვანჯიას. აკი არ იცოდი რუსულიო, გაიცინა გენერალმა. საოცრად უხდებოდა სიცილი. არ ჰქონია მონგრეული კბილები და მიტო. გაკვირდებოდით, უთხრა იმან. ახლა საინტერესო კაცი მგონიხარ და მინდა შენთან ლაპარაკიო. თუ გინდა იმასაც გასწავლი, მაგ ფიშტო როგორ ისროლო ისე, რო ერთი გასროლით სამი კაცი გააგოროო. ეშმაკი კაცი ჩანდა უცხოელი. უცინოდა რიჟა უღვაშები. ხო, სულ მაგ ჭკუაზე ვარ, შენ დაგაჭერიებ იარაღსო, თავი გააქნია ესვანჯიამ და თან გაიფიქრა, ამან მე რა უნდა მასწავლოს სამი ომი მაქვს წაგებულო. მერე გაახსენდა, გაეროს დამკვირვებლები სამხედროები რომ არიან და ცოტა უკან დაიხია, შეიძლება იცოდეს კიდევ რამეო. ტიტო რამირესი მქვიაო მეო, უთხრა იმან. ურუგვაელი ვარო. ხოხ, მე ეს ენცო ფრანჩესკოლი მეგონაო, იფიქრა ესვანჯიამ. მე კიდო აჩიკო ვარ ესვანჯია და წალენჯიხიდან ვარო, ამყად უთხრა გენერალმაც. ის სულ დაიბნა, ეს წალენჯიხა რაღააო და გადაამოწმა, მე მეგონა, რომ საქართველოდან იყავითო. აბა ეს ყოფილა ცალტვინაო, იფიქრა ესვანჯიამ და გარეთ გასვლა დააპირა მთვარის საყურებლად. მე ძალიან მიყვარს ნივნების კითხვაო, არ ჩერდებოდა ტიტო რამირესი. აქაც, ბატონმა მანამ რუსულად რაც ჰქონდა ყველაფერი მომცა და ორი დღეა სულ ვკითხულობო. ხოდა, მგონი გაგეხარდება თუ გეტყვიო, რომ შენც და სხვა ზვიადისტი მებრძოლელებიც სამხრეთ ამერიკული ლიტერატურის სევედიან და მუდამ დამარცხებულ გენერლებს მაგონებთ, რომლებიც დამარჯვებულებზე ლამაზები და პატრიოტები არიანო. დიდი ამბავი ახლა კიტოვანზე ლამაზი თუ ვარო, გაიფიქრა ესვანჯიამ. უეცრად შუქი მოვიდა ჯიხამკარში. ესვანჯიამ ხელის სწრაფი მოძრაობით ჩართო ტელევიზორი. მოლაპარაკება დასრულდაო, ამბობდა ახალგაზრდა, აჩკარიკა დიქტორი. ახალი თაობა ჰყავდა წამოწეული წინა პლანზე სამთავრობო ყურნალისტისკაცს. შევარდნაძის პარტიაც სულ ახალგაზრდებით იესებოდა ბოლო დროს. პოლიტიკანების დრო დგებოდა რესპუბლიკაში. მოლაპარაკებიდან გამოსული პრეზიდენტის მრჩეველი, პავლე მდედრაძე ყურნალისტებს ეუბნებოდა, ტერორიზმთან კომპრომისზე ვერ წავალთ, ერთი კომპრომისი ტერორისტული აქტების ქაროშხალს დაატრიალებს რესპუბლიკაში და ამიტომ ან დაუყოვნებლივ გამოუშვან ტყვეები, ანდაც ხისტ ნაბიჯებს ელოდონ ჩვენგანო. ჭკუიდან გადავიდა გენერალი



ესვანჯია. კანონიერი ხელისუფლების აღდგენის იმედი ჰქონდა, ახლა კიდე საერთოდ ვერ გაეგო, რა ჯანდაბა დატრიალდა მის თავს. საინფორმაციო გამოშვება გრძელდებოდა. ახალგაზრდა, აჩკარიკა დიქტორი ამბობდა, რომ ეროვნულმა გვარდიამ ჩანასახშივე აღკვეთა ექსპრეზიდენტის ექსტრემისტი მომხრეების მიერ წამოწყებული კიდევ ერთი ტერორისტული აქტი. კერძოდ ის ამბობდა, რომ სენაკში დისლოცირებულმა გვარდიის ბატალიონმა "რუხმა მგელმა", მოახდინა სენაკის სატანკო ნაწილში უკანონოდ შეჭრილი გენერლის, ვაჟა მონიავას ლიკვიდაცია, რომელიც აპირებდა, რომ მის რამდენიმე ათეულ თანამებრძოლთან ერთად ნაწილიდან გაეყვანა სამხედრო მანქანები და კონტროლი აეღო ჯერ ქუთაისზე, შემდეგ კი ალბათ დედაქალაქ თბილისზეც. გენერალ ესვანჯიას თითქოს არაფერი უკვირდა. არც უფროსი მეგობრის მკვლელობამ დააყენა განსაკუთრებით სამგლოვიარო ხასიათზე. სამოქალაქო ომის დანაყებიდან დღემდე, მის თავს ლალატის და უახლოესი ხალხის სიკვდილის

მეტი არაფერი მომხდარა. თანაც ძმის გარდაცვალების შემდეგ თითქოს რკინის ნაჭერი გახდა ესვანჯია. ამაზე მეტს ვერაფერს მატკენტო, ფიქრობდა ხოლმე და სწორედ ამიტომ იყო ყველაზე გაბედული და თავზეხელაღებული ზვიადისტი. ესვანჯიამ ავტომატი გადატენა. კურტკის ჯიბეში ლიმონკები ჩაიყარა და გასასვლელად მოემზადა. ბიჭო, ტყეში უნდა გავიდეთ ჩვენ - გასძახა თანამებრძოლებს. ესენი არ მოვკლათ? - დაიბნა ჯუმა სხულუხია. ვინაა ეს კაციჭამიო, გაიფიქრა ესვანჯიამ და სხულუხიას უბრძანა, მაგენსაც ჩააცვი, წავიყვანოთ თან და სამშვიდობოს რომ ვიქნებით, მერე გავუშვათო. სხულუხიამ ხელების ქნევა დაიწყო, მუნჯურად ეუბნებოდა სათქმელს ზალოუნიკებს. რუსულად უთხარი, ბიჭო, ესმით მაგათ რუსულიო, დასცინა გენერალმა ესვანჯიამ, რომელსაც ვერაფრით ვიგებ, რა ჰქონდა მაშინ სასაცილო. კარზე ვილაც აბრაზუნებდა. მოვიდნენ მგონია, გამოსცრა ესვანჯიამ კბილებში, კარი გამოგლიჯა, იქ მდგომ კაცს ყელში მაგრად მოუჭირა და თავში პისტოლე-

ტის ტარი ჩაარტყა. რასაა რო შვრები, ესვანჯია, ვალერა მალანია ვარ მეო, უთხრა ესვანჯიას ვაჟა მონიავას ატირებულმა მარჯვენა ხელმა. ესვანჯია დამშვიდდა. მალანიამ კითხვების დასმაც არ აცადა, ისე დაიწყო... ვაჟა მოკლესო, ბიჭები ზოგი მოკლეს, ზოგი დაიჭირესო. ბურდულაძემ შემოგითვალაო, მთავრობას უთქვამსო, ჩვენ თუ გადავდგებით, სულ არ გვაინტერესებს მაგ ზალოჟნიკებს რას უზამსო. მაგათ თუ დახოცავს, ყველაზე უარესი, რაც დაგვემართება, ისევ ვლასნის დაკარგვაა და ამიტომ ურჩევია, ჩაბარდეს და ისინიც გამოუშვას, თორემ სხვა შემთხვევაში ისინი თუ მოკვდებიან, მაგიც მოკვდება და გათავდება მაგითო. იცინოდა ესვანჯია ისევ. ამბობდა, ვერ დაუდგაო ბურდულაძე კარგადო. ჩაბარდები თუ გაიქცევი? - ჰკითხა მალანიამ ესვანჯიას. ესვანჯია ისევ იცინოდა.

* * *

თბილისი ჯერ არაფერს ამბობდა ხმამაღლა. მასე იცოდნენ მაგათ. ჯერ საქმეს გააკეთებდნენ და მერე იგებდა ამას ქვეყანა. ახლაც მასე იყო. თითქოს არაფერი ხდებოდა ჯერ, მაგრამ ჯიხაშკარში უკვე იყვნენ შესულები ბატალიონ "რუხი მგლის" ნაწილები. უკვე შუალამე იყო და ძალიან ჩუმად, შეუმჩნეველად ვინროვდებოდა ალყა, რომელშიც მოქცეული იყო ჯონი მანიას ოდა. ჯიხაშკარში ყველაზე მალალ და რთულად მისაღწევ ადგილას იდგა ჯონი მანიას ოდა. ზევიდან გადაჰყურებდა მთელს სოფელს და დღისით, ყველა ბილიკის გაკონტროლება შეიძლებოდა იქიდან. იმ ღამეებში ისეთი ნათელი მთვარე იყო სამეგრელოში, ღამითაც შეიძლებოდა შეგემჩნია მოძრაობა თუ ძალიან დააკვირდებოდი, მაგრამ აჩქარებულ და ჭკუიდან გადასულ ესვანჯიას აღარ ჰქონდა დაკვირვების დრო და ნერვები. ზალოჟნიკებს უთხრა, თქვენ ხელგანეული ჩადით სოფლის ცენტრში, არავინ გესვრით და პატრონსაც ჩაგაბარებენო. მერე თავის რაზმელებს მიუტრიალდა და მეგრულად უთხრა, სახლის უკან გავიდეთ სიმინდებში ჩავენეთ და იქნებ ასე გავაღწიოთ სოფლიდანო. იცოდა ესვანჯიამ, უკვე სოფელში რომ იქნებოდნენ მისი მტრები. მაგის მეტი რა იცოდა, სამი ომი ჰქონდა ნაგებული. მეც მომეციო იარაღი, შენს გვერდით ვიბრძოლებო, ხვეწნა დაუნყო ესვანჯიას ტიტო რამირესმა. არ გაგიკვირდეთ ეს ამბავი. ზოგჯერ არის ხოლმე ისე, კაცი რომ აღგაფრთოვანებს და მის ვაჟკაცობაზე გიჟდება. ვერ ტოვებ ამ კაცს ისე. მოკვდები კიდევ მის გამო. გაეროს დამკვირვებელიც რომ იყო და არაფერი გასაქმებოდეს შუალამისას გათოშულ სამეგრელოში, არც ქართულ სამოქალაქო ომს რომ უხდებოდეს მებრძოლი, რომლის გვარიც დებილური სერიალის კუნთებადბერილი პერსონაჟის გვარს ჰგავს, მაინც მოკვდები. იმიტომ, რომ აღფრთოვანებას არც ეროვნება აქვს და არც კონტინენტი. მე თუ მკითხავთ, პატრიოტიზმი არცაა წრფელი გრძნობა. პატრიოტიზმი პათეტიკაა მაინც. აღფრთოვანებაა მთავარი. სიგიჟეს და გმირობას აღფრთოვანება ჩაადენინებს კაცს. ისიც მგონია, რომ ესვანჯია ტყვიანზე საქართველოს გამო კი არა, პრეზიდენტით აღფრთო-

ვანების გამო მიდიოდა. უყვარდა და პატივს სცემდა გენერალი გარდაცვლილ პრეზიდენტს. რომ მოკლეს, მის მერე კიდევ უფრო მოუნდა მისი სახელით ბრძოლა, რადგან იმედზე დიდი მოტივატორი სასონარკვეთაა. სასონარკვეთილი ბრძოლა უფრო ფიცხელი ბრძოლაა. იცი, რომ მაინც მკვდარი ხარ და ფეხებზე გკიდია, ბოლომდე მიდიხარ, არაფერს კარგავ... ეს ურუგვაელი კიდო არ ჩერდებოდა. მომეცითო იარაღიო. ესვანჯიამ უთხრა, გიჟი ნუ ხარ კაცო შენო, ტყვე იყავი, გიშვებ, ახლა სულ ხტუნაობით უნდა მიდიოდე ამ სახლიდანო. მაინც არ მისცა ბოლოს იარაღი. ჯუმა სხულუხიას ყელში რომ ამოუვიდა, სულ ნიხლებით გაყარა ეს უცხოელები სახლიდან. ხელგანეული მიდიოდნენ გაეროს დამკვირვებლები ჯიხაშკარის ცენტრისკენ. გზას უნათებდათ ცისფერი სინათლე კოლხური მთვარისა. ახლა ესვანჯია და მისი ბიჭები გავიდნენ სახლიდან. უკვე მოსულიყვნენ სახლთან თბილისის ჯარისკაცები. ათი ან მეტი ავტომატი ესროდა აჩიკო ესვანჯიას და მის რაზმელებს. პირველივე შემოტევისას ჩაცხრილეს ჯუმა სხულუხია. დაჭრილი იყო ესვანჯიაც. ძირს იწვა, ჯუმას ცხედარს ეფარებოდა და ასე ისროდა უმისამართოდ. მთვარე კი იყო, მაგრამ არსად ჩანდნენ მტრები. მარტო ავტომატების ხმა ისმოდა მათი და ისიც იმდენი იყო, რომ ვერაფრით გაიგებდი, რომელი საიდან ისმოდა. მერე ვილაც კიდევ შემოვარდა ჯონი მანიას ეზოში. ისროდა ისიც. გრძელი თმა ჰქონდა, გაშლილი, რემბო გეგონებოდა, მაგრამ პატარა ტანის იყო რემბოზე და სიფრიფანა კიდო. ქალი იყო კი. მაგდა იყო დარსალა. გაიქეცი, სიყვარულო, დაგაზღვევ მეო, ყვიროდა როგორც შეეძლო. ვერ მოუსწრო ესვანჯიას მან. მანამდე მოკლეს გენერალი. ალბათ, მაგდასაც მოკლავდნენ იმ ღამეს.


* * *

მონტევიდეოში რომ გამოთბა, საზაფხულო არდადეგებზეც მოუნიათ სამხრეთელ მეშვიდეკლასელებს. გაგიკვირდებათ და, როგორც ჩვენთან ხდება, სკოლის ბოლო დღეს რომ ზეიმებია სკოლებში და ბავშვებს ლექსებს და სიმღერებს აზუპირებინებენ, ზუსტად ასე ყოფილა ურუგვაისა და არგენტინაშიც. კლასის დამრიგებელს და მათემატიკის მასწავლებელს, ჰორასიო ალვარესს ეცვა ძალიან სასაცილო პიჯაკი და ესხა სუნამო, რომელსაც ანტონიო ბანდერასი ერქვა. ჰორასიო ალვარესს ძალიან უნდოდა, რომ შთაბეჭდილება მოეხდინა განათლების სამინისტროს წარმომადგენელზე. თანაც მთელი ზეიმის სცენაზე გატარება უნევდა. სწორედ ის აცხადებდა გამომსვლელ მეშვიდეკლასელებს, რომელსაც პუბლიკისთვის თავისი ნომერი უნდა წარედგინა. აჩიკოო რამირესიიიი - გამოაცხადა ჰორასიო ალვარესმა. სცენაზე საშუალო სიმაღლის, ქერა მერვეკლასელი ავიდა. ჯიბიდან ძალიან ძველი, რვად გადაკეცილი ფურცელი ამოიღო. მაგნიტოფონში ფონოგრამა ჩართეს. აჩიკო რამირესმა უცნაურ ენაზე დაიწყო სიმღერა:

“ააასე ჩონგური ქოვთქუათუ ნააა
სკან დო ჩქიმი გაჭირება ნააა,
ოუ ნანა, დიდავოი ნაანა, დიდავოი ნანინააა...”

ლევან სებისკვერაძე

აპრილის საბანი



გავარტყი იმ დღეს, როცა პირველი ონლაინ-ტოტალიზატორი შეიქმნა! წყეულიც იყოს გამაზვების ინტერნეტში გადატანის მომგონი უკუნისამდე! (ძირს დახრისას მუხლები საზარლად რომ არ მიჭრიალებდეს, ამ დროს 12 მეტანიასაც კი გავაკეთებდი). მძულს და მესაძაგლება ყოველივე, რაც ებრძვის დიდ ოთახს, ოთახში ბევრ ხალხს, ბევრი ფურცლის შარიშურს, მელნით დათხვრილი მაგიდის კიდებს, დარდიან ამოოხვრებს და, რაც მთავარია, სიხარულის ყიჟინას სასურველი გოლის გატანის შემდეგ...

მე როლანდი ვარ - მაზავიკოთაგან როლანდ დე ბურად წოდებული. პაპაჩემ ევგენას მიერ მუხიანში დატოვებული ერთოთახიანი ბინა ამ ხუთი წლის წინ ტოტალიზატორში (რა თქმა უნდა) წავაგე და იმის შემდეგ სულ ორი რამ შევიცვალე - საცხოვრებელი ადგილი და სიგარეტი. მოწვეით ისევ ვენევი, მაგრამ რასაც ახლა ვენევი, იმ უიაფეს სიგარეტის კოლოფს თეთრ-მწვანეზოლიანი დროშა ახატია მასზე გამოსახული სეპარატისტული წითელი ხელით. ჩემი სახლი კი ესაა! ეს კედლები, ეს მრავლისდამტევი სარკმლები, საიდანაც სიხარულით აკანკალებული

ხელით მრავალს აუღია მოგება და კიდევ ბევრი აიღებდა, რომ არა ორი დედარღნიანობა - ორი, როგორც ბუფონი და ტოლდო, როგორც შოთა და აჩი, როგორც ირინა შეიკის ძუძუები და როგორც "ბაკავი" მსაჯები.

ეს ორი დედარღნიანობაა თბილისური ტოტალიზატორების მასობრივი დახურვა და კიდევ უფრო მასობრივი პანდემია.

ეს პანდემია ახლა, მგონი, ყველას აშინებს, ჩემ გარდა, რადგან შიშის გრძნობა მას მერე დავკარგე, როდესაც მამაძაღლობაში დახელოვნებულ უბნის ბიჭებს ჩუმად გავაღებინე ორი წლის წინ დაკეტილი, სარდაფში გახსნილი ერთ დროს ლეგენდარული ტოტალიზატორის კარი და ახლა აქ ვარ გამაგრებული, როგორც თბილისის "დინამოს" დაცვა როტერდამის "ფეინოორდთან" იმ დიად 81-ის გაზაფხულზე.

მე ვარ ტოტალიზატორის მოჩვენება, რომელსაც უბნის ბიჭბუჭობა ემეგობრება. მაგრად მესმის იმ ბიჭბუჭობის. ჩემს ბავშვობაშიც ყველას მოგვწონდა უცნაური, ცოტა საშიში, ცოტა მოკრიმინალო, ცოტა ისეთი ტიპები, რომლებთან მისვლასაც მშობლები გვიშლიდნენ, მაგრამ გულში მაინც მიგვინევდა მათკენ. მაგალითად, ჩემს უბანში იყო ერთი ეგეთი მამუკა, რომელიც საშინელ ჯურღმულში მარტო ცხოვრობდა. სულ მიგვეკონდა მასთან არაყი, ლარიანი უსაძაგლესი ძეხვი და ვუსმენდით მის ბოდვებს "კაცობაზე", "ქურდულზე" და ხანდახან რუსეთის ციხიდან მოფრენილ მუსიკალურ ჰანგებსაც გვასმენინებდა საბჭოური მინჯლრეული ერთკასეტიანი "ელექტრონიკათი". ხომ გახსოვთ ეგ მაგნიტოფონი?! აი, კასეტა ზემოთ რომ ამოდიოდა რალაცნაირად მახინჯად და მერე ეს ამოსასვლელი მექანიზმი მალი-მალ ფუჭდებოდა, "პლიტასთან" გაზრდილი თბილისელი ქურდებივით.

ამ ბიჭბუჭობამ მასწავლა მეც მობილურ ტელეფონში "გამაზვა", დავარცხნილად კი - "ფსონის დადება". მე კი ვდებდი ამ ვირტუალურ ფსონებს, მაგრამ რა ხეირია აქედან?! წარმოიდგინეთ, იანვარია, მაგრად ცივა, ვნევარ ერთმანეთზე მიდგმულ, ერთ დროს საფსონე ქალღებობის სავსე მაგიდებზე, მაფარია ჩემი ბიჭების მიერ სახლებიდან მოპარული ადილა-საბნები, ვანკაპუნებ იმ ძველ, დებიტ ტელეფონს და დამპალი ზედა მეზობლიდან მოპარული WiFi-ის მფობები (ცდილობ, "დეპორტივოს" ე.წ. ლაბავი დევიკა ავიღო. არ მემორჩილება ტელეფონის დაკანრული ეკრანი, არ მემორჩილება გაყინული თითები და ჩასარიცხი აპარატიდან ანგარიშზე შეტანილი კაპიკებიდანაც სულ ლარ-ნახევარილა დარჩენილი. გავარტყი ასეთ დაფსონებას და ასეთ ცხოვრებას! გავარტყი და მერე როგორ გავარტყი! აი 78-ში ცხოვრებულმა რესენბრიკმა რომ გაარტყა ბურთი არგენტინის კარის ძელზე - იმაზე მეტად და ჯიგრიანად!

იმ ძველი ამბებიდან ყველაფერი მახსოვს და მაშინდელი ხალხი გონებაში ისე მოულოდნელად ამომიხტება ხოლმე, როგორც ვირუსები ძველ კომპიუტერში. მახსოვს ორი უცხო სომეხი ბიჭი, რომლებიც, როგორც ჩანს, მაშინ პირველად შემოეხეტნენ ტოტალიზატორში. აი, აქ ისხდნენ, ზუსტად აქ! დიდ

ფანჯარასთან, მონიტორის ძირში, როდესაც ერთმა მეორეს გახარებულმა მიარტყა ფეხი ჩურჩულით: "სლიშიმ, არმენია ვიგრალა!" გაიგო, რა რომ გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში ბილეფილდის "არმინიამ" "ბოხუმი" მოსპო. ბილეფილდური გუნდი სომხეთის ნაკრები ეგონა იმ კაი კაცს და ჟოზე მოური-ნიოს ანგაცვეთილ პალტოსა ვფიცავ, შევძელით და არავის გაგვეცინებია.

მერე იყო ერთი ტიპი, რომელსაც "ემოციური" დავარქვით. არადა, ყველაფერი იყო ემოციურის გარდა. დიდი ქვეშევრდამ მაიმუნი ვინმე იყო. მოვიდოდა, გახამებული პერანგის ჯიბიდან ამოაცოცებდა სახლში წინასწარ შედგენილ ბილეთს, დადებდა 50-ლარიან ფსონს და ხალხნო!.. ღმერთებო!.. სულ იგებდა, სულ! მოდიოდა აი აქ, ამ ახლა უკვე უფანჯრებო სარკმლებთან, გადაყოფდა გამხდარ, დაძარღვულ ხელს და იქ კიდევ ჩაულაგებდნენ, ჩაუთვლიდნენ შოთა რუსთაველებსა და თამარ მეფეებს. მივდიოდით, ვთხოვდით, გვაჩვენე - რა მოიგო, როგორ მოიგო... მაგრამ ისეთი თუქსუსი ვინმე იყო, მოგებულ ბილეთსაც კი არ გვაჩვენებდა, მოფიქრებულ თამაშებს ხომ ცოცხალი თავით ვერ ამოგლეჯდი პირიდან. იყო სულ ჩუმად და გვიყურებდა დამცინავად. ერთხელ, კაცო, 10 ათასი ლარი მოიგო და ერთი სიხარულის ზმუილიც კი არ ამოსვლია პირიდან. იმიტომაც დავარქვით "ემოციური". ეგეთი გინახავთ რამე? არ მინდა მაგის გახსენება...

ახლა, როცა მთელი ქალაქი გაჩერებულია, აღარც ბურთი დაგორავს სადმე, აღარც ჩემი ბიჭბუჭობა მომიდის და როცა უკვე ნათლად ვხედავ, რომ შიმშილობა კარზე მომადგა, სარდაფიდან აღარც ამოვიდივარ. აი, რომ ამოვიდე, რა ვქნა? ვის რა მსაჯის სასტვენზე ვკიდივარ? ერთმანეთზე მიწყობილ მაგიდებზე ვწევარ და ძველ ამბებს ვისხენებ. კარგად მახსოვს, 1992 წელი იყო, როდესაც თბილისში პირველად ჰუმანიტარული ტანსაცმელი შემოიტანეს. ტელევიზორიდან ერთი შავწვერა კაცი სიამაყითა და სიხარულით გვამცნობდა, რომ "დასავლეთს შევეცოდეთ და უფასო ტანსაცმელი გამოგვიგზავნა". კაცი იფიქრებდა, მაშინდელ მძიმე და უპერსპექტივო ყოფაში მართლა გარდატეხა მომხდარაო...

ეს ამბავი ნამდვილად არ დაგვანტერვებდა ფეხბურთზე გადარეულ მაშინდელ მოსწავლეებს, ქალაქში ხმა რომ არ გავარდნილიყო, გემით შემოტანილ ჰუმანიტარულ ტანსაცმელში, უცხოური სხვადასხვა საფეხბურთო კლუბების მაისურებიც ურევია და ვინც მოინდომა, ისეთი მაისურები იშოვა, თბილისში მისი ნახვა წარმოუდგენელი რომ იყო.

ერთი სიტყვით, შევიკრიბეთ რამდენიმე ბიჭი. ყველანი ფეხბურთზე გადარეულები, ფეხბურთის ცქერის სურვილის გამო შუალამობით ჩაბნელებულ ქალაქში პატარა ტელევიზორებისა და ავტომობილის აკუმულატორების მთრეველები. ერთ-ერთი ჩვენი მეგობრის მამის მიერ მოკვლულ მისამართზე, ვაგზლის მოედანთან ახლოს მივედით იქ, სადაც მეორადი ტანსაცმელი და, შესაბამისად, ნანი-ნანატრი მაისურებიც გვეგულეობდა. ზოგს ფული მიგვეკონდა მაისურების შესაძენად, ზოგს კი იმის იმედი გვეკონდა, რომ რამდენიმე მაისურს უფულო-



დაც არ დაგვამადლიდნენ ფეხბურთზე თავიდან ფეხებამდე შეყვარებულ ბავშვებს.

თავიდანვე შევამჩნიეთ ერთსართულიანი შენობის წინ მდგარი რამდენიმე ათეული ადამიანი, რომლებიც ყოველგვარი რიგის გარეშე, ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და დიდ მსჯელობაში იყვნენ. როგორც გაირკვა, ეს ადამიანები იყვნენ ე.წ. გადამყიდველები, რომლებიც უცხოეთიდან საქართველოსთვის საჩუქრად გამოგზავნილ ტანსაცმელს ერთიანად ყიდულობდნენ და შემდეგ იმათზე ყიდდნენ, ვისაც, ნესით, საჩუქრად უნდა მიეღოთ. იდგნენ და იმაზე მსჯელობდნენ, ვის რამდენი უნდა გადაეხადა ერთ შეკვრაში და ფუთებიდან ვის როგორი ტანსაცმელი ამოუვიდა წინა მისვლაზე.

მივედით და დავდექით. გვინდა გავერკვეთ სიტუაციაში, მაგრამ ბავშვები ვართ და მორიდებისა თუ ჩვენი ასაკის გამო ვერ ვბედავთ გავიგოთ, რა ხდება და როგორ ხდება. ბოლოს, ჩვენში ყველაზე დიდმა და ყველაზე მოხერხებულმა გაბედა, გადამყიდველთა ერთ-ერთ ჯგუფთან მივიდა და უთხრა - ბიჭებს ფეხბურთის მაისურების ყიდვა გვინდა და აქ მოგვასწავლესო. რა მაისურებიო - გაიკვირვეს გადამყიდველებმა. ეგეთ რამეს აქ რა უნდაო?!...

მივხვდით, რომ ის გაცვეთილი ხალხი აშკარად რალაცას გვატყუებს, მაგრამ მაინც გარეუბნელი ბიჭები ვართ და არ გვეოფნის სითაეხედე, რომ ჩავეკითხოთ - აბა, რას დამდგარხართ ამდენი ხალხი და რას ყაყანებთ ამ ფუთაში ეს შარვალი ამომივიდა და იმ ფუთაში ის მაისურიო...

მოკლედ, ვართ ასე დაბნეულები და გაკვირვებულები. სხვებზე ნაკლებად არც მე დავბნეულვარ, მაგრამ რალაც უცნაურმა სურვილმა თუ ძალამ მიბიძგა, იმ უფროსი ხალხის დაუკითხავად გავმძვრა-ლიყავი წინ, გამელო რკინის პატარა კარი და იქ მყოფი მუშებისთვის შემეჩვილა: ასე და ასეა, ბიჭები მაისურებზე ვოცნებობთ და გარეთ მდგომები გვატყუებენ - აქ ეგეთი რამე არ არისო. მუშები მაინც სულ სხვა ხალხია! უბრალოები, გამგებები, დარდის მოზიარენი... ერთი ამათიცო - მითხრა ერთერთმა მუშამ, რომელიც შემდეგში კახად გამეცნო და მანიშნა, უკან გამომყევითო. მეც უთქმელად ნაყევი და ვგრძნობდი, დაბნეულობა საერთოდ რომ გამქრობოდა. მუშამ ძველი, საბჭოური ტიპის შუშაბანდიან დიდ შენობასთან მიმიყვანა, კარი ორმაგი გასაღებით გააღო და უცნაური ჩურჩულით მითხრა: მიდი, უცვებ რასაც ნახავ აიღე, თორემ მო-

ვა უფროსობა და გამიხურებსო. მეც შევედი და ვიხილე გახსნილ თუ გაუხსნელ ფუთათა მთები, გორები, ზვირთები და კოშკები. იდგა ნაფთალინისა და რალაც ჩემთვის სრულიად უცხო სუნი, რომელსაც მერე მადლიერმა ქართველმა ერმა "სექენჰენდის სუნი" უწოდა.

და გადავეში ტანსაცმლის ზღვაში... ვქექავდი შუბებსა და პალტოებს, მაისურებსა და ქალის ქვედაბოლოებს, ფეხსაცმელებსა და მალაყელიან წინდებს. და ჰოი, საოცრებაც, ვპოულობდი "რომას" მაისურს, უკან "ბლაზიტო" რომ ეწერა, ბრაზილიის ნაკრების რამდენიმენაირ ფორმას, მადრიდის "რეალის" სულ ახალ, იისფერ მაისურს, საღებავით დალაქავებულ "ჰამბურგის" შორტებს, პატარა ზურგჩანთას, რომელსაც "ბარსელონას" ემბლემა ამშვენებდა და ამ ყველაფერს ზამთრის მომლოდინე ციყვივით ერთ ადგილზე ვაგროვებდი, სანამ იმ დალოცვილიმ მუშამ არ შემოყო თავი და არ დამიძახა - გეყო, ახლა, კაცო, გამოდო!

იმ დღეს მე ვიყავი გმირი! გადამყიდველები გვიყურებდნენ, თუ როგორ ვურიგებდი სიხარულით გაცისკროვნებულ ბიჭებს ამ ნივთებს (სხვათა შორის, ერთი კამათი და შელაპარაკებაც კი არ მოგვსვლია - მე ეს მაისური მინდა და ის არაო) და ვგრძნობდი, რომ გადამყიდველებს, იმ საცოდავ, გაჭირვების გამო გატლანქებულ ხალხს რცხვენოდათ თავიანი საქციელის. ყაყანი შეენწყვიტათ, იდგნენ და ჩუმად უყურებდნენ ჩვენს ბავშვურ ზეიმსა და აღტკინებას. ქუჩა სველი იყო და ნესტიანი, იდგა 1992 წელი და იმ ჩაჟამებულ ადგილზე და ბნელ ქალაქში მარტო ჩვენ ვიყავით ყველაზე, ყველაზე ბედნიერები! ახლანდელ ყოფას, მაშ, ის დრო არ ჯობდა?! როგორ არ ჯობდა!..

გუშინ, ზედა მეზობლიდან დენის კაბელის ჩუმად ჩამოყვანისას, ერთ-ერთი ფეხებმორყეული მაგიდის კიდეზე წარწერა ამოვიკითხე და ჩემი ამ დამპალი ცხოვრების მანძილზე სულ რომ არასოდეს მიტირია, პირველად წამომცვივდა ცრემლები. მაგარი სანახაობა კია ისე, 40 წელს გადაცილებული, გაბომჟებული კაცი რომ ზიხარ ჩაბნელებულ სარდაფში და სლუკუნებ. მაგიდაზე ეწერა: "1400 ლარი, მე და ბიგვავამ ამოვდეთ ამ ბოზებს!". ეს იცით ვინ დაწერა? არ იცით! ეგ იყო ვინც იყო. მგონი, სულ პირველი მაზავიკი იყო მთელს უბანში კი არაა, შეიძლება, თბილისშიც ერთ-ერთი პირველი იყო. ძია ზაზა - დიდი, საბჭოთა, მილებიდან მუდამ კვამლამოსული ქარხნის ყოფილი ბუღალტერი, რომელსაც ზოგზოგიერთივით იმ დედაარლიან ცხოვრებაში არც ფულის მოტეხა შეეძლო და არც დირექტორის წითელ ტრაკზე კოცნა, რომ ბლომად ეშოვა ფული და საბჭოეთის მიძალღების მერე მთლად მშინერი არ დარჩენილიყო. არ ქნა, არ იცოდა ეგეთი რამე და იმიტომ! აბა, შენ ყოფილიყავი იმის ადგილზე? ბებიაშენისამ ისე გაჩერდებოდი რა?! ის კიდე, აი, ეგეთი ვინმე იყო, არ იცოდა ქრთამები და ამბები და დარჩა სულ ისე.

ჩემამდე ეს ზაზა იყო ტოტალიზატორის ღამის მოჩვენება - პირველი მოჩვენებათაგანი. ტრადიციას ვაგრძელებ, რალა! თან ჩემსავით კი არ იმალებოდა?! იყო სიმბოლო სრულიად მეფსონეებისა და

ამიტომაც ტოტალიზატორის უფროსობა აძლევდა ნებას, ღამით დარბაზში დარჩენილიყო. იქ როგორ ეძინა და ჩემსავით მასაც მოუჩანდა თუ არა ფეხები ნაჩუქარი საბნების ზღვიდან - ეს არ ვიცი, მაგრამ მე ის კაცი დაუვარცხნელი და ბეჩავად მუხლებზე სპორტულშარვაღამობერილი არასოდეს მინახავს. რას ჭამდა და სად ნესრიგდებოდა - ეს ხომ საერთოდ გამოცანად დარჩა. გამოცანა იყო მისი სიკვდილიც. დილით იპოვეს ტოტალიზატორის სკამზე ჩამომჯდარი. ხელში მისი კბილებით დაღრღნილი კალამი ეჭირა, თითქოს ორ უეჭველ თამაშს გაართყა და იმ წამს აპირებდა საფსონო ბილეთის ჩამონიკნიკებას. ეჰ, ზაზა, შენი ხსოვნა იყოს, ძმაოჯან! არც არაყი დამრჩა ეს ოხერი, რომ გაგიხსენო როგორც საჭიროა...

გარეთ კომენდანტის საათია, ავჭალიდან ქარი უბერავს და ფანჯრიდან სარდაფის წინ მდგარი გარინჩასავით ირიბად გადაღუნული ელექტრობოძის სილუეტის გარდა არაფერი ჩანს. შიმშილმა თითქოს გადამიარა, მაგრამ დაძინება განა ასე ადვილია... ახლა ნათიას და ეკას ვიხსენებ. გოგოები, ჩვენი გოგოები, ბილეთზე ბეჭდის დამრტყმელნი, მოგების გამცემნი, ჩვენი იმედი და მოთამაშეთა ცრურწმენის ხატებანი. ყველას გვჯეროდა, რომ თუ დილით დადებდი ფსონს, დაბლვერილ, მაგრამ რალაცნაირად ყველაფრისგან დაღლილ ეკასთან მისვლა ჯობდა. საღამოს კი კისკისა ნათია თუ მიიღებდა ფსონს - მოგება ხელში გეჭირა. სულ გვებუზღუნებოდნენ - კალმები რომ მიგაქვთ, რატომ არ აბრუნებთო, საფსონო პროგრამების ფურცლებს აგრე ჰაიჭარად ნუ ფანტავთო, ტანსაცმელზე თქვენი მონეული სიგარეტის კვამლის სუნის გამო ქმრები სახელში გვეჩხუბებიახო, მაგრამ მაინც ჩვენი გოგოები იყვნენ და ხანდახან ჩვენ უფრო მეტად გვეცოდებოდნენ ისინი, ვიდრე მათ ჩვენ. გაჭირვება და სიბეჩავე რომ არა, აქ ამ ჯურღმულში, იმ ყაყანსა და კვამლში, იმ შეშლილ და საცოდავ ხალხთან მუშაობა იქნებოდა?! როდესაც ტოტალიზატორი დაიხურა და დედაარლიან "ონლაინში" გადავიდა, ერთმანეთს ძველი მეფსონენი და ეს გოგოები ომის თანამებრძოლებივით დავშორდით. მახსოვს, ნათიას ცრემლიც კი ჩამოუგორდა.

გაბრაზებულმა პაპაჩემმა იცოდა ხოლმე თქმა - ეს სადა ვკვდები, ხალხოო... აი, იმ პაპამ, რომლის დანატოვარი ბინაც ხუთი წლის წინ 16 ათას დოლარად გავყიდე და დღესაც ვერ გადამინყვეტია, ვის ვაგინო - ესპანეთის პრიმერადივიზიონს, ვიგოს "სელტას" თუ საკუთარ თავს, რომელსაც გინება არც არასოდეს აკლდა და, ღვთის მადლით, არც არასოდეს მოაკლდება.

თითქოს ხომ აპრილია, მაგრამ რალაც ძალიან მურტლად აცივდა, კაცო. აცივდა და ამ სიბნელეში იმ ტურტლიანი ადილების ძებნა არ გინდა? არა, მე ახლა აქედან ცოცხალი თავით ამდგომი არა ვარ! ნეტა, ვინმე მოვიდოდეს, თბილი საბანი დამაფაროს, კოხტად შემომიკეცოს და ზღაპრის მოყოლა საჭირო აღარაა.

უკვე დიდი ბიჭი ვარ და მაინც აღარ მჯერა ზღაპრების.

ტესა ჰადლი

დაკრძალვის შემდეგ

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ



მამის დაკრძალვის შემდეგ ორი პატარა გოგონა, ცხრა და შვიდი წლისა, შინ გაჰყვნენ დარდისგან განადგურებულ დედას. რასაკვირველია, გოგონებიც დამწუხრებულნი იყვნენ, მაგრამ მამას არც ისე კარგად იცნობდნენ და არც ისე უყვარდათ ის. ფილიპი ავიახაზის პილოტი იყო და შვილები უფრო ლაღად გრძნობდნენ თავს, როდესაც ის შინ არ იმყოფებოდა; საზრიანი ბავშვები ხვდებოდნენ, რომ მამაც გაურბოდა შინ ყოფნას. 1970-იან წლებში, როდესაც კონტინენტიდან კონტინენტზე ავიაგადაფრენები ჯერ კიდევ ფუფუნებად ითვლებოდა, ფილიპ ლაიონსი ბოინგ-747-ით დაფრინავდა ატლანტიკის გაღმა-გამოღმა, სანამ გულის შეტევით გარდაიცვლებოდა, საბედნიეროდ, არა ჰაერში, არამედ - მიწაზე, როდესაც საკმაოდ პროზაულ ვითარებაში საუზმობდა ნიუ-იორკის სასტუმროს ნომერში. ავიაკომპანიამ ის

უსასყიდლოდ ჩამოასვენა ინგლისში. გოგონების მთელი ყურადღება მიჰყრობილი იყო დედაზე, მარლენზე, რომელიც მწუხარებას ვერ უმკლავდებოდა. დაკრძალვის ცერემონიის დროს არც კი უტირია, მხოლოდ დუმდა. შავი სპარსული კარაკულის ქურქი ეცვა. მომცრო ტანის ნაზი, ლამაზი ქალი იყო. შავი სათვალე შვენოდა. ნაბლისფერი თმა ასწნოდა. ტუჩებზე ნითელი საცხი ჰქონდა ნასმული. გოგონები ვარაუდობდნენ, რომ მარლენი კარგად ვერ ხვდებოდა მომხდარის არსს. იანვარი იყო და თემზის უსახო, პირქუში სასაფლაოს ცივ მიწასა და საფლავებზე აქა-იქ თოვლი იდო. როგორც ჩანს, მარლენი უწინ არასოდეს დასწრებია დაკრძალვას; გოგონებიც არ დასწრებიან, მაგრამ მალე გაერკვნენ ვითარებაში. მაგალითად, ტელეგადაცემებიდან იცოდნენ, რომ დედას მუქმინიანი სათვალე უნდა კეთებო-

და. მათ მოძებნეს სათვალე დედის საძინებელ ოთახში, რომელიც ახლა უეცრად მათ სამფლობელოდ იქცა და რომელიც მამა აღარასოდეს შემოვიდოდა. ლულუ სანოლის ატმისფერ გადასაფარებელზე ხტუნაობდა, სანამ შარლოტი კომოდის უჯრებში იქექებოდა. დაკრძალვისას გოგონებმა შენიშნეს, რომ დედა მალულად აცეცებდა თვალებს - ჩვეულებისამებრ, ელოდა ფილიპს, რომელიც ამ მძიმე სიტუაციისგან იხსნიდა. მამა მალე მოვა და სეირსაც გიჩვენებთო, უმწეოდ აფრთხილებდა მარლენი გოგონებს, როდესაც ისინი დედას არ უჯერებდნენ, ყვიროდნენ და სახლის ირგვლივ დარბოდნენ.

დაკრძალვის შემდეგ სამგლოვიარო წვეულებას ბებია, ფილიპის დედა უნდა გასძლოდა. შარლოტმა შეამჩნია განწირული ვედრება მარლენის თვალებში.

- არ შემოძლია, - სწრაფად ნაუჩურობდა მარლენმა უფროს ქალიშვილს, - არ შემოძლია ამ ქალის გვერდით ყოფნა.

ამიტომ შარლოტმა პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო და მოელაპარაკა დაკრძალვის ცერემონიალის განმკარგულებელს, რომელიც მზად იყო, ისინი შინ თავისი კატაფალკით წაეყვანა. შემდეგ გოგონამ ეს ამბავი აცნობა ბებიას, რომელმაც თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, მაგრამ მარლენის უსაქციელობა არ გაკვირვებია. ბებია ტანმალალი, ყოველთვის წელში გამართული ქვრივი ქალი იყო. ჭაღარა თმა მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი. ის აგროვებდა ძველი დელფტის კერამიკას, კითხულობდა ყველა ახალ რომანს და ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიდა: ოღონდ არა ლულუს, რომელიც სკამზე ცმუტავდა და ძირს იხრებოდა, რათა პედალებზე ხელები დაეჭირა, არამედ - მის უფროს დას. შარლოტი ბეჯითად სწავლობს, მაგრამ მუსიკალური სმენა არ აქვსო, ამბობდა ბებია. რა თქმა უნდა, ისიც იგლოვდა თავის უმცროს ვაჟს. დანარჩენი ორი ვაჟი ექიმი და დანტისტი იყვნენ, და თუმცა ბებია აგდებით ახსენებდა ხოლმე ფილიპის პროფესიას, თითქოს ეს რალაცნაირი ახირება იყო, ცირკში მუშაობის ან პოპ-ანსამბლში მონაწილეობის მსგავსად, მაგრამ გოგონები დიდი ხნის წინ მიხვდნენ, რომ ამგვარი კილოთი ბებია გამოსატავდა თავის განსაკუთრებულ სიყვარულს ფილიპისადმი. ბებიამ თავისი საყვარელი შვილი დაკარგა და ისეთი სასონარკვეთილი იყო, როგორც - ტრაგიკული მსახიობი ქალი ფილმში. შარლოტმა და ლულუმ ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს.

შინ ისინი ფუსფუსებდნენ მარლენის ირგვლივ, რომელიც პასიურად ემორჩილებოდა შვილების ზრუნვას; გოგონებმა აკოცეს დედას და წელ-წელა მოაცილეს ის საგნები, რომლებითაც შეამკეს დღისით მომხდარი დრამისთვის - მზის სათვალე, შავი შიფონის შარფი, ლურჯი ხელთათმანები (რადგან მარლენს შავი ხელთათმანები არ ჰქონდა), შავი ლაქის მალალქუსლიანი ფეხსაცმელები. ქურქს

პოლიეთილენის ტომარა ჩამოაცვეს. შემდეგ მარლენი ტელევიზორის წინ დასვეს და საბავშვო გადაცემა ჩაურთეს. ლულუ დედას ეხუტებოდა და ეფერებოდა მარცხენა ხელზე, რომელზეც საქორწინო ბეჭედი ეკეთა - ბეჭედმა ახლა ახალი მნიშვნელობა შეიძინა. შარლოტმა, რომელიც თავს მონიფულ ადამიანად გრძნობდა, ჩაიდნით წყალი აადულა და ჩაი დააყენა; თითოეულ ფინჯანში ორორი კოვზი შაქარი ჩაყარდა და ცოტაოდენი ვისკი ჩაასხა, ხოლო ლულუს ფინჯანში რძე დაამატა. ჩვეულებისამებრ, სკამზე ავიდა და მალალი კარადის თაროდან ნამცხვარი გადმოიღო. ამ თაროს მარლენიც ვერ სწვდებოდა, თუკი სკამზე არ დადგებოდა. ბევრი ნამცხვარი შეჭამეს. შარლოტმა ცეცხლზე გაფიცებული პურიც მოიტანა.

მოგვიანებით ფილიპის ძმა, დანტისტი რიჩარდი მოვიდა იმაში დასარწმუნებლად. რომ ყველაფერი რიგზე იყო. მან მოიტანა საჭმელი, რომელიც ბებიას გამოეგზავნა წვეულებიდან: ბუტერბროდები, კომბოსტოს სალათი და ნამცხვარი მადერით, ასევე - ორი ულუფა ყელე მანდარინებით (გოგონებისთვის). დებს არ უყვარდათ ბიძა. ეს გრძნობა გამონვეული იყო მოგონებებით საშინელ სავარძელში გატარებული დროის შესახებ, რომელიც თითქოს მათ სანამებლად საგანგებოდ იყო მოწყობილი. ახლა უკვე რიჩარდი გრძნობდა უხერხულობას. დაბნეული აცეცებდა თვალებს. ძმის სიკვდილს ვერ შეგუებოდა: რა სწრაფად მოხდაო, ფიქრობდა რიჩარდი, ზუსტად ისე, როგორც ხდებოდა ფილიპის ცხოვრებაში. გარდა ამისა, შავ კაბას, რომელიც მარლენს ეცვა - ეს მისი ერთადერთი შავი კაბა იყო - გულისპირი ძალზე ღრმად ჰქონდა ამოჭრილი; დაკრძალვის ცერემონიალის დროს გოგონებმა იზრუნეს იმაზე, რომ მარლენს კაბაზე კარდიგანი გადაეცვა და ლილები შეეკრა. გარეგნულად რიჩარდი ფილიპს ჰგავდა - მალალი, ჩასხმული, წითურთმიანი მამაკაცი იყო. როგორც კი სახლში შემოვიდა, მარლენი მივარდა და ისტერიულად აქვითინდა. რიჩარდმა ძლივს მოახერხა, დასხლტომოდა.

- დანყნარდი, მარლენ. უნდა გამხნევდე, ხომ იცი.
- როგორ დავწყნარდე? ყველაფერი დავკარგე. - უპასუხა ქალმა.
- ყველაფერი არ დაგიკარგავს. შვილები გყავს. მათი გულისთვის უნდა გამხნევდე.
- ფილიპის გარეშე ვერ ვიცოცხლებ! არ შემოძლია!
- მომავალზე უნდა იფიქრო.
- არ მსურს მომავალზე ფიქრი! მინდა ფილიპი დამიბრუნდეს! დღეს მის საფლავში უნდა ჩავვარდნილიყავი! ნეტავ, მეც მოვკვდე!
- შეშფოთებულმა დებმა ერთანეთს გადახედეს. რიჩარდმა ეს შეამჩნია.
- გოგონების დაძინების დრო ხომ არაა? - იკითხა მან მკაცრად.
- ლულუ ხმამალა ატირდა, სახე დედამისის ნა-

ხევრად შიშველ მკერდში ჩარგო და ხელები მაგრად შემოხვია წერნეტ წელზე. რიჩარდი მოიღუშა. მხოლოდ შარლოტმა შეძლო მათი დამშვიდება.

როდესაც რიჩარდი წავიდა, შარლოტმა "რადიო თაიმსი" გადაათვალიერა და აღმოაჩინა, რომ ათის ოცდახუთ ნუთზე "ბი-ბი-სი-1" -ზე გადიოდა ერთ-ერთი სერია მისი საყვარელი სერიალისა "კაცი, გვარად აირონსაიდი". ყველანი ერთად უყურებდნენ ხოლმე მას, თან ლორიან ბუტყებროდებსა და ჩიფსებს შეექცეოდნენ. ტელევიზორის წინ, როგორც ყოველთვის, ერთმანეთს ეხუტებოდნენ შალის ფართო პლედის ქვეშ. შარლოტს გაახსენდა, რომ არ უნდა ეთქვა: "რა სასიამოვნოა ასე ჯდომა!" უნინ, როდესაც გოგონების მამა შინ უნდა დაბრუნებულიყო, მარლენი პლედს კვლავ სტუმრებისთვის განკუთვნილ ოთახში აბრუნებდა, მაგრამ ახლა მათ უკვე აღარავინ შეუშლიდა ხელს. იმ დროისთვის, როდესაც "აირონსაიდი" დამთავრდა, დარდისგან ქანცგალეულ მარლენს უკვე ღრმად ეძინა, ღია პირით ოდნავ ხვრინავდა. წვრილად დაქნილი წარბები აენია, თითქოს რაღაც კითხვაზე პასუხს ელოდებოდა.

გოგონები სამზარეულოში შეიპარნენ; ლულუ ფეხის წვერებზე დადგა, რათა დაენახა, რა მოიტანა რიჩარდმა სამგლოვიარო ნეულებიდან.

- ბებიკომ ყელე გამოგვიგზავნა, - თქვა შარლოტმა. - საუკეთესო მინის ჭურჭლით, სტუმრებს რომ უმასპინძლდება, იმით.

ლულუ დედამისივით ტანმორჩილი იყო. ფართო, ფუნთუშა, ვარდისფერი სახე ჰქონდა, ისეთი, ანგელოზებს რომ აქვთ ხოლმე ნახატებზე. შავი თვალებს ხშირი წამწამები უჩრდილავდა, ხოლო ხვეული მუქი ნაბლისფერი თმის კულულები თითქოს მოუთმენლობისგან თრთოდნენ. მან ნელა აიღო ერთ-ერთი თეფში ყელეთი, მაღლა ასწია და სანამ შარლოტი იაზრებდა, თუ რას აპირებდა უმცროსი და, განზრახ დააგდო თეფში იატაკის ფილებზე. თეფში დაიმსხვრა. მინის ნამსხვრევები, ნითელი ყელე და ფორთოხლის ნაჭრები იატაკსა და კარადებქვეშ მიმოიფანტა; გოგონებმა გაიგონეს, როგორ იცვალა დედამ გვერდი სასტუმრო ოთახში, მაგრამ არ გაღვიძებია; რომ გაღვიძებოდა, დაუძახებდა შვილებს. გაბრაზებულმა შარლოტმა დასახეში ალიყური გაარტყა. შარლოტი თავის ასაკთან შედარებით ძალზე მაღალი და გამხდარი გოგონა იყო. ქერა თმა ბიჭივით მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი; დიდრონი ნაცრისფერ თვალებს სანახევროდ ქუთუთოები უფარავდა. ეს თვალები ააშკარავებდა პასუხიმგებლობის ტვირთს, ამ გოგონას რომ აწვა. როდესაც ლულუ სატირლად გაემზადა, შარლოტმა მხრებში ხელები ჩაავლო და შეანჯღრია.

- აქ ყველაფერი უნდა მივალაგ-მოვალაგოთ, - თქვა მან. - ვუთხრათ, თითქოს თეფში შემთხვევით დაგივარდა; გვაპატიებენ. განსაკუთრებით - დღეს. აღარ უნდა ვიცელებოთ, რაკი მამა მოკვდა. - რატომ არ უნდა ვიცელებოთ? - აღშფოთებით

იკითხა ლულუმ.
- თუკი ვიცელებოთ, ბებია წაგვიყვანს და მასთან ერთად ცხოვრება მოგვიხდება.

ამ პერსპექტივამ ლულუც კი დააფრთხო.

როდესაც დაკრძალვასთან დაკავშირებული ფუსფუსი და მღელვარება დამთავრდა, გოგონებმა დანაკარგის მნიშვნელობა იაზრეს. გაოგნდნენ, როდესაც რიჩარდის ცოლი, ჰილარი, მოვიდა მათ კიდევ ერთ ბიცოლასთან, დეირდრესთან ერთად, რათა ფილიპის ტანსაცმელი დაეხარისხებინათ - გადაედოთ ის, რაც მის ძმებს გამოადგებოდათ და ისიც, რაც "ხსნის არმიში" უნდა გაეგზავნათ; მარლენი ამ დროს სასტუმრო ოთახში იჯდა და ტირილდა. ეჩვენებოდა, რომ ფილიპი პასუხს მოსთხოვდა. ფილიპის რძლები ყოველთვის აღიზიანებდნენ და არ სიამოვნებდა, როდესაც ვინმე ქმრის ტანსაცმელში იქექებოდა. რაღაც უხამსი, თითქმის ბოროტიც კი იყო იმაში, თუ როგორ აფასებდნენ ჰილარი და დეირდრე ფილიპის კოსტიუმებს, ყნოსავდნენ სახელოებს ილიასთან და შარვლების შორისსაც კი. რამდენიმე ხნის შემდეგ ქალებმა ხმა აიმაღლეს და მარლენმა გოგონებითურთ გაიგონა, როგორ მრავალმნიშვნელოვნად თქვა დეირდრემ: "ყოველ შემთხვევაში, გარდაცვალებისას ის მარტო არ ყოფილა". მათ პირველად შეიტყვეს ამის შესახებ, მაგრამ მარლენმა ვერ გაბედა, დამაზუსტებელი შეკითხვა დაესვა რძლებისთვის.

მართალია, ფილიპი იშვიათად იმყოფებოდა ხოლმე ცოლ-შვილთან, მაგრამ მისი ხატება გოგონების ყოველდღიურ ცხოვრებას განსაკუთრებულ კოლორიტს სძენდა. ამას ისინი ახლა ხვდებოდნენ და ჯეროვნად აფასებდნენ. შესაძლოა, მამას არ სურდა, რომ გოგონების ცეცქობით თავი შეენუხებინა იმ დროს, რომელსაც შინ ატარებდა, მაგრამ ზოგჯერ უღიტიანებდა მათ და ჰაერში ისროდა; ჩამოჰქონდა მათი კოლექციისთვის თოჯინები სხვადასხვა ქვეყნიდან. ზოგიერთი მათი ქცევა - ტელევიზორის წინ ვახშობა, სამზარეულოს სახურავიდან ეზოში გატანილ ლეიბზე ხტომა, შედეგებული რძის ხვრეპა უშუალოდ თუნუქის ქილიდან - ახლა, როდესაც მისი მხრივ გაკიცხვისა აღარ ეშინოდათ, ნაკლებად მიმზიდველად ეჩვენებოდათ. ისინი ასევე ფიქრობდნენ იმის შესახებ, თუ რა ვითარებაში მოკვდა მამა, მაგრამ დეტალები არ იცოდნენ და ეჩვენებოდათ, რომ მამის სიკვდილის სცენა ისეთივე იდუმალი იყო, როგორც ის ამბები, რომლებიც საშინელებათა ფილმებში ფარდის მიღმა ხდება ხოლმე. "ყოველ შემთხვევაში, გარდაცვალებისას ის მარტო არ ყოფილა". რა საზარელ არსებასაც უნდა მოეკლა მათი უშიშარი და სიცოცხლით აღსავსე მამა, ეს არსება, ალბათ, ამაზრზენი იყო. ერთხანს ლულუ შარლოტის ოთახში იძინებდა ხოლმე, რადგან, როგორც კი თვალებს ხუჭავდა, მაშინვე მამა წარმოუდგებოდა.

- ნუ სულელობ, - მკაცრად ეუბნებოდა შარლოტი, თუმცა კედლისკენ იჩოჩებდა და ბალიშს

ისე დებდა, რომ ზედ ორივენი დატეულიყვნენ. - ის აღარ არის.

- ის ჩემს თვალებშია. - პასუხობდა ლულუ.

შარლოტმა იცოდა, რომ მომდევნო დილას თავისი სანოლის ვინრო კიდევ იქნებოდა მიმწყდელი, მაშინ, როდესაც ლულუ ქვეშეცნეულად დატკებოდა სანოლის დანარჩენ ნაწილის ფლობით. ზურგზე იწვებოდა, პიჟამა ილღობამდე ექნებოდა ანეული და შავი კულულები აუოფლიანდებოდა, ხმაურით ისუნთქებდა და ზედა მოკლე ტუჩიდან მარგალიტების მსგავსი პანანინა სარძევე კბილები გამოუჩნდებოდა.

როგორც კი გაირკვა, რომ მარლენს წარმოდგენა არ ჰქონდა ოჯახის ფულადი ქონების შესახებ, ფილიპის ძმებმა აკრიფეს მაგიდიდან ყველა დოკუმენტი, რომლებსაც ქალი, ერთგვარი ცრუმორწმუნეობის კარნახით, არც კი ეკარებოდა. ძმები შიშობდნენ, რომ მარლენი საქმეს წაახდენდა. აღმოჩნდა, რომ საკუთარ ფინანსებში ფილიპიც ვერ ერკვეოდა საკმარისად კარგად. ლაიონსებმა ოჯახის ყველა წევრი მოიწვიეს და თათბირი გამართეს. ბებიამ პირქუში კმაყოფილებით გააცნო მათ საქმის ვითარება. ფილიპს სიცოცხლე დაზღვეული არ ჰქონდა, პენსია კი ძალზე მცირე იყო: მის ოჯახს სხვაგან დაბინავება მოუხდებოდა, რადგან სახლის საიჯარო გადასახადი ძალზე მაღალი იყო. ფილიპის ძმები აპირებდნენ, ერთობლივად გადაეხადათ სასწავლებელში გოგონების სწავლის საფასური, მაგრამ დანარჩენი ხარჯების დასაფარავად მარლენს მუშაობა უნდა დაენყო. დეიდრემ შესთავაზა, ადმინისტრატორად ემუშავა ექიმთან, რომელიც ოდესღაც დენისთან ერთად სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა. მოგვიანებით მარლენი ამბობდა, რომ ნაწყენი სულაც არ იყო ბებიასზე და, უმეტესად, უდრტვინველად ემორჩილებოდა მის ავტორიტეტს: "ჩვენ მხოლოდ უწინ გვექონდა კონფლიქტი, რადგან ის ქვრივი იყო, მე კი ცოცხალი ქმარი მყავდა". გოგონები ანუგეშებდნენ დედას: ბებია ისეთი მომხიბლავი და ლამაზია არაა, როგორც შენ ხარო.

სამივენი უკვე სხვა თვალთ უყურებდნენ სახლს, რომელიც მათი ოჯახური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო და ახლა ძალზე ძველი და სევდიანი ეჩვენებოდათ.

დაახლოებით ამ დროს კიდევ ერთი აღმოჩენა იყო სცენაზე მარლენის ნათესავების (რომელთა შესახებაც ბებიამ, რა თქმა უნდა, არაფერი იცოდა) გამოჩენა, თუმცა - მცირე ხნით. ეს ქალი და მამაკაცი, თავს, შესაბამისად, მარლენის დად და ბიძაშვილად ასალებდნენ, თუმცა გოგონები ამაში დარწმუნებული არ იყვნენ, რადგან ეს ნათესავები აქამდე არასოდეს გამოჩენილან და არც არავის უხსენებია. შარლოტს და ლულუს ძალზე როდი აოცებდა ის, რომ დედის ნათესავები მათ ცხოვრებაში არ ჩანდნენ: მარლენი, მათი აზრით, ერთადერთი, განუმეორებელი ადამიანი იყო. ახლა ეს ხარვეზი გაორმაგებული ძალით შეავსო ამ უჩვე-

ულო წყვილმა, რომელიც გრეთ-იარმუთიდან პატარა ავტომანქანით ჩამოვიდა. როგორც ჩანს, იმედოვნებდნენ, - როდესაც მარლენი მოულოდნელად მათ დაუკავშირდა დაკრძალვიდან რამდენიმე კვირის შედეგ - რომ საქმე მემკვიდრეობას ეხებოდა ("რა ამპარტავანი ძუკნაა" - მოესმა ერთხელ შარლოტს დედის სიტყვები, როდესაც სტუმრები უკან გასამგზავრებლად ემზადებოდნენ). მარლენმა მათ ჩაი დაუსხა საუცხოო მომწვანოყავისფერი ფაიფურის ფინჯნებში. ჩაიდნის ორივე ხელით აწევა გაუჭირდა და თრთოდა. "ვიცოდით, რომ აუცილებლად უნდა გათხოვილიყავი" - უთხრა დამ. ამ ჩასუქებულ ქალს შხამიანი ენა ჰქონდა; ბიძაშვილი გამხდარი კაცი იყო, შეღებილი მოყვითალო თმა ჰქონდა, საყურეს ატარებდა და ლაჟვარდისფერი ნაილონის ფართო შარვალი ეცვა. ძნელად დასაჯერებელი გახლდათ, რომ მათ რაიმე კავშირი ჰქონდათ მარლენთან, რომელსაც უნდოდა, ირგვლივ ყველაფერი ლამაზი ყოფილიყო და ამაცობდა იმით, თუ როგორ მოხდენილად აცვამდა შვილებს. გოგონები ჯერ კიდევ მამის სიკვდილამდე წაგავდნენ ობლებს, რადგან მარლენი გატაცებული იყო ეგრეთ ნოდებული "ვიქტორიანული" სტილით: ნაოჭიანი უჯრულა კაბები, ხავრდის ლენტებით შეკრული თმა, ამობურცულზოლებიანი შავი წინდები, რომლებიც რეცხვისას იწვებოდა და ფეხებზე ძირს ეკიდებოდა, ისე, რომ გოგონები განუწყვეტლივ მაღლა ექაჩებოდნენ მათ.

მარლენი სამსახურით კმაყოფილი იყო. ექიმი, მისტერ ჩერი, ძია დენისზე გაცილებით უფრო სასიამოვნო კაცი გახლდათ. მაღალი, ხალისიანი და მხრებში ოდნავ მოხრილი, ტლანქ, ფიზიკურად ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ მოზარდს ჰგავდა. შავჩარჩოიანი სათვალე ეკეთა და პერანგის საყელო ერთთავად გაქონილი ჰქონდა. მარლენი ფიქრობდა, რომ ექიმის ცოლი სათანადო ყურადღებას არ აქცევდა ექიმის პერანგების სისუფთავეს. ვინაიდან მისტერ ჩერი ძალზე გათვითცნობიერებული იყო მედიცინაში, ამიტომ პაციენტები (განსაკუთრებით - მოხუცი ქალბატონები) ზოგჯერ ნაწყენნი რჩებოდნენ იმით, რომ არც ისე მნიშვნელოვნად მიიჩნედა მათ დაავადებებს; მარლენის როლი იმაში მდგომარეობდა, რომ დაემშვიდებინა და მოეხიბლა ისინი, რასაც ქალი შესანიშნავად ახერხებდა. ლაპარაკის დამაჯერებელი კილო გათხოვებამდე გამოიმუშავა, როდესაც ბორტგამცილებლად მუშაობდა. გოგონებს პატარაობისას უყვარდათ "თვითმფრინავობანას" თამაში დედასთან და აიძულებდნენ ელაპარაკა დათაფლული, მანერული კილოთი (როგორც ბორტგამცილებლებს სჩვევიათ). ამ ხმას გოგონები დედის იდუმალი არსების ნაწილად აღიქვამდნენ. დროდადრო ისინი სკამებს მწკრივებდა აწყობდნენ ოთახში, რიგრიგობით მოჰქონდათ ჭიქები "სკოპითა" და ყინულის ნატეხებით და იკრავდნენ წარმოსახულ უსაფრთხოების ღვედებს. "ქალბატონებო და ბა-



ტონებო, ჩვენ ოცდაათი ათასი ფუტის სიმაღლეზე ვიმყოფებით”.

როდესაც გოგონები წამოიზარდნენ, ეს თამაში აღარ იზიდავდათ. ახლა ისინი ყოველდღე, გაკვეთილების შემდეგ, მიდიოდნენ ექიმის მისაღებ კაბინეტში. ძალზე მოხდენილები იყვნენ თავიანთ ერთნაირ მუქ ღვინისფერ ტანსაცმელში: ზაფხულობით ბლეიზერები ეცვათ, ზამთარში - გაბარ-

დინის ლაბადები. ეხურათ ფეტრის ქუდები, რომლებიც ნიკაპქვეშ რეზინით მაგრდებოდა. შარლოტი გულგრილად, ცივად იმზირებოდა თავისი წვიმის ან ჭაობისფერი თვალებით; გამხდარი გრძელი ხელ-ფეხი ჰქონდა; მყისვე იწყებდა მუშაობას, ალაგებდა საქალაქეებს და ესმოდა, როგორი აპლომბით ლაპარაკობდა დედამისი მისაღებ ოთახში. ამასობაში ლულუ მისაღები ოთახის ხალიჩაზე

პირქვე წვებოდა და გატაცებით აფერადებდა ნახატებს თავის ალბომში, შემდეგ კი ფერადი ცარცის ყოველ ნატეხს თავის ადგილას დებდა კოლოფში. დროდადრო დგებოდა, რათა რომელიმე მათგანი წაემახა ნაგვის ვედროში.

მყუდრო კაბინეტი იყო. ზამთარში, როდესაც გაზის ბუხარი შიშინებდა, ლულუს ფერადი ცარცი ქალაღზე წრიპინებდა, მარლენი კი დროდადრო ხმამალა ასახელებდა პაციენტის გვარს თავისი სიიდან. რა თქმა უნდა, გოგონებს ხშირად ავადმყოფობდნენ ამა თუ იმ ვირუსით; მარლენი ამბობდა, რომ ლულუ განზრახ სჩადიოდა ამას, რათა სკოლაში არ ევლო. შარლოტს მოსწონდა სკოლა ან, ყოველ შემთხვევაში, მოსწონდა, რომ კლასში საუკეთესო მოსწავლე იყო. ლულუს ეჯავრებოდა სკოლა, ბეზრდებოდა გაკვეთილებზე, ყოფნა თამამებშიც სათანადოდ ვერ იჩენდა თავს. და მაინც, ის პოპულარული იყო სხვა გოგონებს შორის, რომლებსაც სიამოვნებდათ, როდესაც ლულუს ხელს ჰკიდებდნენ და თმაზე ეფერებოდნენ, ისე, თითქოს გოგონა მათი შინაური ცხოველი იყო. სკოლის უკან, ვარდების ბაღში ლულუ სხვებთან ერთად ხტუნაობდა ფრანგულ სახტუნელაზე, ან სამკითხაო კარტებს შლიდა: “ჭეშმარიტი სიყვარული გენვევა”, “მომდევნო ჯერზე გაგიმართლებს”, ან “სერიოზული არაფერი მოხდება”.

მისტერ ჩერის კაბინეტი ჰემსტედ-ჰითში რამდენიმე მილით იყო დაშორებული მათი ახალი ბინისგან და ადვოკატის ოფისის თავზე იყო განლაგებული. მარლენი და გოგონები შინ ჯერ ერთი, მერე კი მეორე ავტობუსით მიემგზავრებოდნენ. ხშირად ისინი ექიმს მიჰყავდა თავისი მანქანით და ზოგჯერ მათთან შედიოდა, რათა დაეღია. სამივენი სთხოვდნენ, რომ ცოტა ხანს კიდევ დარჩენილიყო მათთან: ლულუ ლოყით ეხუტებოდა ექიმის ტვიდის კოსტიუმის უხემ სახელოს, მხარზე ეტორღიალებოდა და ხელს არ უშვებდა; შარლოტი ყველას წინ უსწრებდა. კიბეზე არბოდა, ან თებდა შუქს და გაზის ბუხარს, და ხურავდა ფარდებს სასტუმრო ოთახში, რომელიც ჰაი-სტრიტზე გადიოდა - საბედნიეროდ, აქ მხოლოდ გამოსავლელ დღეებში იყო ხმაური. ბინაში მათ გადმოიტანეს მძიმე ძველი ავეჯი, როიალიც კი. ფილიპის მამამ - გოგონების ბაბუამ - რომელმაც დიდი ხნის წინ იმოგზაურა შორეულ აღმოსავლეთში, ჩამოიტანა ჭურჭლის კარადა და შავი ხისგან გამოთლილი ორი უზარმაზარი საკარცხული, სამეფო ტახტებს რომ ჰგავდა. ეს ავეჯი მცირე მოცულობის სივრცეში დომინირებდა. შარლოტს კარადიდან ბროლის ჭიქები და ერთი ბოთლი ჯანჯაფილის ლუდი გამოჰქონდა. მოზრდილთა ჭიქებში ვისკის ამატებდა. გოგონები კი კოკა-კოლას სვამდნენ, რომელშიც შეიძლება ერთი წვეთი ვისკი ჩაესხათ; ზეთისხილსა და მარილიან თხილს პატარა მოჭიქულ თეფშებზე აწყობდა.

სამსახურში გატარებული დამდლები დღის მიუხედავად, მარლენს სიამოვნებას ანიჭებდა ეს

ინტიმური soirees, როგორც თვითონ უწოდებდა მათ - ფრანგულად არ ლაპარაკობდა, მაგრამ როდესაც ბორტგამცილებლად მუშაობდა, ფრანგული პრონონსი შეითვისა და იმიტაციის კარგი უნარიც ჰქონდა. “პატარა მაიმუნივით საზრიანი ხარ” - გამოაჯავრა ერთხელ ინტერესით და სკეპტიკურად მისტერ ჩერიმ, რომელიც დაბალ სავარძელში ჯდებოდა ხოლმე, თითქოს ადამიანებს ემალებოდა, თუმცა ფანჯრებზე დაკიდული სქელი ფარდების გამო მას ვერავინ დაინახავდა. ექიმის გრძელი კიდურები ავეჯით გადატვირთულ სივრცეში კიდევ უფრო გრძელი მოჩანდა. გონიერი სახე ჰქონდა. მარლენი მის გვერდით, დივანის კიდეზე იჯდა, ნაილონისწინდებიანი ფეხები ჯვარედინად ეწყო, Sobranie-ს ენეოდა და ეკითხებოდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებისა და გასახდომი დიეტების შესახებ ან იხსენებდა პარიზსა და ვენეციას, რომლებიც გათხოვებამდე მოინახულა, თან ღიღინებდა და სიგარეტიან ხელს აქეთ-იქით იქნევდა. გოგონებმა, რომლებიც იცნობდნენ ამ სიმღერებს, მელოდიებს ხმები ააყოლეს. მარლენმა ექიმს ჰალსტუხი მოხსნა და ფეხსაცმელი გახადა, თან ეუბნებოდა, ზედმეტად ბევრს მუშაობო. “მინდა, შენი პერანგი მოვიზომო” - თქვა ქალმა. ელექტრობუხრის სითბოსგან სასიამოვნოდ მოთენთილმა ექიმმა უპასუხა, რომ, მისი აზრით, ისინი შემოღობილები იყვნენ - მთელი ოჯახი შემოღობილი იყო. არ ვიცი, რას მესაქმება აქ, შემოღობილთა შორისო, თქვა თვითკმაყოფილი კილოთი, ცოტათი გაურკვეველად. როგორც ჩანს, სასმლის ან დაღლილობისგან ენა ებმოდა. მარლენმა შარლოტი და ლულუ ჰაი-სტრიტზე გაგზავნა შემწვარი თევზისა და კარტოფილის ამოსატანად.

მოგვიანებით ექიმი მრავალმნიშვნელოვნად დაიხედავს საათზე და გამოაცხადებს, ძილის დრო არისო. შარლოტი ლულუს სააბაზანოში წაიყვანს მოსაშარდად და კბილების გასაწმენდად; შარლოტი ფხიზლად რომ არ ყოფილიყო, ვარდისფერ კოზინა პიჟამაში გამოწყობილი ლულუ კვლავ სასტუმრო ოთახში შეირბენდა, დანჯღრეული ფორტეპიანოს კლავიშებზე საჭმლის ჩხრებით “დაუკრავდა”, თან კულულებისა და გავის ქნევით სასაცილოდ შეიჭმუნებოდა, რის პასუხადაც ექიმი იცინებდა, სანამ გაბრაზებული შარლოტი პატარა დას სასტუმრო ოთახიდან არ გაიყვანდა. გოგონები ახლა ორსართულიან საწოლზე იძინებდნენ ხოლმე: ლულუ ფეხებით ღონივრად ებჯინებოდა შარლოტის ლეიბის ქვედა მხარეს, სანამ უფროსი და არ გაუწყნებოდა.

ღამლამობით, როდესაც ექიმი მათთან იმყოფებოდა, გოგონები საძინებელი ოთახის კარს ღიად ტოვებდნენ, რათა მიეყურადებინათ იმისთვის, რაც სასტუმრო ოთახში ხდებოდა. ზოგჯერ ექიმი ეხმარებოდა მარლენს ყავის მოხარშვაში; სხვა დროს ისინი ტელევიზორს უყურებდნენ ან ცეკვავდნენ. ზოგჯერ გოგონებს ეღვიძებოდათ და ესმოდათ საუბრის ნაწყვეტები, რომლებიც ჩვეუ-

ლებრივ საუბარს კი არ ჰგავდა, არამედ გულთბილი, ალერსიანი და ძალიან ჩუმი იყო, ისეთი, როგორც ბუბუბუი ან თუხთუხია. მამაკაცის მბრძანებლური კილო ენაცვლებოდა დედის ხმას, ფლეიტასავით ნაზად რომ უღერდა. გოგონები ხვდებოდნენ, როდის მიდიოდა ექიმი, რადგან შემოსასვლელი კარი ყრუდ, მაგრამ მკაფიოდ ჭრიალებდა. ეს იყო სიგნალი, რომლის შემდეგ ისინი ნება-ნება იძირებოდნენ სიზმრების ღრმა სივრცეებში.

როდესაც შარლოტი დაწყებით სკოლას ამთავრებდა, მარლენმა მანქანის მართვის სწავლა დაიწყო. ყველას გასაკვირად, უნარიანი მძღოლი აღმოჩნდა და პირველი მცდელობისთანავე ჩააბარა გამოცდა. გიჟდებოდა თავის პატარა "ჰონდა სივიკზე", რომელიც რიჩარდმა შეარჩია და საფასურის ნაწილიც გადაიხადა. გოგონებს უკვირდათ, როგორ სწრაფად მიაქროლებდა ხოლმე მანქანას მარლენი ჰემსტედ-ჰითისკენ, უკანა ხედის სარკეში იყურებოდა და მარჯვედ აყენებდა მანქანას სადგომზე, თან აქეთ- იქით ატრიალებდა თავს. ჰილარი და დეირდრეც ატარებდნენ მანქანებს, ბებია კი ვერაფრით დაეუფლა ამ ხელოვნებას. რიჩარდი ჰყვებოდა, რომ ჰილარის მანქანის ტარებისა ეშინოდა. ახლა მარლენს და გოგონებს შეეძლოთ არდადეგებზე თავიანთი მანქანით გამგზავრებულებიყვნენ სადმე და არ ნაპყლოდნენ რიჩარდს ჩრდილოეთ უელსში, სადაც არც ტელეფონი იყო, არც ტელევიზორი, გამუდმებით წვიმდა და ისინი "ქლუიდას" და "მონოპოლის" თამაშობდნენ, სანამ რიჩარდი სახლში არ დააბრუნებდა. მაგრამ მას შემდეგაც, რაც მარლენმა გამოცდა ჩააბარა, გოგონებს მაინც ესმოდათ თავიანთ ბინაში მამაკაცის ხმა ღამღამობით. ეს მისტერ ჩერი ვერ იქნებოდა, რადგან მარლენი თავისი მანქანით მარტო ბრუნდებოდა ხოლმე შინ სამსახურის შემდეგ. მიუხედავად ამისა, მამაკაცის ხმა ხან მისტერ ჩერის ხმას წააგავდა, ხან კი - რიჩარდისას.

- საინტერესოა, რომ ისინი კვლავ გვსტუმრობენ ხოლმე, - ამბობდა ლულუ. - ახლა, როდესაც დედამ მანქანის მართვა ისწავლა.

- განა არ იცი, რისთვის გვსტუმრობენ? - მკაცრად ეკითხებოდა შარლოტი.

ლულუ აკვირდებოდა დის გამომეტყველებას და წარმოუდგებოდა დამჭკნარი მცენარის სქემა - ეს სქემა ექიმმა ქალმა დახაზა დაფაზე საგანგებო გაკვეთილის დროს, რომელიც სკოლაში წელიწადში ერთხელ ტარდებოდა.

- სიყვარული ფესვია, - განმარტავდა ეს ქალი, - მეგობრობა ღერო და ფოთლებია, ხოლო ფიზიკური ვნება - ყვავილი, და ის ყველაზე ბოლოს იფურჩქნება ხოლმე.

ლულუს მეგობრებისგან გაგონილი ჰქონდა სექსის შესახებ, მაგრამ არ დაუკავშირებია ის ფიზიკური ვნების ყვავილთან და, მით უმეტეს, საკუთარ დედასთან.

შემდეგ, როდესაც შარლოტი მეექვსე კლასში სწავლობდა, ექიმის კაბინეტში კინკლაობა მოხდა

და მარლენმა სამსახური დაკარგა. ამის მიზეზი ვითომდა ის იყო, რომ მისტერ ჩერის კაბინეტი გაერთიანდა კიდევ ორ კაბინეტთან, რათა ჩამოყალიბებულიყო ჰემსტედ-ჰითის სრულიად ახალი სამედიცინო ცენტრი, რომელსაც ამდენი რეგისტრატორი აღარ დასჭირდებოდა, მაგრამ გოგონებიც კი ხვდებოდნენ, რომ საქმე მხოლოდ ეს არ იყო. ბებია ესტუმრა მათ, რათა მარლენი თავაშვებულობაში დაედანაშაულებინა. ნუთუ გარდაცვლილი ქმრის ოჯახისთვის ანგარიში არ უნდა გაენი? განა მარლენს ასე უნდა გადაეხადა მადლი დეირდრესა და ჰილარისთვის, რომლებმაც სამსახური უშოვეს?

- დიდი მადლობა, თვითონაც ვიშოვი სამსახურს. - უპასუხა გულცივად და ამაყად მარლენმა. - ვნახოთ!

მარლენმა მეორე კვირასვე იშოვა სამსახური პატარა სუპერმარკეტში, ჰაი-სტრიტზე. ბებია ამან თითქოს კიდევ უფრო განარისხა. პირველი შემთხვევა იყო, რომ ის ბინაზე ეწვია მარლენს, რომელიც ნათესავებს თვეში ერთხელ საკვირაო სადილზე პატიჟებდა ხოლმე. შარლოტი კვლავ მორჩილად დადიოდა ფორტეპიანოზე დაკერის შესასწავლად, თუმცა ამას, ბებიას თქმით, არავითარი აზრი არ ჰქონდა. ახლა მოხუცებული ბინას ისე ათვალთვრებდა, თითქოს ავეჯის ღირებულებას აფასებდა. გამართულად იჯდა თავისი ქმრის მიერ ნაყიდ მოჩუქურთმებულ საკარცხულზე. პალტო არ გაუხდია. ხელჩანთა მუხლებზე ედო; ჩაის ან ხერესის დაღვევაზე უარს განაცხადა. მიუხედავად ამისა, შარლოტმა დააყენა ჩაი მომწვანო-ყავისფერ ჩაიდანში, სამივეს დაუსხა და ნამცხვარიც გამოიტანა. როგორც ჩანს, კერამიკული თეფშები, რომლებზეც ნამცხვარი ელაგა, აგრეთვე ბებიასი იყო.

- რა ბედი ეწევა ჩემს შვილიშვილებს, - იკითხა ბებიამ, - როდესაც მათი დედა ასე თავისუფლად იქცევა?

- ცოტაოდენი გართობა არავის აწყენს, - ჯიუტად თქვა მარლენმა.

ბებია შეკრთა.

- ამას გართობას უწოდებ?

- სანერვიულო არაფერია, - შეეცადა ბებიას დაშოშმინებას შარლოტი.

ლულუს ახალი ნასწავლი ჰქონდა ფრანგულ ყაიდაზე ქსოვა. დედის გვერდით იჯდა დივანზე, არც ისე დიდ ყურადღებას უთმობდა საუბარს და წვრილი ყაისნალით ქსოვდა კოჭში ჩაჭედებული ოთხი ლურსმნის ირგვლივ. სკოლაში ყველანი გატაცებულნი იყვნენ ამგვარი ქსოვით. დროდადრო ლულუ ქსოვას წყვეტდა, ცალ თვალს ჭუტავდა, მეორით კი ათვალთვრებდა კოჭის ნახვრეტს და ზოლიან ნაქსოვ ლენტს, კოჭის მოპირდაპირე ბოლოდან რომ გამოდიოდა.

- დროა, პროფესიონალს მოეთათბირო ლულუს შესახებ, - ვეღარ მოითმინა ბებიამ. - აშკარაა, რომ ბავშვს დახმარება სჭირდება.

მარლენმა გაოცებით შეხედა ლულუს.
- არავითარი დახმარება არ სჭირდება.
- როგორც კი გაგიცანი, მაშინვე მივხვდი, რომ
ოჯახში არეულობას შემოიტანდი. არაჯანსაღი
სისხლი გაქვს. ბედნიერებაა, რომ სანყალი ფილი-
პი ცოცხალი აღარაა და ვერ ხედავს, რაც აქ ხდე-
ბა.

- მამა ცოცხალი რომ ყოფილიყო, დედას სამ-
სახური საერთოდ არ დასჭირდებოდა, - სამარ-
თლიანად შენიშნა შარლოტმა.

მაგრამ მან მაშინვე ენაზე იკბინა, როდესაც
გაიგონა სიტყვები "არაჯანსაღი სისხლი", - გაახ-
სენდა მარლენის ჩასუქებული და, ასევე - ყვი-
თელთმიანი, საყურიანი ბიძაშვილი. ბებიამ მზერა
ლულუდან შარლოტზე გადაიტანა, რომელიც გვერ-
დულად იჯდა პიანინოსთან. შარლოტი დედას არ
ჰგავდა, მაგრამ არც ისეთი ტანადი იყო, როგო-
რიც - ფილიპი. ულაზათო აღნაგობა, მომცრო
მკერდი, უშნოდ ამოშვერილი მენჯის ძვლები, გა-
ხუნებული თმა და დამუნუკებული ნიკაპი ჰქონ-
და. რა გასაკვირია, რომ თაყვანისმცემლები არ
ჰყავსო, ფიქრობდა ბებია, რომლის სხვა შვილიშ-
ვილები - შარლოტისა და ლულუს ბიძაშვილები -
ნიჭიერი და პოპულარული ბავშვები იყვნენ. მაგ-
რამ შარლოტის სახე მიმზიდველი არ იყო, ისევე,
როგორც მისი ფორიაქი და ადრეული სიმნიფე.
არსებითად, სევდიანი, მძიმე ქუთუთოებში მიმა-
ლული თვალები ბებიასმისის თვალებს უგავდა:
ეს ჰილარიმ და დეირდრემაც შენიშნეს. და მაინც,
ბებიას დელფტური კერამიკასავით ცისფერი თვა-
ლების მზერა უპიროვნო და ცივი იყო, როდესაც
შუქურას სხივივით გადაუვლიდა ხოლმე შარლოტს.

- შენ კი, შარლოტ...!

მაგრამ შარლოტს განაჩენის მოსმენა არ შეეძ-
ლო. ის მკვეთრად შეტრიალდა ტაბურეტზე და
დაკვრა დაიწყო. "Fur Elise"-ს უკრავდა, ძალზე
უხეიროდ და ძალზე ხმამალა. მარჯვენა პედალს
საბერველივით ძალუმად აჭერდა ფეხს. ფორტე-
პიანოს გაკვეთილებიდან გამოტანილი გამოცდი-
ლება საშუალებას აძლევდა, ნათლად წარმოედ-
გინა ბებიამისის გამომეტყველება.

მარლენს სიამოვნებას ანიჭებდა სუპერმარ-
კეტში მუშაობა, სადაც ხახვის და ამყაყებული
წყლის (რომელიც მაცივრიდან გამოედინებოდა)
სუნი იდგა და ფლუორესცენტული ნათურების
ციმციმისგან თავი სტკივდებოდა. მაგრამ ხელფა-
სი აქ ისეთივე იყო, როგორსაც მისტერ ჩერი უხ-
დიდა. გარდა ამისა, სიამოვნებას ანიჭებდა სუ-
პერმარკეტში მომუშავე სხვა ქალებთან მეგობ-
რობა - მყისვე მიხვდა, რომ ბორტგაცილების
კილოთი არ უნდა ელაპარაკა მათთან. მალაზია
უფრო ხმაურიანი იყო, ვიდრე - ექიმის კაბინეტი:
მუშტრები ხმამალა ლაპარაკობდნენ, ზოგიერ-
თი მათგანი შეუძლოდ ხდებოდა, ხშირად ქურდობ-
დნენ. რამდენჯერმე ადგილობრივი ნარკომანე-
ბიც კი შემოვიდნენ. მარლენი ერთხელ ნამდვილ
ძარცვასაც შეესწრო, თუმცა მძარცველს ბევრი

არაფერი წაუღია: შეშინებულმა მამაკაცმა, ხამან-
ნკას რომ ჰგავდა, სუპერმარკეტის თანამშრომ-
ლებს პურის საჭრელი დანა მოუღერა და ორმოცი
კოლოფი Benson & Hedges-ი წაიღო.

შარლოტმა სწავლა უნივერსიტეტში უნდა გა-
აგრძელოსო, ამბობდნენ პედაგოგები. მან სათა-
ნადო ფორმა შეავსო და გასასაუბრებლად გაემ-
გზავრა იორკში, დარემსა და უორვიკში; პირველი
შემთხვევა იყო, რომ მატარებლით მარტო მგზავ-
რობდა. მას შესთავაზეს სოციოლოგია და ფსიქო-
ლოგია შეესწავლა იორკსა და უორვიკში, მაგრამ
შარლოტმა გადაწყვიტა, მშობლიურ ქალაქში დარ-
ჩენილიყო და ემუშავა. რიჩარდი მასთან საგანგე-
ბოდ მივიდა ჭკუის დასარიგებლად, შემდეგ კი ჰი-
ლარის აუნყა, რომ შარლოტი თევზივით ცივი ქა-
ლიშვილი იყო, რომელსაც უცნაური იდეები ჰქონ-
და.

- შენ კი ყოველთვის ზრუნავდი მათ განათლე-
ბაზე. - თქვა ჰილარიმ, რომელიც შეჭალარავებულ
თმას სარკის წინ ივარცხნიდა, ქმრის ანარეკლს
სარკეში თვალს არიდებდა და მას საგონებელში
აგდებდა. იცოდა თუ არა ჰილარიმ რიჩარდისა და
მარლენის სასიყვარულო თავგადასავლის შესა-
ხებ?

- როგორ უნდა დაგტოვოთ? - უთხრა შარ-
ლოტმა ლულუს. - როგორ ფიქრობ, რა მოხდება ,
თუკი წავალ და თქვენზე აღარ ვიზრუნებ?

- არ ვიცი, - თქვა სევდიანად ლულუმ. - რა
მოხდება?

- ხომ იცი, დედა თავს ვერ მიხედავს, დაიბნე-
ვა. მისტერ ჩერისთან მუშაობისას დიდხანს ვერ
გაერკვა საბუთების წარდგენის სისტემაში. იმ სამ-
სახურში დიდხანს არ გააჩერებდნენ, მე რომ არ
დავხმარებოდი.

- მაგრამ მალაზია ხომ კარგად მართავს , -
თქვა ლულუმ. - სალაროს, ინვენტარიზაციას...

- ღმერთო ჩემო, - უპასუხა შარლოტმა გამ-
ქირდავი კილოთი, - ამას ხომ ყველა შეძლებს.

ამ საუბრიდან ცოტა ხნის შემდეგ შარლოტმა
დასავლეთ სარეის წყალთა მეურნეობის დაგეგ-
მვის საბჭოში დაიწყო მუშაობა. იმავე დროს ლუ-
ლუ შეუყვარდა ერთ ახალგაზრდას, რომელიც შარ-
ლოტს დიდად არ ეპიტნავენებოდა. შავთმიანი, თაფ-
ლისფერთვალეა დემიენი სანდომიანი ჭაბუკი იყო,
მაგრამ საოცრად დუნე, ინერტული ხასიათი ჰქონ-
და. როდესაც ლაიონსების ბინას სტუმრობდა, სა-
ვარძელში ჯდებოდა, ხელის თითებს ერთმანეთ-
ზე გადააჭდობდა, წინ იხრებოდა და თავის პლატ-
ფორმიან შავ გაკრიალებულ ფეხსაცმელებს ამ-
ტერდებოდა; ეს დამთრგუნველი დუმილი შეუძ-
ლებელს ხდიდა ყოველგვარ საუბარს, ამასთან,
დემიენის დუმილი არ ნიშნავდა, რომ მას არ შეეძ-
ლო თავისი გრძნობების გამოხატვა სხვა ხერხე-
ბით. როდესაც ლულუმ ის თავის საძინებელ ოთახ-
ში შეიყვანა, რათა მოესმინათ Culture Club-ის ჩა-
ნაწერი, მარლენმა დაიჟინა, რომ საძინებლის კა-
რი ღიად დაეტოვებინათ. მაგრამ სანერვიულ

არაფერი იყო. ლულუ თვითონაც ფხიზლად იყო და კარგად იცოდა (რაც თითქმის მისტიკური მგზნებარებით შეამჩნია), როგორ იყო განაწილებული ნებადართული და აკრძალული ზონები თავის პატარა კოხტა სხეულზე. სქესობრივი მომნიჭების პერიოდში მან თავი დააღწია ბავშვობისდროინდელ ველურ წარმოდგენებს.

მათ დიდი ხნის განმავლობაში არ ენახათ მისტერ ჩერი. და, აი, ერთ საღამოს, როდესაც მოგონება ვახშამზე - მაკარონითა და ყველით - ჯერ კიდევ ტრიალებდა ბინაში, ხოლო ისინი "ნიკოლას ნიკლბის" ბოლო სერიას უყურებდნენ, მისტერ ჩერი კვლავ შემოიჭრა მათ ცხოვრებაში. როდესაც ზარის ხმა შემოესმათ, კარის გასაღებად შარლოტი ჩავიდა. მან მღელვარებით და ამაყად შეიყვანა ექიმი სასტუმრო ოთახში, სადაც ოჯახის დანარჩენი წევრები ჯერ კიდევ ფართო პლედის ქვეშ ისხდნენ.

- შეხეთ, ვინ მოვიდა!

თმანწილი და აღელვებული მისტერ ჩერი შემოიღწია ჰვავადა. სათვალის მინები სიცივეში სიარულისას შეორთქლოდა. მარლენმა ოდნავ უხალისოდ - რადგან ძალზე გატაცებული იყო ფილმით - გამოთიშა ტელევიზორი. როგორც ჩანს, გრემ ჩერიმ ცოლი და სამი შვილი მიატოვა და დასახლდა პერლიში, მარლენის ბინის მახლობლად. შარლოტმა მყისვე გაიფიქრა, რომ ეს ყველა მათი პრობლემას გადაჭრიდა. მან უკვე წარმოიდგინა, რომ მისტერ ჩერი დაქორწინდებოდა მარლენზე და მყარ პოზიციას დაიკავებდა დემიენის მიმართ. თვით შარლოტი კი, შესაძლოა, ბოლოს და ბოლოს უნივერსიტეტში ისწავლიდა და ბრწყინვალედ ჩააბარებდა ყველა გამოცდას. მისტერ ჩერის ყველიანი მაკარონი გაუცხელეს და მაგარი ვისკი დაუსხეს; მარლენმა მისი პერანგი და წინდები სააბაზანოს ნიჟარაში გარეცხა და იქვე დაკიდა გასაშრობად. მისტერ ჩერი დივანის ბალიშებში მოკალათდა, ტანთ მარლენის ჭრელი ხალათი ეცვა.

- როგორ მომენატრეთ ყველანი! - თქვა მან მთრთოლვარე ხმით. - ჩემს სახლში ცხოვრება აუტანელი გახდა. რომ იცოდეთ, როგორ მომენატრა ეს მყუდრო პატარა ბინა.

- ჩვენც გვენატრებოდით - უთხრა შარლოტმა ალერსით. - მოგვენატრა თქვენი საუბრები.

შარლოტს აწუხებდა, რომ უნივერსიტეტში მისი ყოფნის დროს ექიმს ინტელექტუალური თანამოსაუბრე აღარ ეყოლებოდა და იძულებული იქნებოდა, მხოლოდ მარლენთან და ლულუსთან ესაუბრა. ნებისმიერი მსხვერპლის გაღება ღირს, რათა მისი კეთილგანწყობა შევინარჩუნოთო, ფიქრობდა შარლოტი, მაგრამ ეს სიძნელე ბუნდოვან მომავალში ელოდა. მომდევნო კვირების განმავლობაში გამალებით სახავდნენ გეგმებს. ერთხელ ექიმმა ისინი ლონდონში წაიყვანა სპექტაკლის სანახავად, შემდეგ ჰამბურგერებს შეექცნენ და ბრბოსთან ერთად სამხრეთ სანაპიროზე გაისეირნეს. ჩაუარეს ლონდონის განათებულ მუნიციპა-

ლურ სამმართველოს - მისი ანარეკლი ციმციმებდა მდინარეში, სადაც იდუმალად ჩნდებოდა და ქრებოდა ნავების გამოსახულებები. მარლენი მშვენიერი იყო იმ საღამოს, რამდენიმე ჭიქა ბრენდის დალევის შემდეგ, თავის მარგალიტის საყურეებითა და კრაველის ქურქით. ექიმს ცალ მხარეს მარლენი მიჰყვებოდა, მეორე მხარეს კი - შარლოტი. შეზარხოშებული ლულუ გვერდით მიიზღაზნებოდა. ნამდვილ ოჯახს ვგავართო, ფიქრობდა შარლოტი. როდესაც, ბოლოს და ბოლოს, პერლიმდე მიაღწიეს და ქალიშვილები დასაძინებლად დაწვინენ - რა თქმა უნდა, ისინი დიდხანს ვერ გაძლებდნენ სანოლებში, რომლებიც მათი ასაკისთვის შეუფერებელი იყო - ექიმი ქორწინების შესახებ ალაპარაკდა.

მარლენი ყოყმანობდა - მომავლისა ეშინოდა.

- ოჰ, ძვირფასო, არ ვიცი, როგორ მოვიქცე, - ოხვრით თქვა მან მომდევნო საღამოს, როდესაც ექიმი მათთან არ იმყოფებოდა - ნაწყენი იყო იმის გამო, რომ მარლენი ყოყმანობდა და, გარდა ამისა, გაჰყვა თავის შვილს, რომელიც მოცურავეთა შეჯიბრში იღებდა მონაწილეობას. "მეუბნება, მუშაობას თავი დაანებო".

- ის ექიმია, დედა, - ნამოიძახა შარლოტმა. - ექიმის ცოლმა არ უნდა იმუშაოს სუპერმარკეტში.

- კი მაგრამ, მუშაობის სანინააღმდეგო არაფერი მაქვს. მსიამოვნებს, როდესაც ჩემი ხარჯების საზღაურს თვითონვე ვიხდი.

- როდესაც მასზე გათხოვდები, საკუთარი ფულის გამომუშავება არ დაგჭირდება.

ექიმი შეურაცხყოფილი იყო მარლენის ეჭვების გამო, ქალზე გული აიყარა და აღარც სტუმრობდა. საღამოობით შარლოტი შეფიქრიანებული გამომეტყველებით მიდიოდა ხოლმე ექიმის ბინაში და ისინი თათბირობდნენ მომდევნო ნაბიჯების შესახებ, ისე, თითქოს თანამზრახველები იყვნენ. ზოგჯერ შარლოტი შინ შუალამისას ბრუნდებოდა.

თებერვლის ერთ მოქუფრულ დილას ექიმი და მარლენი შეთანხმდნენ, რომ ყველანი დასასვენებელ ბაზაზე გაემგზავრებოდნენ. ეს უფრო დროებით ზავს ნააგავდა, ვიდრე - ომის დამთავრებას. "გპირდები, ვიფიქრებ მომავლის შესახებ", - უთხრა მარლენმა შარლოტს. "რა საჩქაროა? არ მინდა დაუფიქრებელი ნაბიჯი გადავდგა და შემდეგ ვინანო".

ბაზაზე ძლიერი ქარი ქროდა. ცა გადათეთრებული იყო. წვიმდა. ყველანი შარფებში გაეხვიენ და ხელთათმანებიანი ხელები ჯიბეებში ჩაიწყვეს. დემიენი და ლულუ სიყვარულისგან აღგზნებულნი, სიარულისას ერთმანეთს ეჯახებოდნენ. დემიენი ყურში ეჩურჩულებოდა ლულუს და თავისი გრძელი თითებით ეფერებოდა მის ნაქსოვ ქუდსა და კულულებს. მარლენი ჰყვებოდა მალაზიაში მომუშავე მეგობრების შესახებ: ერთს კუჭი აწუხებდა, მეორეს კი - რადიკულიტი. ის ეკითხებდა ექიმს,

ხომ ურჩევდა რაიმეს ამ დაავადებების მკურნალობასთან დაკავშირებით. ექიმმა უპასუხა, ვერაფერს გეტყვი, საკუთარ ექიმს უნდა მიმართონო. ჰაერი სასონარკვეთილებით გამოსჭვავა. ბილიკი მიიკლავნებოდა ფიჭვების გასწვრივ, რომლებიც მძაფრ სურნელს აფრქვევდნენ და წითელი ქერქი ძაფებივით ეკიდათ; ყველგან ეყარა შაქარყინულის ჯოხები, კანფეტების გასახვევი ქაღალდები, ხეების ძირას კი - ძაღლების სკორე. ნათურები მოგლეჯილი იყო.

ექიმი მოულოდნელად შეჩერდა. “ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა”, თქვა მან ისე, რომ არავისთვის შეუხედავს. შემდეგ ქუსლებზე შეტრიალდა და ხმის ამოუღებლად გაემართა საპირისპირო მიმართულებით, ავტოსადგომისკენ. ძლიერი ქარის გამო იკუნტებოდა. გრძელი ფეხები მაკრატელს მიუგავდა. საბედნიეროდ, ისინი ორი მანქანით გამოემგზავრნენ აქ.

- უზრდელი! - წაილაპარაკა მარლენმა. - ერთადერთი, რასაც ვერავის ვაპატიებ, უზრდელობაა.

- განა ერთად არ უნდა გვესადილა? - გაუკვირდა ლულუს.

შარლოტი ერთხანს მინას დასცქეროდა. მძიმე ქუთუთოებში თვალები თითქმის არ უჩანდა. ბილიკი მიჰყვებოდა ციცაბო ნაპირს, რომელიც ხშირი, გახუნებული, ბინძური, წვიმისა და ქარისგან დაძეძვილი ბალახით იყო დაფარული. ქალი უეცრად მოსწყდა ადგილს და ძირს დაეშვა. ბორძიკობდა და ძლივს ინარჩუნებდა წონასწორობას, თითქოს მდინარის ქვიან ფსკერზე მიდიოდა. ფერდობის ძირას შეჩერდა.

- რა დაემართა? - გოცებით იკითხა ლულუმ.

მარლენს თითქოს გონება გაუნათდა და ესოდენ მკაფიოდ პირველად დაინახა თავისი უფროსი ქალიშვილი. ყველანი ლულუზე ზრუნავდნენ, მაგრამ ლულუს არაფერი უჭირდა. ლულუ როდი იდგა იქ მარტო - ასეთი გამხდარი, სევდიანი, შემფოთებული, გზაბნეული გადამფრენი ფრინველის მსგავსი.

- მანქანაში დაგვიცადა, - უთხრა მარლენმა ლულუს და მანქანის გასაღები მიანოდა. - შარლოტს უნდა დაველაპარაკო.

- მართლა? რა გემართებათ ყველას?

- თავი დამანებეთ, - ხმამაღლა წარმოთქვა შარლოტმა, ისე, რომ მათკენ არ შემობრუნებულა. - წადით და დამტოვეთ: სიცოცხლე აღარ მინდა.

ლულუმ და დემიენმა ერთმანეთს კომიკური გოცებით გადახედეს, მაგრამ მორჩილად გაეშურნენ მანქანისკენ. ერთმანეთს ეკვროდნენ. ცოტათი ნაწყენებიც იყვნენ - აქ გამომგზავრება მათი სურვილით არ მომხდარა.

მარლენი ფერდობზე დაეშვა და ხელი მოხვია შარლოტს, რომელიც გახევებული იდგა. ყელზე Anais Anais-ი დაეპკურებინა და დედა ამ სურნელს გრძნობდა.

- იცი რა, თუ ფეხმძიმედ ხარ, გამიხარდება კიდეც, - თქვა მარლენმა ყოყმანით და ხმადაბლა. - საზოგადოების აზრს ყურადღებას არ მივაქცევ. კარგი იქნებმა თუკი ჩვენს ბინაში ბავშვი გვეყოლება. შენი ძველი აკვანი შენახული მაქვს.

სისულელეს ნუ ლაპარაკობო, უთხრა შარლოტმა დედას სასონარკვეთილებით აღსავსე ხმით. ფეხმძიმედ არ იყო. ასეთ სისულელეს არ ჩაიდენდა. მაგრამ წინააღმდეგობას არ უწევდა დედას, რომელიც სქელი ქსოვილის პალტოთი შემოსილ მხრებზე ეფერებოდა.

- ნუ დარდობ, საყვარელო, - თქვა მარლენმა. - ყველაფერს დაძლეე, რაც უნდა მოხდეს. ახალგაზრდა ხარ. მთელი სიცოცხლე წინ გაქვს.

- სიცოცხლე არ მჭირდება. მძულს სიცოცხლე. მარლენს გაახსენდა ის საღამოები, როდესაც შარლოტი ექიმს სტუმრობდა, შემდეგ კი შინ ბრუნდებოდა გვიან, დამნაშავე, აღელვებული, ბედნიერი გამომეტყველებით. ხალათსა და ფლოსტებში გამონყობილი დედა ელექტროლუმის წინ თვლემდა და ელოდებოდა შვილს.

- რაზე ლაპარაკობდით? - კითხულობდა მარლენი და შარლოტი ბრაზით უღრენდა მას, თან თავის გრძელ შარფს იხსნიდა. მარლენი გრძნობდა ღამის ცივი ჰაერის სურნელს, რომელიც შვილს თან მოჰყვებოდა.

- ახლა ვერაფერს ვიამბობ, უკვე გვიანაა. დილით გეტყვი.

სანამ დედა-შვილი ფერდობზე ლაპარაკობდნენ, ექიმი თავისი სახლისკენ მიემგზავრებოდა - თავისი კანონიერი ოჯახისკენ. თავისი ცოლ-შვილისკენ. არ იცოდა, როგორ შეხვდებოდნენ იქ, მაგრამ არც ნალვლობდა ამის გამო - საკმარის ძალას გრძნობდა, რომ ყველაფერს გამკლავებოდა. ის თითქოს უსიამოვნო სიზმრისგან გამოფხიზლდა. განა მისი - ასეთი განათლებული ადამიანის - ცხოვრება პერლიში, ამ საშინელ ბინაში უნდა დამთავრებულიყო? თვალწინ წარმოუდგა შარლოტის მომწვანო-თეთრი (დამხრჩვალ ადამიანის კანისფერი), ხორკლიანი კიდურები სტატიკური ელექტრობისგან ატკაცუნებული ვარდისფერი ნაილონის ზენარზე. ის შეიშმუშნა და მღელვარებით შეავლო თვალი უკანა ხედის სარკეს. ბინის დიასახლისი განუწყვეტლივ წუნუნებდა ექიმის “ღამის სტუმრების” გამო. ექიმმა თავისი კარიერის განმავლობაში რამდენიმე მცდარი დიაგნოზი დასვა: მაგალითად, ვერ შეამჩნია ხერხემლის სიმსივნე, რომელიც ერთ-ერთ პაციენტს ჰქონდა. და ჯანმრთელად მიიჩნია ბავშვი, რომელსაც მენინგიტი სჭირდა. ეს ბავშვი არ მომკვდარა, მაგრამ სრულად ვერ განიკურნა. შეცდომებს ყველა უშვებსო, ანუგეშა თავი ექიმმა და მინასაწმენდები ჩართო. უბრალოდ, საკმარისად ძლიერი უნდა იყო, რომ ამ შეცდომებმა არ გაგანადგურონ. წვიმა გაძლიერდა. ციდან წყალი ნაკადებად იღვრებოდა.



კურთ ტუხოლსკი

ცოლ-ქმარი ანეკდოტს ჰყვება

გერმანულიდან თარგმნა ნათია მეჩიტაშვილმა



© picture-alliance/akg-images

- ბატონო პანტერ, გუშინ ისეთი ჩინებული ანეკდოტი მოვისმინეთ, უსათუოდ უნდა გაიამბოთ... უფრო სწორად, მე უნდა უნდა გაიამბოთ. ჩემმა ქმარმა მანამდეც იცოდა... მართლაც რომ, ჩინებული ანეკდოტია. მამ ასე, ყური დამიგდეთ!

ერთ კაცს... ვოლტერ, ხალიჩაზე ნუ აფერფლებ! ნახე, მთელ ხალიჩაზე შენი თამბაქოა. ჰოდა, ერთ კაცს, არა, ერთ მოგზაურს გზა აებნა ალპებში. რაო? დოლომიტის ალპებში? მაგას რა მნიშვნელობა აქვს. ჰოდა, მიდის ღამით, სიბნელეში. უცებ სინათლე დაინახა და მისკენ წავიდა... მაცალე მოყოლა! მნიშვნელოვანია ესეც!... მიდის სინათლისკენ და ქოხს გადაეყარა. ქოხში ერთი გლეხი ცხოვრობდა ცოლთან ერთად. კაცი მოხუცი იყო, ქალი - ახალგაზრდა და ღამაზი. ჰო, რა იყო, ახალგაზრდა. უკვე სანოლში იწვნენ. არა, ჯერ არ იწვნენ სანოლში...

- ჩემს ცოლს არ ეხერხება ანეკდოტების მოყოლა. სჯობს მე მოვყვე, შენ შემისწორე, თუ რამე შემეშლება. მოკლედ, მე გაიამბოთ:

ესე იგი, ერთ კაცს დოლომიტის ალპებში ხეტიალისას გზა აებნა. ჰოდა, მივიდა... ადამიანს თავგზას ურევ. ეგრე არ არის. სულ სხვანაირადაა. დოლომიტის ალპებში, აი, ასე! დოლომიტის ალპებში მოხუცი გლეხი ცხოვრობდა ახალგაზრდა ცოლთან ერთად. საჭმელი გამოეღიათ. ამიტომ საქონლის ხორცის კონსერვის შემორჩენილ ქილას იზოგავდნენ ბაზარში წასვლამდე. და აი, მოდის... როგორ?... სწორედაც რომ, ასეა! გაჩუმდი ოღონდაც... ჰოდა, შუალამეს კარზე კაკუნია, იქ კი უცხო კაცი დგას, რომელსაც გზა აებნა და ღამის გასათევს ითხოვს. არადა, ადგილი არ აქვთ. ერთი სანოლია და თვითონ წვანან ზედ.

როგორ? კი მაგრამ, ტრუდე, რა სისულელეა... ძალიანაც სასიამოვნო იქნებოდა!

- მე ამას ვერ შევძლებდი. ძილში ვიღაც ყოველთვის ფეხს იქნევს. არა, სად შემიძლია!

- არც არავინ გთხოვს, რომ შეძლო. და ნუ მანყვეტინებ ძალიან გთხოვ.

- თავად არ თქვი, სასიამოვნო იქნებოდაო? ჩემთვის კი არ იქნებოდა სასიამოვნო.

- ჰოდა...

- ვოლტერ! ფერფლი! ნუთუ არ შეგიძლია, საფერფლე აილო?

- მოკლედ, დგას მოგზაური ქოხში, წვიმისგან ერთიანად გალუმპული და ღამის გასათევს ითხოვს. გლეხმა შესთავაზა, ჩვენთან დაიძინეო, ანუ მასთან და მის ცოლთან.

- არა, ვოლტერ, ისევე გემლება. შუაშიო, მასა და მის ცოლს შორის - ანუ მოგზაური მათ შორის უნდა დანოლილიყო!

- ჰო, კარგი, იყოს შუაში. რა მნიშვნელობა აქვს!

- როგორ თუ რა?!.. მთელი ანეკდოტი მაგაზეა.

- ანეკდოტი ნამდვილად არაა იმაზე, კაცი სად დაიძინებს!

- სწორედაც რომ, მაგაზეა. ასე, ბატონი პანტერი თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს. მაცალე, მე მოვყვე! მოკლედ, კაცს სძინავს, ხომ გესმით, მოხუც გლეხსა და მის ცოლს შორის, გარეთ კი ჭექა-ქუხილია... მაცალი თუ არა?

- გემლება. ჯერ ჭექა-ქუხილი არაა. ჯერ ტკბილად ჩაეძინებათ. უცებ კაცს გამოეღვიძება და ცოლს ეუბნება... ტრუდე, ტელეფონს უპასუხე, ვიღაც რეკავს... არა, მაგას არ ეუბნება. გლეხი ცოლს ეუბნე-



ბა... ვინაა? უთხარი, მოგვიანებით დარეკოს, ახლა არ გვცალია-თქო. ჰო. არა. ჰო. დაკიდე! დაკიდე რა-ლა!

- მოგიყვით უკვე ბოლომდე? ჯერ არა? მოჰყევი, რაღას უცდი!

- ჰოდა, გლეხი ცოლს ეუბნება: გარეთ თხებს უნდა გავხედო, მგონი, აეშენენ და ხვალ რძე არ გვექნება. ვნახავ, ბოსლის კარი კარგად თუა დაკეტილიო.

- ვოლტერ, ბოდიში, რომ განყვეტინებ, მაგრამ პოლი ამბობს, მოგვიანებით ვერ დავრეკავ, მხოლოდ საღამოს შემიძლიაო.

- საღამოს იყოს. ჰოდა, გლეხი... კიდევ მიირთვით ყავა... ჰოდა, გლეხი გარეთ გადის. ჯერ გასულიც არაა, რომ მისი ახალგაზრდა ცოლი მოგზაურს ფეხს გაჰკრავს...

- ცდები. სასტიკად ცდები. პირველ ჯერზე არ გაჰკრავს! გარეთ კი გადის, მაგრამ ქალი ფეხს მესამე ჯერზე გაჰკრავს. კაცი გარეთ სამჯერ გადის. ახლაც ვერ გამოვიდა, რატომ! მაცალე! მოკლედ, კაცი თხების შესამონებლად გადის და თხები რომ ადგილზე დახვდებიან, უკან ბრუნდება.

- არაფერიც, გლეხი კარგა ხანს დარჩება გარეთ. ამასობაში ქალი მოგზაურს ეუბნება...

- არაფერსაც არ ეუბნება, გლეხი უკან შემოდის...

- თავიდან არ შემოდის!

- ჰოდა, გლეხი უკან შემოდის და დაიძინებს. ცოტა ხანში ისევ გამოიღვიძებს და ამბობს, თხებს უნდა გავხედო და გარეთ გადის.

- იმის თქმა დავაგინყდა, რომ მოგზაურს საშინლად შია!

- ჰო, მოგზაურმა მანამდე, ვახშობისას თქვა, საშინლად მშიაო. ცოლ-ქმარმა კი უპასუხა, ცოტაოდენი ყველი კიდევ უნდა იყოს დარჩენილიო...

- და რძე!

- და რძეც. საქონლის ხორცის კონსერვიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბაზარში წასვლამდე იზოგავდნენ და სტუმარს ვერ შესთავაზებდნენ. მერე დასაძინებლად დანვინენ.

- გლეხი, როგორც კი გარეთ გავა, ქალი ფეხს გაჰკრავს, ანუ მოგზაურს გაჰკრავს ფეხს გვერდში და ეტყვის: აბა...

- არაფერიც! არაფერიც! ვოლტერ, ცდები! ქალი არ ეტყვის, "აბა"-ო...

- რა თქმა უნდა, ეტყვის, აბა, სხვა რა უნდა უთხრას?

- ის ეტყვის: ახლა კი შეგვეძლო...

- პირიქით, ის ეტყვის: აბა... - და მოგზაურს ფეხს გაჰკრავს გვერდში...

- ყველა ანეკდოტს ასე ამახინჯებ, ვოლტერ!

- გადასარეგია პირდაპირ! მე ვამახინჯებ ანეკდოტს? მე კი არა, შენ ამახინჯებ. მე არაფერსაც არ ვამახინჯებ! ჰოდა, ქალი ეტყვის...

- კმარა, ახლა მაინც მაცალე მოყოლა! შენ მთავარი გავინყდება...

- ტრუდე, გირჩევნია, არ გამაბრაზო! როცა ანეკდოტის მოყოლას ვინყებ, თავადვე ვამთავრებ.

- კი მაგრამ, შენ კი არა, მე დავინყე! - რა მნიშვნელობა აქვს, მე მსურს დავასრულო, იმიტომ, რომ შენ ამბის მოყოლა არ იცი, ყოველ შემთხვევაში, ნესიერად მოყოლა! - რახან ჩემებურად ვყვები და არა შენებურად? თუ არ მოგნონს, ნუ მომისმენ, ბატონო!.. - არც მინდა მოსმენა... მხოლოდ ამბის დასრულება მინდა, რომ ბატონმა პანტერმა ისიამოვნოს! - თუ გგონია, რომ შენი მოსმენა ისიამოვნება... - ტრუდე!

- თქვენ მაინც უთხარით, ბატონო პანტერ, ეს გაუსაძლისია! მთელი კვირაა, ასეთი გაღიზიანებულია... მე... - შენ... - შენი გაუნონასწორებლობა... - ახლა იტყვის კომპლექსებით! დედაშენი კი ამას უბრალოდ ცუდ აღზრდას უწოდებს... - ჩემი აღზრდა!..


- ვინ გამოითხოვა ადვოკატისგან საქმე უკან, ვინ? მე ხომ არა? ვინ შემეხვენა, გაყრა არ... - ტყუი! - ბრახ: გაჯახუნდა მარჯვენა კარი; ბრახ, გაჯახუნდა მარცხენაც.

ვზივარ ასე, დაუმთავრებელი ანეკდოტით.

ნეტა, კაცმა რა უთხრა გლეხის ახალგაზრდა ცოლს?

ინტერვიუ კატია ვოლტერსთან - ენდეთ “მგრძნობიარე მოთხოვნებს”

ესაუბრა თავო ნულაია



ნობელიანტი მწერლის, ოლგა ტოკარჩუკის “ნიგნები იაკობისა” პირველად 2014 წელს გამოიცა. პოლონურიდან ქართულად კი კატია ვოლტერსმა თარგმნა 2021 წელს. 2022 წელს კატია ვოლტერსი წლის საუკეთესო თარგმანის ნომინაციაში სწორედ ამ რომანისთვის დაჯილდოვდა და პრემია “საბა” გადაეცა. მასვე ეკუთვნის ტოკარჩუკის მოთხოვნების კრებულის “შოტლანდიური თვე” თარგმანი.

წინამდებარე ინტერვიუში მთარგმნელი საუბრობს იაკობ ფრანკზე, ისტორიულ პირსა და რომანის მთავარ გმირზე; თანამედროვე მკითხველისთვის ამ რომანის მნიშვნელობაზე; განმარტავს, რატომაა “ნიგნები იაკობისა” თარგმანების შესახებ და გვიზიარებს, რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვისა და თარგმნის პროცესში მისთვის, როგორც მთარგმნელისა და მკითხველისთვის. ინტერვიუში წაიკითხავთ იმასაც, რა თავისებურებებით გამოირჩევა ამ რომანის სხვა ენაზე შესრულებული თარგმანი და რა უნდა გაითვალისწინოს მკითხველმა, რომელიც მის წაკითხვას აპირებს. ინტერვიუს დასასრულს გაიგებთ, ამჟამად რაზე მუშაობს კატია ვოლტერსი და ოლგა ტოკარჩუკის რომელი ნაწარმოებების თარგმანებს უნდა ველოდოთ ახლო მომავალში.

რის შესახებ მოგვითხრობს ოლგა ტოკარჩუკის “ნიგნები იაკობისა”? ვინ არის რომანის ცენტრალური ფიგურა და როგორია ისტორიული ვითარება, რომელშიც მას ვეცნობით?

რომანის მთავარი გმირი ერთობ სადავო ისტორიული პირი იაკობ ფრანკია. ის 1729 წელს დაიბადა პოლონურ კოროლუვკაში და ერთთავის ახალი მესია იყო, ხოლო მეორეთავის - შარლატანი და ერეტიკოსი. ებრაელმა იაკობ ფრანკმა რამდენჯერმე გამოიცვალა რწმენა. ის ჯერ მუსულმანი გახდა, შემდეგ კი, მის მიმდევრებთან ერთად, კათოლიკურად მოინათლა. თავისი ცხოვრების მანძილზე მან მოიარა ოსმალეთისა და ჰაბსბურგების იმპერიები, ბოლოს გერმანიაში, მაინისპირა ოფენბახში დაფუძნდა და იქვე გარდაიცვალა და დაიკრძალა. იაკობ ფრანკი ის ადამიანია, რომელსაც გამუდმებით საზღვრების გადალახვა უწევს კულტურებს, ენებსა და სარწმუნოებებს შორის. მისი საყვარელი სიტყვაა “უცხოობა” ან “უცხო”. თავისი ცხოვრებით, მიღებული გადაწყვეტილებებითა და ჩადენილი ქმედებებით ის აცვიფრებს არა მარტო მის თანამედროვეებს, არამედ დღევანდელ მკითხველსაც.

მაგრამ, მოგეხსენებათ, რომ ერთი ადამიანი იშვიათად აკეთებს დიდ საქმეს. მის უკან ხილულად თუ უხილავად ყოველთვის დგას სხვა ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი. ჩვენს შემთხვევაში იაკობ ფრანკის ისტორია მის მიმდევართა, ფრანკისტა ისტორიაცაა და ასევე ორთოდოქსი ებრაელებისა, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ, ფრანკისტებს გაემიჯნონ. რომანი მოგვითხრობს პოლონელ დიდგვაროვნებზე - შლიახტაზე და კათოლიკურ კლერუსზე/სამღვდელოებაზე, ქალებზე - ცოლებზე, დებზე, ქალიშვილებზე, ნათელმხილველებსა და პოეტებზე.

რომანის მოქმედების დრო XVIII საუკუნის მეორე ნახევარია - 1772 წელს პოლონეთის პირველ დაყოფამდე და მის შემდგომ. თხრობა 1750 წელს იწყება და XIX საუკუნის დასაწყისში მთავრდება. მკითხველი რომანის გმირებთან ერთად მოგზაურობას იწყებს რეჩ-პოსპოლიტაში, სახელმწიფოში, რომელიც 1569 წელს პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის დიდი სამთავროს გაერთიანების შედეგად შეიქმნა და შესაბამისად ამ სახელმწიფოსა და მასში მიმდინარე პროცესებს, ძირითადად, მისი ებრაელი მოსახლეობის გადმოსახედიდან აკვირდება. რომანი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ებრაელების ხვედრზე მოგვითხრობს და ამ თხრობას ფონად გასდევს მათი უკვე მერამდენედ გაცამტვერებული სამყაროს სურათები. ეს რომანი მხოლოდ ისტორიული რომანი არ გახლავთ. მისი ავტორი, ნობელის პრემიის ლაურეატი მწერალი ოლგა ტოკარჩუკი იაკობ ფრანკისა და ფრანკისტების ცხოვრების აღწერით დღევანდელ სამყაროს თავის ისტორიულ სარკეში ახედებს. რომანი, მართა-

ლია, XVIII საუკუნის მოვლენებს აღწერს, მაგრამ ის დღესაც ძალიან აქტუალურია და საერთოდ, ალბათ, გაცილებით უფრო აქტუალური, ვიდრე ის გამოქვეყნების დროს, კერძოდ კი, 2014 წელს იყო.

იაკობ ფრანკი ძალიან საინტერესო და წინააღმდეგობრივი ფიგურაა. თქვენი, მთარგმნელის დაკვირვებით, მაინც ვინ არის ის და რით გამოირჩევა, როგორც ლიტერატურული ქმნილება და არა ისტორიული პირი?

კითხვაზე, თუ ვინ არის ჩემთვის, მთარგმნელისთვის, იაკობ ფრანკი, როგორც ლიტერატურული გმირი, არ გიპასუხებთ და, რა თქმა უნდა, დავასაბუთებ - რატომ. თქვენ სწორად აღნიშნეთ, რომ იაკობ ფრანკი ძალიან საინტერესო და წინააღმდეგობებით, ურთიერთგამომრიცხავი უკიდურესობებით აღსავსე გმირია. ავტორმა განიზრახა და ზედმინევენით კარგად გაართვა თავი დავალებას (მისი ლიტერატურული ნიჭის ერთ-ერთი გამოვლინებაც სწორედ ეს გახლავთ), შეექმნა იაკობ ფრანკის იმდენად მრავალნახანაგოვანი და ამავდროულად ენიგმატური პორტრეტი, რომ თითოეულ მკითხველს საშუალება მისცემოდა, თავისებურად აღექვა ის, ყველას თავისი აზრი შეჰქმნოდა იმაზე, თუ ვინ იყო ეს ადამიანი და რა როლი ითამაშა მან არა მარტო ებრაელი ერის, არამედ ევროპისა და არანაკლებად - კაცობრიობის ისტორიაში. მოგეხსენებათ, ეს დიდი ლიტერატურის ერთ-ერთი მახასიათებელია. კარგი მწერალი მკითხველს იშვიათად აძლევს ამა თუ იმ გმირისა თუ მოვლენის შემეცნებისთვის მზა ფორმულას. მკითხველს ასეთი ნიგნიდან გამოაქვს იმდენი, რამდენის აღქმა და გამოტანაც შეუძლია. მე არ მსურს, წინ გადავუდგე ავტორის ჩანაფიქრს, მკითხველს ჩემი თვალთ დანახულ იაკობ ფრანკზე მოგუთხრო და პირველადმომჩენის ალტაცებით მოგვრილი სიამოვნება წავართვა მას.

რა განაპირობებს იმას, რომ ეს ნიგნი სხვადასხვა ეროვნების მკითხველისთვის არის საინტერესო? კონკრეტული ისტორიული პერიოდის შესახებ წერა როგორ იქცევა უნივერსალური გამოცდილებების ამსახველ პროცესად? ეს პროცესი მხოლოდ მხატვრული თვალსაზრისით არის ღირებული თუ შემეცნებითიცაა?

ამ ნიგნზე მუშაობის პროცესში, ოლგა ტოკარჩუკსაც მრავალჯერ დაუსვამს კითხვა საკუთარი თავისთვის - ზედმეტად ლოკალურ ამბავს ხომ არ აღწერდა და რამდენად დაინტერესებდა ის მკითხველთა ფართო მასებს, მაგრამ როდესაც წერა დაასრულა, აღმოჩნდა, რომ მან დაწერა ნიგნი ისეთი ზოგადსაკაცობრიო გამოცდილებების შესახებ, როგორებიცაა: გადაადგილება, ემიგრაცია, გაქცევით თავის შველა, ახალ საცხოვრებელ გარემოსთან ასიმილაციის აუცილებლობა და სხვ. და, ზოგადად, თუკი არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მთელ დედამიწაზე

მცხოვრები ხალხების ისტორიას გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ ყველგან გხვდება ძველის ნებაყოფლობით თუ იძულებით დატოვებისა და ახალთან შეგუებისა და უცხოობის ასპექტები. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი პოდოლიელ ებრაელებზე მოგვითხრობს, მასში შეიძლება მოიზარებოდეს სამყაროში არსებული ყველა ლტოლვილი და ემიგრანტი. დღეს კი, როდესაც უკრაინაში ომი მძვინვარებს, როდესაც თუნდაც ამ ქვეყნიდან უამრავი ლტოლვილი მიაწყდა მათთვის უცხო ქვეყნების საზღვრებს, “წიგნები იაკობისა” განსაკუთრებით აქტუალური გახდა. როგორ დავიმკვიდროთ თავი ახალსა და ჩვენთვის უცნობ საზოგადოებაში, როგორ შევინარჩუნოთ მასში ჩვენი ენა, ჩვენი რწმენა და ღმერთი, მოვახერხებთ თუ არა ამას და რის ფასად დაგვიჯდება ეს ასიმილაცია, სწორედ ეს, დღესდღეობით ყველაზე აქტუალური თემებია ნობელიანტი მწერლის ამ რომანში განხილული.

ეს წიგნი, როგორც ყველა ღირებული ლიტერატურული ნაწარმოები, მასში განხილული ზოგადსაკაცობრიო თემებითაც არის აქტუალური. რომანზე მუშაობისას, ამბობს მწერალი, ხშირად ვფიქრობდი იმაზე, რომ ჩვენ, თანამედროვე ადამიანებს, გვგონია, თითქოს სრულიად განვსხვავდებით მათგან, ვისაც სხვა ისტორიულ ეპოქაში ან სხვა ტერიტორიებზე მოუწიათ ცხოვრება, ვხვდებოდი, რომ განსხვავებული რწმენისა და ეროვნების ადამიანთა მიკროკოსმოსის აღწერით რაღაც ძალიან დიდსა და ეგზოტიკურს შევეჭიდებო და მეშინოდა, რომ გამიჭირდებოდა მასთან გამკლავება, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ლიტერატურულ სივრცეში ჩვენ ყველანი ერთნაირები ვართ - უბრალოდ, ადამიანები.

მწერალს უნდა, რომ მისი რომანის გმირები, იქნებიან ეს პოდოლიელი ებრაელები, პოლონელი დიდგვაროვნები თუ სასულიერო პირები, მკითხველისთვის ახლობელ ადამიანებად იქცნენ თავიანთი ნაკლითა და ღირსებით.

შეუძლებელია არაფერი ვთქვათ რომანის შემეცნებით ღირებულებაზე. არა მარტო ქართველმა, პოლონელმა მკითხველმაც ცოტა რამ იცოდა რომანში აღწერილი ტერიტორიის, კერძოდ კი პოდოლიეს, მაშინდელი აღმოსავლეთ პოლონეთისა და დღევანდელი დასავლეთ უკრაინისა და მისი ისტორიის შესახებ. მართალია, ამის თაობაზე ინფორმაციას კიდევ ერთი პოლონელი ნობელიანტის, ჰენრიკ სენკევიჩის ნაწარმოებებშიც ვხვდებით, მაგრამ სენკევიჩი აქაურ მრავალეროვან მოსახლეობაზე მხოლოდ გაკვრით საუბრობს, იაკობის წიგნებში კი ჩვენ “უხილავ” მოსახლეობას, მათ ყოველდღიურობას და ზნე-ჩვეულებებს დანვრილებით ვეცნობით. როგორც წიგნის გარეკანიდანვე ვიგებთ, ჩვენ ვმოგზაურობთ შვიდი ქვეყნის საზღვართა გავლით ხუთ ენასა და “მცირეთა” ჩაუთვლელად სამ რელიგიაში. თუ გოეთეს დავუჯერებთ, გონებაგახსნილი

ადამიანი საუკეთესო განათლებას სწორედ მოგზაურობის დროს იღებს. იაკობის წიგნები მხოლოდ ჩვენს გეოგრაფიულსა და ისტორიულ ცოდნას არ აღრმავებს. ჩვენ მასში ვეცნობით თუნდაც კაბალას - ებრაელთა ეზოთერულ ცოდნისა და პრაქტიკის, მათეულ კოსმოგონიის საფუძვლებსა და არა მარტო ებრაელების, არამედ რამდენიმე სხვა, ჩვენთვის ნაკლებად ცნობილი ერის უამრავ კულტურულ თავისებურებას, რომლებიც წიგნის ავტორმა ყურადღებით გამოიკვლია, შეისწავლა და საინტერესოდ მოგვანოდა.

გარდა იმისა, რომ “წიგნები იაკობისა”, მე-18 საუკუნის პოლონეთს და მაშინ მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებს ეხება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ესაა რომანი თარგმნის შესახებ. მკითხველისთვისაც გასაგები რომ გახდეს, განვმარტოთ, რატომაც ასე.

რა არის თარგმნა? თარგმნაც საზღვრების გადალახვაა. სხვისი მონათხრობის ერთი ენიდან მეორეში გადატანის, ერთი ისტორიული კულტურის მეორისთვის გასაგებად ახსნის მცდელობა. თარგმანი ტრანსგრესიის (ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიაში ბიოლოგიური, პიროვნული საზღვრების, საზოგადოების მიერ დანესებული საზღვრების, საზოგადოებრივი, უპირველეს ყოვლისა კი, მორალური ნორმების დარღვევა) ერთ-ერთი ხელსაწყო-იარაღია.

თავად ოლგა ტოკარჩუკი, რომელმაც თარგმანს, მის არსსა და მნიშვნელობას, რამდენიმე სერიოზული ესე მიუძღვნა, არ აღიქვამს მას, ნაწარმოების მხოლოდ ერთი ენიდან მეორეში გადატანის პროცესად. ის მას ერთი ჩამომავლობის, ეპოქის, კულტურის ადამიანთა გამოცდილების სხვა ადამიანთათვის მიტანის მცდელობად მიიჩნევს. აქ მინდა გავიხსენო ჩემი გერმანელი კოლეგის, ლოთარ კვინკენშტაინის, ძალიან სწორი მიგნება, როდესაც ერთ-ერთი საუბრის დროს მან გაგვახსენა, რომ პოლონურ ენაში ზმნებს “თარგმნას” (przetlumaczył) და “ახსნას” (tlumaczył) ერთი და იგივე ფუძე აქვს. სწორედ ამიტომ, ოლგა ტოკარჩუკს არ ეშინია, რომ უცხო ენაზე თარგმნისას მისი რომანი “რამეს დაკარგავს”. პირიქით, ის მომხრეა, “წიგნები იაკობისა” გარკვეული ენისა და კულტურისთვის ისე იყოს თარგმნილი, რომ მკითხველს გაუჩნდეს განცდა, თითქოს ეს წიგნი სწორედ მის მშობლიურ ენაზე დაიწერა.

თავად რომანის გმირებს შორისაც ვხვდებით რამდენიმე მთარგმნელსა და თარჯიმანს. თუნდაც იაკობის მიმდევართაგან ერთ-ერთ უმთავრესს - ბუსკელ რაბინს ნახმან ბენ ლევისა და ერთობ საინტერესო და მრავალნახნავოვან ფიგურას - ანტონი კოსაკოვსკის, იგივე მოლივდას, რომელიც, შეიძლება ითქვას, სამყაროების, კულტურებისა და ენების გასაყარზე ცხოვრობს. გავიხსენებ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სცენას წიგნიდან, როდესაც საეკლესიო ინკვიზიციის მიერ

გამართულ სასამართლო პროცესზე ანტონი კოსაკოვსკი იაკობ ფრანკის (რომელიც ძალიან ცუდად ფლობს პოლონურს) ლაპარაკს თარგმნის. ინკვიზიტორები ფრანკს უსვამენ კითხვებს, რომლებზე გაცემულმა პასუხებმაც მისი ბედ-იღბალი უნდა გადაწყვიტოს. ეს სცენა მთელი სიცხადით გვიჩვენებს, თუ რამხელა ძალა აქვს კარგი თარგმნის მიერ ნათარგმნ სიტყვას.

თქვენ რით მოგხიბლათ ამ წიგნმა? რა იყო თქვენთვის, როგორც მთარგმნელისთვის, ყველაზე საყურადღებო და მნიშვნელოვანი მასში?

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ წიგნმა ყველაფრით მომხიბლა. თუნდაც ტოპოგრაფიით. შიგნით შესულს, გიჭირს მისი მდიდრული, მრავალშრიანი წიალიდან უკან გამოსვლა. ის ნამდვილი სეზამის მთაა, ენით აუნერელი საგანძური - სოციალური ფენების, ენების, რელიგიური მსოფლმხედველობის, კოსმოგონიის, ზნე-ჩვეულებებისა და სხვა კულტურული ნიუანსების მრავალფეროვნებით სავსე. ერთ ინტერვიუში ჩასატევად ეს ძალიან ვრცელი თემაა.

რომანის ჩემთვის მნიშვნელოვან ერთ-ერთ ღირსებათაგან ხაზს გაუუსვამდი მის პოლიფონიურობას. რაში მდგომარეობს ეს პოლიფონიურობა: რომანს ჰყავს რამდენიმე მთხრობელი. ერთი მათგანი თვით ავტორია, მეორე - განსაკუთრებული პერსპექტივის მქონე მთხრობელი - მის ერთ-ერთი გმირი, იენტა, მესამე - მისი კიდევ ერთი გმირი - თავისებური ენისა და ხელნერის მქონე ნახმან ბენ ლევი, მეოთხე კი - ძირითადად დიდგვაროვანთა და კლერუსის მიერ არქაულ პოლონურზე წარმოებული მიმონერა. რომანის პოლიფონიურობას თავისი მიზეზი აქვს: ავტორმა რომანში აღწერილი ვრცელი და მრავალგანზომილებიანი ამბის ერთ ხმაში თხრობა შეუძლებლად მიიჩნია, რადგან წერის პროცესში სიუჟეტი გართულდა და მას, როგორც მთხრობელს, გაუჭირდა ინფორმაციის სრულყოფილად გადმოცემა. მწერალმა კარგი ხერხი მოძებნა და დასახმარებლად იაკობ ფრანკის თანამედროვეს, მის თანამოაზრესა და ფრანკისტების მემკვიდრეს, ნახმანს "უხმო", მაგრამ ზღვა მასალისა და, მოქმედი, ხშირ შემთხვევაში ისტორიული პირების სიმრავლემ, ის კიდევ ერთხელ მოაქცია ჩიხში. ამ დროს მწერალს უკვე "შეეშველა" იენტას ხმა, განსაკუთრებული, პანოპტიკური ხედვის მთხრობლის ხმა, რომელსაც "მეოთხე პირში მთხრობელი" უწოდა. ეს არის მთხრობელი, რომელიც თვით ავტორსაც კი ხედავს. დამეთანხმებით, რომ ასეთ მთხრობელს მსოფლიო ლიტერატურაში პირველად ვხვდებით.

გარდა პოლიფონიურობისა, რომანში ჩემთვის აღმოჩნდა კიდევ ერთ გამოწვევა, რომელთან ჭიდილმაც განსაკუთრებული სიამოვნება მომანიჭა. ეს გახლდათ ისტორიული, კულტურული, სოციალური, პოლიტიკური, ფილოსოფიური და თე-

ოლოგიური კონტექსტების სიმრავლე. მათი სიღრმისეული ცოდნის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ლიტერატურულ ფიქციასა და ისტორიულ ფაქტებს შორის საზღვრის გავლენა.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო კიდევ ერთ ფაქტი, რომელმაც განსაკუთრებული გავლენა იქონია ჩემზე, ჩემს პიროვნულ და სულიერ განვითარება-განათლებაზე. რომანში დიდი ადგილი ეთმობა კაბალას - ებრაულ მისტიკურ სწავლებას. ვისაც ამ თემაზე დაწერილი თუნდაც ერთი წიგნი აუღია ხელში, მან იცის, რომ მისთვის "ფიქრთა ოკეანეში" ჩაძირვა სრულიად გარდაუვალია. ალბათ გახსოვთ ბრუნო შულცის მოთხრობა "გაზაფხული", რომელიც ზედმიწევნით ზუსტად აღწერს კაბალისტური აზროვნების განზომილებებს და რომლის მეათე თავიც მთავრდება წინადადებით: "ღმერთი განუზომელია". თარგმნის დროს მეც არაერთხელ ვიგრძენი, თუ რას ნიშნავს ამ "განუზომლით" გატაცება. ორიენტირად გერმომ შოლემი მყავდა, კერძოდ კი მის მიერ დაწერილი შაბთაი ცვის ვრცელი ბიოგრაფია, "ებრაული მისტიკა და მისი მთავარი მიმდინარეობანი", "კაბალა და მისი სიმბოლიკა" და სწორედ მას ვუმაძლი, რომ არათუ გამოვიგნე გზა ამ "განუზომლიდან", არამედ იმდენი ცოდნაც წამოვიღე, რამდენის ზიდვაც შეეძელი.

რამდენ ენაზე ითარგმნა "წიგნები იაკობისა"? თქვენ თუ გაეცანით სხვა ენებზე მის თარგმანებს და თუ კი, რა თავისებურებები შენიშნეთ მათში?

ოლგა ტოკარჩუკის რომანი "წიგნები იაკობისა" მსოფლიოს 37 ენაზე ითარგმნა და ეს რიცხვი კიდევ იზრდება, რადგან ჩემი რამდენიმე კოლეგა მისი თარგმნის პროცესშია. მე თვითონ "წიგნები იაკობისა" პოლონურად, გერმანულად, ინგლისურად და ნაწილობრივ ებრაულად წავიკითხე. ვფიქრობ, ძალიან გაუმართლათ რომანის გერმანულ მთარგმნელებს ლიზა პალმესსა და ლოთარ კვინკენშტაინს და ამ ფაქტს არც ისინი მაღავენ. შევეცდები, ავიხსნათ, თუ რატომ:

ჯერ, ალბათ, იმიტომ, რომ მათ ხელი მიუწვდებოდათ გერმანულ ენაზე არსებულ აურაცხელ ლიტერატურაზე, რომელიც რომანში აღწერილ ეპოქას ასახავს და რითაც მათ (და ამ შემთხვევაში მეც) შეძლეს ამ ეპოქის შესახებ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცოდნის გაღრმავება. ისარგებლეს ეპოქისთვის შესაფერისი ლექსიკური მარაგით, რისი ფუფუნებაც, გასაგები მიზეზების გამო, მე არ მქონია. მათ ასევე შეეძლოთ ესარგებლათ ლექსიკონებით, თუნდაც ძმები გრიმების მიერ შედგენილი გერმანული ენის განმარტებითი ლექსიკონით, რომელიც არათუ სიტყვის შინაარსს გიხსნის, არამედ ათარილებს კიდევ მას და მაგალითებსა და ფრაზეოლოგიურ ნიმუშებსაც გთავაზობს.

კიდევ ერთი თავისებურება, რომელმაც გერმანულ თარგმანში ძალიან მომხიბლა, არის ებ-

ნიგნაბი იაპობისა

ანუ
დიდი მოგზაურობა

შვიდი ქვეყნის საზღვართა
გავლით ხუთ ენასა და
სამ დიდ რელიგიაში მცირეთა
ჩაუთვლელად.

მოთხრობილი ან
გარდაყვლილთა შიერ.
შეცხებული მრავალი
ფოლიანტიდან, მოძიებული
და ამოკრებილი
ავტორისეული
კონიექტურებით.

გამდიდრებული წარმოსახვით
- კაცთათვის მომადლებული
ამ ბუნებრივი ნიჭით.

ბრძეხთათვის სახსოვრად,
უეცთათვის შესახებად,
ძამულიმვილთათვის
განსასჯელად,
ძქმუნვარეთათვის
თავშესაქცევად.

ოღბა სოპარჩუკი

რაული წარმოშობის გამიერების სასაუბრო ენის იდიშით შეფერადება, რაც ორიგინალში არ გვხვდება, მაგრამ ასეთი ჩანარები გერმანულ თარგმანს განსაკუთრებულ ელფერსა და დამაჯერებლობას სძენს. ამის სურვილი მეც გამიჩინდა, რადგან მეც თითქმის სრულყოფილად ვფლობ იდიშს, რომელსაც, მოგეხსენებათ, შუა მაღალი გერმანული უდევს საფუძვლად და გერმანულენოვანი მკითხველისთვის იდიშის არცოდნის შემთხვევაშიც გასაგებია მისი შინაარსი, რასაც ქართველ მკითხველზე ვერ ვიტყვით. ამაზე მართლა ძალიან დამწყდა გული.

რას ნიშნავს თქვენთვის მთარგმნელობითი საქმიანობა? თქვენს სამუშაო პროცესს როგორ აღწერდით?

ჩემთვის ეს არის პროფესია, რომელსაც არა მხოლოდ სიამოვნებით ვემსახურები, არამედ უდიდეს სიხარულსაც ვიღებ მისგან. ამ პროფესიისთვის მონყენილობა და რუტინა სრულიად უცხოა, რადგან თითოეული ნიგნით მე და ჩემს

კოლეგებს სრულიად სხვა სამყარო, სულ სხვა მიკროკოსმოსი გვიღებს კარს, რომელშიც ჯერ თავად მოგზაურობ, დანვრილებით ეცნობი მის კულტურას, მსოფლმხედველობას, ფილოსოფიას, იფართოებ შემეცნებით ჰორიზონტს, შემდეგ კი ცდილობ, “ნანახი და გაგონილი” შეძლებისდაგვარად ზუსტად, სრულყოფილად, უდანაკარგოდ მიიტანო სხვა ადამიანებამდე. როდესაც იშვიათი ენებიდან თარგმნი, შენს საქმიანობას დამატებითი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ამ ენებზე შექმნილ ლიტერატურაზე ყველას არ მიუწვდება ხელი. მხიბლავს ისიც, რომ, როგორც მთარგმნელი, ალბათ, ყველაზე ინტენსიურად ვეცნობი ლიტერატურულ ნაწარმოებებს და ყველაზე მეტად ვსარგებლობ მათი ღირებულებებით, რადგან, მერწმუნეთ, არავინ კითხულობს ნიგნს ისე დაკვირვებით, როგორც მთარგმნელი და რედაქტორი. ჩვენ ვუტრიალებთ უცხო ენაზე დანერჩლ წინადადებებს, ვცდილობთ, ისინი მშობლიური ენის სინტაქსს მოვარგოთ, მის მელოდი-

აზე ავაჟღეროთ, რათა მკითხველსაც იგივე სიამოვნება მივანიჭოთ, რომელიც თავად განვიცადეთ წიგნის კითხვისას. ამ პროფესიის ჯადოსნობაა ისიც, რომ დროებით წიგნის ავტორიც ხდება, ცდილობ, ბოლომდე ჩასწვდეს სხვის ნაფიქრს, შეძერვს მის ტყავში, ამოიცნოს მისი დამოკიდებულება ამა თუ იმ გმირისადმი.

მუშაობის პროცესი? მე აქ რომანის გმირს, ნახმან ბენ ლევის დავიხმარებ, რომელმაც საუცხოოდ თქვა, თუ რა გზას გადაიან სიტყვას შეჭიდებული ადამიანები: “მე ჩემს ხელს, ჩემს თავს, ჩემს ხმებს, გარდაცვლილთა სულელებს, დიად ქალწულს, ასოებს, სეფიროტს ვაძლევ უფლებას, რომ მმართონ. ისე ფრთხილად გადავდივარ ერთი წინადადებიდან მეორეზე, როგორც ბრმა მუშაითი აბიჯებს თოკზე, და, მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცი, წინ რა მელოდება, მოთმინებით ვაგრძელებ გზას, არ ვკითხულობ საფასურს, რომლის გადახდაც მომიწევს და არც ჯილდოდ ვითხოვ რამეს. ჩემი მეგზური და მეგობარი სწორედ ის მიმდინარე წუთი, საათი, ის ჩემი ძვირფასი დროა, როდესაც სიტყვა მიჭრის და გონება და ხელიც მემორჩილება...”

არა პროფესიონალი მთარგმნელის, არამედ, უბრალოდ, მკითხველის თვალთ თუ შეხედავთ, რა არის თქვენთვის ახლობელი ისტორიულად თუ გეოგრაფიულად ამდენად შორეულ ამბავში?

ბევრი, ძალიან ბევრი რამ, მყავს რამდენიმე გმირიც, რომლებთანაც განსაკუთრებულ სულიერ სიახლოვეს ვგრძნობ, მაგრამ ჩემი ბიოგრაფიიდან გამომდინარე, ჩემთვის უმნიშვნელოვანესი მაინც არაერთი საზღვრის გადალახვის, გამუდმებული სიუცხოვისა და ერთდროულად რამდენიმე ენასა და რელიგიაში ცხოვრების გამოცდილებაა.

ამის ასახსნელად ჩემთვის რომანიდან ეს მცირე ამონარიდიც იკმარება: “იაკობი ახლა უწინდელივით თავს აღარ წარადგენს იანკელ ლეიბოვიჩად. ამბობს, იაკობ ფრანკი ვარო. დასავლეთიდან მოსულ ებრაელებს აქ ასე ეძახიან. ფრანკი, ფრენკი, უცხო ნიშნავს. ნახმანმა იცის, რომ ეს იაკობს ძალიან მოსწონს. უცხოელი ხომ ის არის, ვინც საცხოვრებელ ადგილს ხშირად იცვლის. ნახმანსაც ამას ეუბნება, ახალ ადგილას თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, თითქოს ყველაფერი თავიდან იწყებაო. იყო უცხო, ნიშნავს, იყო თავისუფალი”. მე ამ სიტყვების მნიშვნელობა ძალიან დიდი ხნის წინ გავიგე.

რას ურჩევდით მათ, ვინც ჯერ არ იცნობს ამ ტექსტს? რა უნდა ვიცოდეთ, სანამ იაკობთან ერთად სამოგზაუროდ გავემართებით?

ნუ დაგაფრთხობთ ნურც წიგნის მოცულობა და ნურც მისი უცხო და რთული შინაარსი. მოქმედ გმირთა სიმრავლე, არაქრონოლოგიურ და არათანმიმდევრულ თხრობასთან ერთად, თავდაპირველად დიდ ნებისყოფას მოითხოვს. ნუ

დაიძაბებით, თამამად შეცურეთ და მიენდეთ თხრობის დინებას. ვერც იმას გეტყვით, მშვიდად იცურებთ-მეთქი, თუმცა გაპირდებით, ამ დიდი მოგზაურობისას განცდილსა და ნანახს მრავალფეროვნებით ტოლს ბევრი ვერაფერი დაუდებს. ამ მოგზაურობიდან სულ სხვანაირები დაბრუნდებით და თან გზადაგზა აკრეფილ და შეგროვებულ განძს ჩამოიტანთ. ენდეთ “მგრძნობიარე მთხრობელს”, შეეცადეთ, თქვენც აღმოაჩინოთ მისი “ყოველსმჭვრეტელი თვალით” დანახული სამყარო.

თქვენთან ერთად ნომინირებულ სხვა თარგმანებზე რას ფიქრობთ? რომელ მათგანს გამოარჩევდით?

ჩემთვის საკმაოდ იოლია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. აი, გასული წლის საიუბილეო “საბას” ჟიური კი, დარწმუნებული ვარ, ურთულესი ამოცანის წინაშე იდგა, როდესაც (მხოლოდ ნომინირებულ თარგმანებზე რომ ვთქვა) ოცი გამოარჩეული მხატვრული ტექსტის უბადლო თარგმანიდან (ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ ამას) ერთი უნდა ამოერჩიათ. მინდა აქვე უდიდესი პატივისცემა გამოვხატო ჩემი არაჩვეულებრივი ქართველი კოლეგების მიმართ, რომელთა თავგანწირული შრომისა და პროფესიონალიზმის წყალობით თანამედროვე ქართველ მკითხველს აქვს საშუალება, მსოფლიო ლიტერატურის შედეგებს გაეცნოს.

თქვენი გეგმების შესახებ მოგვიყევით. ახლა რაზე მუშაობთ? ოლგა ტოკარჩუკის სხვა წიგნების თარგმანსაც ხომ არ აპირებთ?

გამომცემლობა “ინტელექტი”, რომელთანაც უკვე მრავალწლიანი და ნაყოფიერი თანამშრომლობა მაკავშირებს, უახლოეს დროში გამოსცემს ოლგა ტოკარჩუკის კიდევ ორ ცნობილ რომანს სახელწოდებით: Bieguni (რომლის ქართულ სათაურზე ჯერ კიდევ ვფიქრობ და რომლის დაწერისთვისაც მისცეს მწერალს ნობელის პრემია) და “ემპუსიონი”. ამჟამად სწორედ ამ თარგმანებზე ვმუშაობ. უზომოდ მადლიერი ვარ, რომ ბევრი არა მარტო ქართული, არამედ უცხოური გამომცემლობისგან განსხვავებით, “ინტელექტი” არ შეუშინდა “წიგნები იაკობისას” მოცულობას და სირთულეს და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ქართველ მკითხველს ეს საუცხოო რომანი მშობლიურ ენაზე წაეკითხა. “ინტელექტმა” გამოსცა ასევე ოლგა ტოკარჩუკის მოთხრობების კრებული “შოტლანდიური თვე” და ჩემი კოლეგის, ახალგაზრდა მთარგმნელის, თონა მჭედლიშვილის თარგმნილი ესე “თოჯინა და მარგალიტი”. მადლობა მინდა გადავუხადო ასევე თქვენს არაჩვეულებრივ ჟურნალ “არილს”, რომლის უდიდესი დამსახურებაა, რომ ქართველი მკითხველისთვის ოლგა ტოკარჩუკის ნაწარმოებები, და ზოგადად თანამედროვე პოლონური ლიტერატურა, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე.

იონას მეკასი

ლიეტუვაში მოგზაურობის რემინისცენციები

თარგმნეს და შესავალი დაურთეს ნინი შველიძემ და ლიკა გლურჯიძემ



ლიტერატურა კინოს გამომსახველობით შესაძლებლობებს ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან ამდიდრებს, როცა რეჟისორები პირველ ეკრანიზაციებს მიმართავდნენ. ამდიდრებს კინონაწილის, კვლევის შესაძლებლობასაც, როცა თეორეტიკოსები რეჟისორებს, პირველ რიგში, მწერლებთან და პოეტებთან აკავშირებენ, მოგვიანებით კი კამერას კალამს ადარებენ.

ლიტერატურიდან კინოში დროთა განმავლობაში არაერთი ფორმა ინაცვლებს. ოთარ იოსელიანის “აპრილი” (1962) წარწერით იწყება, რომ ეს “ფილმი ზღაპარია”; შანტალ აკერმანი ფილმს “ფეხე ველასკისისათვის” (1991), წერილის ფორმას აძლევს, რომელიც რეჟისორმა მოკლულ ქალს მიუძღვნა; კრის მარკერის “ასაფრენი ბილიკი” (1962) კინორომანის სახელითაა ცნობილი; კინოესეისტები იმდენად შორს მიდიან, რომ ფილოსოფოსებივით იწყებენ ცნებებით აზროვნებას, ისინი ნელ-ნელა უახლოვდებიან ცნებას და სათქმელს, ზუსტად ისე, როგორც ესეში.

“ფილმი დღიური”, ესაა ფორმა, რომლითაც მაყურებელი, მკითხველი ამერიკული კინოავანგარდის ნათლიას, რეჟისორს, პოეტს, კინოკრიტიკოსსა და არქივისტს, იონას მეკასსა და მის კინოს იცნობს.

ემიგრაცია, გადაადგილების მოტივი, სახლის დაკარგვა, ყოველდღიური ყოფის პოეტური აღბეჭდვა დღიურებით - იონას მეკასის ფილმებისა თუ წიგნების, მისი პირადი ისტორიის წამყვანი ხაზია. ესაა უსასრულო მოგზაურობა, ისტორიების შეგროვებითა და სახლში დაბრუნების სურვილით მოცული რეჟისორის, რომელიც ოდისევსს ჰგავს (“ითაკა არ არსებობს”).

უსასრულო კინომოგზაურობის, გადასახლების, დაკარგულობის განცდის, შინ დაბრუნების მოტივის მანიფესტად მეკასისთვის ბიოგრაფიული ფილმი, “ლიეტუვაში მოგზაურობის რემინისცენციები” იქცევა, რომელიც ერთი ემიგრანტისა და უამრავი სხვა ადამიანის გადასახლების ისტორიას “ფილმი დღიურის” გარშემო შეკრავს. მეკასი აქ ყველა ამბავს და ფრაგმენტულად იხსენებს გზას, რომელიც გა-



იარა. ისტორია სამი ნაწილისგან შედგება და რამდენიმე ადგილას გვამოგზაურობს, ჯერ ამერიკაში, ბრუკლინში მცხოვრები ემიგრანტების ყოფის გახსენებით (1950-იან წლებში გადაღებული კადრებით), შემდგომ იწყება მთავარი მოგზაურობა მშობლიურ სოფელ სემენიშკიაში 1971 წელს - სახლში დაბრუნება, დედასთან შეხვედრა. ბოლოს, კი ტრავმული გამოცდილების, მეხსიერების ტერიტორიაზე გადავინაცვლებთ, იმ მიდამოებში, სადაც ავტორი ოდესღაც შრომით ბანაკში აღმოჩნდა (ელმსპორნი), ახლა კი ამ გამოცდილების კვალს დაეძებს. ადგილიდან ადგილზე გადანაცვლება მეკასისთვის ერთი დროიდან მეორეში მოგზაურობას ჰგავს. კინომგზაურობა ვენაში სრულდება, ძველი შენობის სიმბოლური ნგრევით, დაწვით.

ესაა მოხეტიალე ავტორი, რომელიც მუდამ ავროპებს, ალბეჭდავს, იმახსოვრებს და იხსენებს ისტორიებს, სახეებს, მომენტებს, ცდილობს საკუთარი ისტორიის, ბიოგრაფიის, გავლილი გზის მოხელთებას და გაახსენებს. ტექსტი, მთხრობლის ხმა მეგზური ხდება პერსონალურ თავგადასავალში, რომელიც წლების შემდეგ სახლში დაბრუნების სიმძაფრეს და ემიგრანტის განცდებს ასახავს. მეკასის ბიოგრაფიაზე უდიდეს გავლენას ორი მოვლენა ახდენს - ლიეტუვის ოკუპაცია და გერმანიაში შრომით საკონცენტრაციო ბანაკში მოხვედრა, რის შემდეგაც მისი, როგორც ემიგრანტის, ცხოვრება ნიუ-იორკს უკავშირდება. მეკასი ნიუ-იორკის კულტურული ცხოვრებისა და სახელოვნებო მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდება და თავად ხდება არაერთი მნიშვნელოვანი პროცესისთვის ბიძგის მიმცემი.

2022 წელს, მთელს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც აღნიშნეს იონას მეკასის 100 წლის იუბილე და გაიხსენეს დევნილი ავტორის ფილმები, ლექსები და ისტორია, რომელიც ახლაც არ კარგავს სიმძაფრესა და აქტუალობას. შემთხვევითი არაა, რომ განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ სწორედ ფილმი "ლიეტუვაში მოგზაურობის რემინისცენციები" ექცევა, ავტორის ბიოგრაფიის ექო და ხმა, რომელსაც დღესაც ეპასუხება დევნილი ადამიანების ხმა. ამ ტექსტის ფილმისგან დამოუკიდებლად ნაკითხვა კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ კადრს მიღმა ხმის მონათხრობი კინოში, შესაძლოა, დამოუკიდებელი ტექსტიც იყოს, ისევე საინტერესო მკითხველებისთვის, როგორც კინოს მოყვარულებისთვის.

ლიეტუვაში მოგზაურობის რემინისცენციები

1957 ან 1958 წლის იმ ადრეულ შემოდგომაზე, ერთ კვირა დილით, კატსკილში წავედით, ტყეში. ფოთლებში დავედიოდი, ფოთლებს ჯოხს ვურტყამდი. ტყეში უფრო და უფრო ღრმად შევდიოდი. კარგი იყო ასე სიარული. არ ვფიქრობდით, არაფერს ვფიქრობდით უკანასკნელ ათ წელიწადზე. ვოცნებობდი ასე სიარული შემძლებოდა და არ მეფიქრა ომის წლებზე, შიმშილზე, ბრუკლინზე.

და შესაძლოა, პირველად მოხდა, რომ ტყის გავლით სეირნობისას, იმ ადრეულ შემოდგომის დღეს, აღარ ვიგრძენი თავი მარტოსულად ამერიკაში. შევიგრძენი მიწა, დედამიწა, ფოთლები და ხეები, ხალხი. ნელ-ნელა მათი ნაწილი ვხდებოდი. ეს იყო მომენტი, როცა დავივიწყე ჩემი სახლი. ასე აღმოვაჩინე ჩემი ახალი სახლი და ვთქვი: "ჰეი, დროის ბორკილებს მე კიდევ ერთხელ დავუხსლბტი".

ბრუკლინის ქუჩებში მივდიოდი, მაგრამ მოგონებები, სუნი, ხმები, რომლებსაც ვიხსენებდი, არ იყო ბრუკლინიდან. სადღაც ატლანტიკ ავენიუს ბოლოში პიკნიკებს აწყობდნენ. მე მათ ვუყურებდი, ძველ ემიგრანტებს და ახლებსაც. ჩემთვის ისინი ჰგავდნენ სევდიან, იმ ადგილზე მომაკვდავ ცხოველებს, რომელსაც არ ეკუთვნოდნენ. ადგილზე, რომელსაც არ იცნობდნენ. ისინი იქ იყვნენ, ატლანტიკ ავენიუსზე, თუმცა სულ სხვაგან.

ჩემი პირველი ბოლექსით რაღაც კადრები გადავიღე. მინდოდა ომის საწინააღმდეგო ფილმი გადაემეღე. მინდოდა, მეყვირა, მეყვირა, რომ ომი იყო, რადგან დავედიოდი ქალაქში და ვფიქრობდი, არავინ იცოდა ომის შესახებ. მეგონა, არავინ იცოდა თუ სამყაროში იყო სახლები, სადაც ხალხს არ შეეძლო ძილი; სადაც სახლის კარს ღამით ამტვრევდნენ ჯარისკაცებისა და პოლიციელების ჩექმები. ეს ხდებოდა სადღაც, სადაც მე დავიბადე, მაგრამ ამ ქალაქში

ამის შესახებ არავინ იცოდა.

მე თქვენ მახსოვხართ, ჩემო მეგობრებო, დევნილთა ბანაკიდან, შემზარავი ომის შემდგომი წლებიდან. დიას, ჩვენ ვარსებობთ, ჩვენ კვლავაც დევნილები ვართ. თუნდაც დღესაც კი სამყარო საესეა ჩვენით. ყოველი კონტინენტი საესეა დევნილი ადამიანებით. იმ წამიდან, როცა ჩვენ დავტოვეთ სახლი, დავიწყეთ სახლისკენ სვლა და კვლავ სახლისკენ მივდივართ. მე კვლავაც ჩემი სახლისკენ მიმავალ გზას ვადგავარ. სამყაროვ, ჩვენ შენ გვიყვარდი, თუმცა საზარელი რამ დაგვმართე. შენ ჩვენ...


ოდესმე მდგარხართ ტაიმ სკვერზე და უეცრად გიგრძნიათ, ძალიან ახლოს და ძლიერად, არყის ხის ქერქის ცინცხალი სუნი?

ჩემმა ძმამ თქვა, რომ პაციფისტია, რომ სძულს ომი, და ისიც ჯარში გაიწვიეს. ევროპაში წაიყვანეს და დაუბრუნეს ომის მოგონებებს. მანაც დაიწყო ხეებიდან ფოთლების ჭამა, ეგონათ, გაგიჟდა, ამიტომ შტატებში გაგზავნეს. დედა კი ელოდა, ელოდა... 25 წელი.

და იქვე იყო ბიძაჩენი, რომელმაც ოდესღაც გვითხრა, დასავლეთში წავსულიყავით - "წადით, ბავშვებო, დასავლეთში და სამყარო ნახეთ" - და ჩვენც წავედით, ისევ მივდივართ. კენკრა, მუდამ კენკრა. სიფის, კენკრა... ბიძაჩენი რეფორმირებული პროტესტანტი იყო. მღვდელი და ძალიან ბრძენი კაცი, რომელიც შპენგლერთან მეგობრობდა, მისი წიგნები ჰქონდა, შესაძლოა, ამიტომაც გვითხრა, დასავლეთში წავსულიყავით.

სახლში, სხვენში, რომელშიც სტუდენტობისას ვცხოვრობდი, თოკი მქონდა ჩამოკიდებული, რომ ჩამოვმძვრალიყავი, იმ შემთხვევაში თუ გერმანელები კარზე დააკაკუნებდნენ.

თანდათან, რაც უფრო ვუახლოვდებოდი ნაცნობ ადგილებს, უკეთ ვცნობდით კიდევ. უეცრად, ჩვენ წინ დავინახეთ ტყე. ამ ადგილს ვერ ვცნობდი,



როცა ნავედით, ხეები არ იყო. გარშემო პატარა ნერგები დავრგეთ, დიახ, ახლა პატარა ნერგები გაიზარდნენ და დიდ, უზარმაზარ ხეებად იქცნენ. ჩვენი სახლი კვლავ იქ იყო, კატა შეგვეჩვენა. რა უნდა გააკეთო, როცა სახლს 25 წლის შემდეგ უბრუნდები? რა თქმა უნდა, ჭასთან მივედით წყლის დასალევად. ამ წყლის გემო არც ერთი სხვა წყლისას არ ჰგავს. ოჰ, სემენიშკიას ცივი წყალი! არსად, არცერთ ღვინოს არ აქვს მასზე უკეთესი გემო.

დღეს 7 აგვისტოა, ჩვენი პირველი დილა სემენიშკიაში, ვსაუზმობთ. დედა მეხსიერების დაქვეითებას უჩივის. კოვზს ვერ პოულობს. 10 კოვზი აქვს და დღეს დილით ვერცერთი ნახა. "სიბერის შესახებ მხოლოდ ის ვიცით"- ამბობს ის, "როცა ბერდები, კოვზებს ვერ პოულობ."

ძმა პეტრასი ჩამოდის. ხეებზე ვლაპარაკობთ, რამსიმალეები გახდნენ, როგორ გაიზარდნენ. გადავწყვიტეთ, მინდორში წავიდეთ, ვნახოთ როგორ მიდის საქმეები. მივდივართ და პეტრასი მიგვიძღვება, აღფრთოვანებულს სურს ყველაფერი გვაჩვენოს.

იქ, კომბაინის თავზე, ზის იონას რუპლენასი. მასთან ერთად სკოლაში დავდიოდი, მინდორში ძროხებს და ცხვრებს მწყემსავდა ხოლმე. ახლა კი ზის. რუპლენასი უზარმაზარია და მანქანაც უზარმაზარია, მინდვრები კი უსაზღვროდ ვრცელი.

ძმა კოსტასი კოლმეურნეობის შრომაზე მღერის, ყველანი ვუერთდებით. ოჰ, ეს პირადი დაპირისპირებები... რა თქმა უნდა, გინდა, სოციალური რეალობის შესახებ იცოდე. როგორ მიდის ცხოვრება იქ, საბჭოთა ლიტერატურაში? მაგრამ ამის შესახებ რა ვიცი? მე დევნილი ვარ, სახლისკენ მიმავალ გზაზე,

სახლის ძიებაში, წარსულის ფრაგმენტების გადახედვაში, წარსულის კვალის ამოცნობის მცდელობაში. სემენიშკიაში დრო შეყოვნებულია ჩემთვის... გაყინულია ჩემს დაბრუნებამდე. ახლა კი ნელა იწყებს ამოძრავებას. ახლა ყველანი პეტრასთან მივდივართ, ასე გრძელდება გვიან ღამემდე.

როცა გული ვიჯერეთ, ძმა პეტრასმა თივა ბელლიდან მოიტანა და იქვე დავიძინეთ. დილით ძმა პეტრასმა თივა ბელელში დააბრუნა, თითქოს იმალეობდა. თქვა: "არ უთხრათ ამერიკაში, რომ ბელელში გვიჩინავს." მისთვის ეს ძალიან სასაცილო იყო. იმ საღამოს, კოლმეურნეობის ერთობამ, რომელიც ექვს ან შვიდ, ათიოდე მოქმედ სოფელს მოიცავს, ჩვენ მიგვიღო...

დედაჩვენი ომის შემდგომ შემზარავ წლებზე ყვება, როგორ ელოდებოდა პოლიცია სახლში ჩემს დაბრუნებას. ეგონათ, პარტიზანებს შევუერთდი. ყოველ ღამე პოლიცია სახლის უკან იცდიდა ბუჩქებში, სახლში ჩემ მოსვლას ელოდა და ძალიან ყეფდა და ყეფდა. მე ახალგაზრდა, გულუბრყვილო და პატრიოტი ვიყავი, მინისტრებს გაზეთების რედაქტორი. ნაცისტებს, ნაცისტურ გერმანიას ვუპირისპირდებოდი და მქონდა საბეჭდი მანქანა, რომელსაც ხის გროვაში, გარეთ, სახლის მახლობლად ვმალავდი.

ერთ ღამესაც, ქურდმა, რომელიც რალაციისთვის შემოიპარა, საბეჭდ მანქანას მიაგნო და წაიღო. დღეების ან საათების საკითხი იყო, გერმანელები როდის დაიჭერდნენ. გაუჩინარებისთვის ძალიან ცოტა დრო მრჩებოდა და ამ მომენტში, ჩვენმა ძალიან ბრძენმა ბიძამ გვითხრა: "ბავშვებო, დასავლეთში წადით, სამყარო ნახეთ" და "დაბრუნდით." ყალბი საბუთები



დაგვიზადეს ვენის უნივერსიტეტში წასასვლელად და სასწავლებლად. ნავედით კიდეც. მაგრამ ჩასვლით, ვერასდროს ჩავალწიეთ. გერმანელებმა მატარებელი ჰამბურგისკენ წაიყვანეს და ნაცისტურ გერმანიაში მონების შრომით ბანაკში აღმოვჩნდით.

ჩვენ ვერთობოდით, კოსტასი კი შინ ადრე დაბრუნდა თავისი ბელელიდან. სახლების გარშემო ვიარეთ, ხელი შევავლეთ ნივთებს, რომლებითაც ადრე ვმუშაობდით. რა თქმა უნდა, ისინი მინდვრებში სამუშაოდ აღარ გამოიყენება, მაგრამ მოგონებების მატარებელია ჩვენთვის. როცა ბალახს ვთიბავდით სახლების გარშემო, ყველაფერი მოგონებასავით ცხადი ჩანდა. ლობესთან, ხარახურაში ვიპოვეთ ძველი გუთანი, რომელსაც ახლა აღარც იყენებენ და ძმა კოსტასმა მითხრა: “კარგი, ახლა გამოქაჩე!” მითხრა: “ახლა გადაიღე ეს და ამერიკელებს აჩვენე რა უბედურად ვცხოვრობთ.” ცხადია, მისთვის ეს ძალიან სასაცილო იყო.

ძველი სკოლის შენობის სანახავად წასვლა გადავწყვიტეთ. ყველა ერთსა და იმავე სკოლაში დავდიოდით. ეს იყო გრძელი, ღრმა და ცივი ზამთრები, მინდვრების გავლით, გაყინული მდინარეების გავლით, ტყეების გავლით. სკოლაში მივდიოდით ჩვენი გაყინული ცხვირებით, სახეები გვეწვოდა ცივ ქარსა და თოვლში. მაგრამ ოჰ, რა ლამაზი დღეები იყო!

ეს იყო ზამთრები, რომლებსაც ვერასდროს დავივინყებ. სად ხართ ახლა, ჩემო ბავშვობის მეგობრებო? რამდენი თქვენგანია ცოცხალი? სად მიმოიფანტეთ? სასაფლაოების გავლით, სანამებელი ოთახების გავლით, ციხეების გავლით, დასავლური ცივილიზაციის შრომითი ბანაკების გავლით. მაგრამ მე ვხედავ თქვენს სახეებს, ისეთებს, როგორსაც ადრე ვხედავდი. ჩემს მეხსიერებაში არასდროს შეცვლილან. ისინი ახალგაზრდებად რჩებიან, ეს მე ვბერდები.

ეს ახალი სიმღერა მასზეა, ვინც შორსაა და ამბობს, “ოჰ, დედა, როგორ მინდა, ისევ ვნახო. იმედი მაქვს გრძელი, ნაცრისფერი გზა სახლში მიმიყვანს, მალე გამიძღვება, კვლავ შინისაკენ.” ამ დილით, ცეცხლი ნელა ღვივდებოდა. დედაჩვენი გარეთ ამზადებს საჭმელს, არ უყვარს სახლში მომზადება. ზედმეტად ცხელა და კვამლია. გარეთ მოსწონს. ამ დილით კი ცეცხლს გაღვივება არ უნდა. ამიტომ მშრალი ტოტები, ფოთლები და გაზეთები შეავაროვა. გამუდმებით სული ვუბერავდი, ისევ შევუბერე, ძალიან, ძალიან დიდი დრო დასჭირდა, მაგრამ, როგორც იქნა, დავანთეთ. დედამ თქვა, რომ ყოველ ღამე გველოდა, წელიწადზე მეტი. აბანოს უკან კი ძალი აგრძელებდა ყეფას, ყოველ ღამით.

ჩემი სოფლის ყველა ქალი, ვინც კი ბავშვობიდან მახსოვს, მუდამ ჩიტს მაგონებდა, შემოდგომის სევდიან ჩიტებს ჰგავდნენ, მინდვრებს რომ გადაუფრენენ და სევდიანად ტირიან. რთული და სევდიანი ცხოვრება გქონდათ, ჩემი ბავშვობის ქალებო. იმ დღეს როცა მივდიოდი, წვიმდა. აეროპორტი სველი იყო. მოწყენილობა იყო. მხიარულებაც იყო. ფეხებზე ვიყურებოდი. გამახსენდა ჩემი ძველი მეგობარი ნარბუტასი, რომელმაც თქვა, “სანამ კაცი ქალებს ფეხებზე უყურებს, ცოლი არ უნდა მოიყვანოს.” ამ დენდა, მგონი, მალე არ დაქორწინდები.

ელმსპორნში ადლოფასი ნევეს, ზუსტად იმ ადგილას, სადაც ჩვენი ლოგინები იდგა შრომით ბანაკში

ყოფნისას. როცა გარშემო ხალხს ვკითხეთ, აღარავის ახსოვდა თუკი აქ შრომითი ბანაკი იყო, მხოლოდ ბალახს ახსოვს. Gebruder Neunert, ერთ-ერთი ქარხანა, სადაც სამუშაოდ ფრანგ, რუს, იტალიელ ომის პატიმრებთან ერთად მივყავდით ხოლმე, კვლავ აქაა. ესაა სკამი, რომელზეც ვმუშაობდი, სადაც მცემდნენ ნელა მუშაობისა და შეპასუხებისთვის. ოსტატმა ადლოფასი იცნო. სხვადასხვა თემაზე ვისაუბრეთ. ახალგაზრდა იყო, კარგი ოსტატი.

1945 წლის მარტში გავიქეციეთ და დანიაში წავედით, თუმცა დანიის საზღვართან ახლოს დაგვიჭირეს, და სანამ უკან გადავყავდით, კიდეც ერთხელ შევძელით გაქცევა. ომის ბოლო სამი თვე მღვებვი-ჰოლმტაინში ვიმალეობდით, ფერმაში.

გარეთ, სანამ ჩემი ძმა იქაურობას ათვალეირებდა და იხსენებდა, გარშემო ბავშვები ირეოდნენ. ძალიან სასაცილოდ ეჩვენებოდათ ჩვენნაირი უცნაური ხალხის მოსვლა, რალაცის სანახავად დგომა, ყურება. მართლა ეცინებოდათ. უცხოტომელებს ვგავდით. ჰო, გაიქეციეთ, ბავშვებო, გაიქეციეთ. ერთხელ მეც გავზობდი აქედან, მაგრამ მე საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად გავზობდი. იმედი მაქვს, მაგ მიზნით გაქცევა არასდროს მოგიწევთ. გაიქეციეთ, ბავშვებო, გაიქეციეთ.

პეტერს ვუყურებდი და ჩემი თავი გამოვიჭირე, რომ მშურდა მისი. მისი მშვიდობის, მისი სიმშვიდის, უბრალოდ შეეძლო, ბუნებრივად ყოფილიყო ნაცნობ გარემოში. იქ, სადაც ყოველთვის იყო, თავის სახლში, სივრცესა და დროში, გონებაში, კულტურაში. ანტი ნიუ-იორკსა და ვენაში ერთნაირი ოპტიმიზმითა და შემართებით დადის. მე მას ვაღმერთებ, ვაღმერთებ ანეტს იმისთვის, რომ კულტურას თავის ფესვებზე ამყნობს, თავის ცხოვრებაზე. ეს კი ჰერმან ნიტჩია, რომელიც თავის მრწამსს ისე მისდევს, რომ ერთ ნაბიჯს არ თმობს, თანაც გამირულად. და კენ ჯეიკობსი, ვისაც ჰყოფნის სიმამაცე, ბავშვად დარჩეს ხედვის სინამდინითა და ექსტაზურობით.

არა, ვენაში ამ დროს არასდროს ჩამოვსულვარ, მაგრამ უცნაურმა გარემოებებმა მიბიძგა უკან. ბევრად გვიან. და, აი, მეც აქ ვარ ახლა. ნელ-ნელა ვინყებ პეტერთან ერთად ვენაში სეირნობას, ჩვენ ვსაუბრობთ, გალერეებს ვსტუმრობთ, მონასტრებსა და დემელს, ლევის მარნებს, და ლევის კორომებს, და ისევ მჯერა ადამიანური სულის ურღვეობის, გარკვეული თვისებებისა და სტანდარტების, რომლებიც ადამიანმა დაამკვიდრა მრავალი ათასი წლის მანძილზე. ეს ყველაფერი კვლავ დარჩება, როცა ჩვენ აქ აღარ ვიქნებით.

ავგისტოს სალამოს რამდენიმე მეგობარი კრემ-სმინსტერში ვიდექით, 1200 წლის მონასტრის სახურავზე. სალამო ახლოვდებოდა, მზე ჩადიოდა. ცისფერი სინათლე ეცემოდა გარემოს. საოცარი სიმშვიდე სუფევდა, რომელიც ჩვენს გულებსა და გონებას ალაფრთოვანებდა. შინ დაბრუნებისას, ვენაში, შორიდან, ცეცხლი დავინახეთ. ვენა ინვოდა. ხილის მარკეტი ინვოდა. პეტერმა თქვა, რომ სამწუხაროდ ეს მისი მარკეტი იყო. მისი თქმით, ყველაზე ლამაზი მარკეტი მთელ ვენაში. მისი თქმით, სავარაუდოდ, ქალაქმა თავად დანვა მარკეტი. უბრალოდ თავიდან მოსაშორებლად. მათ ახლა თანამედროვე მარკეტი სურდათ.





დავით გაბუნია

ვისწავლოთ მეგრული და სვანური (ოქტონდ - მართლა)

ბოლო ორ წელიწადში გამომცემლობა "არტანუჯმა" ორი ფრიად უჩვეულო წიგნი გამოსცა - 2021 წლის დასაწყისში ნათია ფონიავას "ვისწავლოთ მეგრული. მეგრული ენის თვითმასწავლებელი" და 2022 წლის ბოლოს - მედეა საღლიანის "ვისწავლოთ სვანური. სვანური ენის თვითმასწავლებელი". ორივე მოვლენა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, არავის გაკვირვებია, საზოგადოების ცხოველი ინტერესი რომ დაიმსახურა.

აქვე მცირედ დავაზუსტებ ამ წერილის ფორმატს: არ გახლავართ ლინგვისტი, ვარ მეგრული, ცუდად ვიცი მეგრული და საერთოდ არ ვიცი სვანური; ორივე წიგნი ვიყიდე და შევეცადე, საკუთარ თავზე გამომეცადა, აბა, რამდენად შეესაბამება იმ დიდ და კეთილშობილურ ამოცანას - მსურველებმა ამ წიგნების საშუალებით დამოუკიდებლად შეისწავლონ მეგრული და სვანური - რაც ამ ორი საფრთხეში მყოფი ენის გადარჩენას დიდად წაადგებოდა; აქვე დავამატებ, რომ ლინგვისტი არ ვარ, მაგრამ ინგლისური ენის დიპლომირებული მასწავლებელი ნამდვილად ვარ და ენის სწავლების მეთოდიკაში ცოტაზე მეტი გამეგება.

პირველ რიგში, დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ ბატონ ბუბა კუდავას, რომელიც, როგორც წიგნის გამოსასვლელ ცნობებში წერია, პროექტის ავტორი ყოფილა (ზოგადად, "არტანუჯი" და მისი მოძმე გა-



მომცემლობა "ინტელექტი" ზრუნავენ იმაზე, რომ თითქმის ყველა წიგნისა თუ სერიის გამოცემის იდენის თუ პროექტის ავტორის ღვაწლი ამგვარად დაფასდეს). "მეგრულის" წინასიტყვაობაში სწორედ პროექტის ავტორი გვიხსნის, რა მიზანს ემსახურება ეს გამოცემა, რატომ არის აუცილებელი, ქართველური ენების გადარჩენა და რომ ეს დაუყოვნებლივ, ახლაც უნდა დაიწყოს კონკრეტული ქმედებებით. სამწუხაროა, რომ ქართული საზოგადოების ნაწილისთვის ეს მარტივზე მარტივი ამბავი ჯერ კიდევ ასახსნელია. ბატონი ბუბა ამ წინასიტყვაობაში წერს, რომ "ნავსი გატყდა" და მართლაც, ეს ორივე წიგნი ნამდვილად დიდი გარღვევაა ამ უმადურ, დაუფასებელ საქმეში.

თუმცა, რახან ამ ტიპის სახელმძღვანელოები მეგრულისა და სვანურისთვის პირველია, ეს არ ნიშნავს, რომ მათი კრიტიკის უფლება არა გვაქვს. ვეცდები, ძალიან მოკლედ მიმოვიხილო ორივე წიგნი და სწორედ მეთოდური ღირსებები და ნაკლოვანებები აღვნიშნო.

ჯერ მეგრულისა ვთქვათ: სამწუხაროდ, ამ წიგნით მეგრულის სწავლა გაგიჭირდებათ, მით უფრო, თუ საერთოდ არ იცით ეს ენა. მეგრულის შესახებ ბევრს გაიგებთ, გრამატიკის თავისებურებებსაც ზე-

დაპირუღად გაეცნობით, მაგრამ ენის სწავლისთვის (თუნდაც მინიმალურ საკომუნიკაციო დონეზე), თვითმასწავლებლად ეს ნიგნი ალბათ არ გამოგადგებათ. ნიგნს თან ერთვის აუდიოვერსია, რომელიც აუცილებლად დაგჭირდებათ (ნიგნის ავტორის ლირიკული სოპრანო და გივი ქარჩავას ხავერდოვანი ბარიტონი კარგი მოსასმენია მეგრულად, კომპლიმენტები მათ). კომპაქტდისკს თუ დაკარგავთ, აუდიოჩანაწერები საზოგადოებრივი მაუწყებლის საიტზე შეგიძლიათ მოძებნოთ: www.itv.ge ოლონდ, ჩემსავით ბევრი რომ არ იბოდილაოთ, ძებნის ველში "მეგრულის გაკვეთილები" ჩანერეთ, თორემ სხვანაირად მიგნება გამორიცხებულია. დასაფასებელია ნათია ფონიავას მცდელობა, შეძლებისდაგვარად მარტივად გადმოსცეს მეგრული ენის რთული გრამატიკის საფუძვლები, მაგრამ "თვითმასწავლებლის" ძირითადი ნაწილი სავარჯიშოებით უნდა იყოს აგებული, ახსნილი მასალის სხვადასხვაგვარ განმტკიცებას უნდა ეთმობოდეს, თორემ, ცხადია, თითო გაკვეთილში თითო პანია სავარჯიშოთი არაფრის სწავლა რომ არ გამოვა, არ ჭირდება ამ დასკვნას ენის პედაგოგის დიპლომი. სანყის გაკვეთილებში საილუსტრაციოდ მარტივი დიალოგებია თანდართული, შემდეგ კი ეს საკითხავი მასალა თანდათან რთულდება, მე ვიტყვოდი, არაადეკვატურად. მესმის ავტორის სურვილის, მას ალბათ მეგრული ენის მთელი სიმდიდრის და მშვენიერების ჩვენება სურდა ამ ტექსტებით, თუმცა ასეთი რთული ტექსტები მეთოდურად არაფრით არ მართლდება, მეგრულის არმცოდნე პოტენციური შემსწავლელი მათ ვერ გაიგებს, რაოდენ გულმოდგინედაც არ უნდა წაიკითხოს და გადაიკითხოს ნინა გაკვეთილებში ახსნილი თეორიული მასალა.

რაც შეეხება სვანური ენის თვითმასწავლებელს - აქ საქმე კიდევ უფრო რთულადაა (ან იქნებ, მე მომეჩვენა უფრო რთულად, რადგან მეგრული ცოტა მაინც ვიცი და სვანური - საერთოდ არა). დავინყოთ იმით, რომ ნიგნს თან არ ახლავს აუდიომასალა - ურომლისოდაც მისი გამოყენება სრულიად წარმოუდგენელია. ჩემდა სამარცხვინოდ, ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს სვანური ენის ჟღერადობაზე. გადაშლით პირველსავე გვერდებზე და ანბანთრიგშივე შეამჩნევთ, რომ სვანურ ენას ფრიად თავისებური ფონეტიკა აქვს, მის რამდენიმე დიალექტში ქართულისგან ძალიან განსხვავებული ხმოვნებია. როცა ამ წერილს ვწერდი (2023 წლის 16 იანვარს) აუდიოჩანაწერები ჯერ კიდევ არ იდო საზოგადოებრივი მაუწყებლის საიტზე. დაველოდებით და ხელახლა შევუდგებით სახელმძღვანელოში გარკვევას და ამ რთული და საინტერესო ენის შესწავლას. თუმცა, რა პრეტენზიებიც მეგრულის სახელმძღვანელოსთან გვექონდა, აქ კიდევ უფრო მძაფრდება. საქმე ისაა, რომ ნიგნი გაცილებით მეტად თეორიულია, ძალიან ჩაკირკიტებით ეძიება გრამატიკას, გამუდმებით გვიხსნის დიალექტებში არსებულ ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებულ ფორმებსა და ფორმანარმოებას, რაც ლინგვისტიკაში გაურკვეველი ადამიანისთვის სრულიად შეუღწეველი და აუღებელი სირთულე იქნება. ნათია ფონიავასგან განსხვავებით, მედეა სალიანი ნაკლებად ცდილობს, გაითვალისწინოს თვითმასწავლებლის სპეციფიკა - ეს ნიგნი

არაპროფესიონალმა, არალინგვისტმა ადამიანმა უნდა გამოიყენოს ენის დამოუკიდებლად შესასწავლად და იგი არ უნდა წარმოადგენდეს სვანური დიალექტების გრამატიკული წყობების შედარებით, სიღრმისეულ, სამეცნიერო ტერმინოლოგიით გადატვირთულ ანალიზს. სტრუქტურა ამ ნიგნშიც პრინციპულად იგივეა - თეორიულ მასალას ძალიან მცირე, მე ვიტყვოდი, მხოლოდ ფორმალურად ჩასმული, სავარჯიშო მოსდევს და მერე საკითხავი ტექსტები. თუმცა თეორიული ნაწილები იმდენად დომინანტურია, რომ ვექვობ, ანატიკისური თანხმობანთაგამყარი ხმოვნების, ხმოვანთა ბილაბიალური შემართვისა, მაგარი დამართვისა და მსგავსთა სიუხვის გამო ნიგნი კარგა ხნით (თუ სამუდამოდ არა) დააფრთხობს სვანურ ენაში გარკვევის მოსურნეებს (წარმოიდგინეთ, ინგლისური ენის თვითმასწავლებელში დეტალურად რომ იყოს ახსნილი, რა ისტორიულმა ფონეტიკურმა პროცესებმა განაპირობა ის, რომ ხმოვნები "უცნაურად" იკითხება თანამედროვე ინგლისურში... დამერწმუნეთ, არასოდეს აღარ მოგინდებათ ამ ენის შესწავლა, ისეთი რთული ამბავია). თავისთავად, არავინ უარყოფს, რომ აუცილებელია შესასწავლი ენის გრამატიკაში საფუძვლიანად გარკვევა და ყველა ნიუანსის ცოდნა, მაგრამ, ალბათ, ამხელა მოთხოვნები არ უნდა წაუყენოთ დამწყებს და რიგით დაბნეულ მკითხველს, რომელიც ენდო ნიგნის ყდაზე დატანილ სიტყვას: "თვითმასწავლებელი". არა, ძვირფასო მკითხველებო, ეს არ არის სვანური ენის თვითმასწავლებელი. თუ მეგრულის თვითმასწავლებელზე ვთქვით, რომ მისი დახმარებით ენის შესწავლა გაგიჭირდებათ, აქაც იმავეს ვიტყვით, ოლონდ, კიდევ უფრო კატეგორიულად: ამ ნიგნით სვანურს დამოუკიდებლად ნამდვილად ვერ ისწავლით.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ორი ენის სრულყოფილი თვითმასწავლებლის შექმნა, ალბათ, მრავალწლიან მეთოდოლოგიურ მუშაობას მოითხოვს და მასში, სულ მცირე, რამდენიმე მკვლევარი მაინც უნდა იყოს ჩართული - ლინგვისტური ცოდნისა და გამოცდილების მქონე ექსპერტების გარდა ასეთ სახელმძღვანელოებს პრაქტიკოსი პედაგოგები, მეთოდისტები, ფსიქოლოგები და გრაფიკული დიზაინერებიც კი ერთობლივად ადგენენ. ერთი სიტყვით, ინსტიტუტი უნდა მუშაობდეს და არა - ერთი ადამიანი, როგორი უნივერსალური და მონდომებულიც არ უნდა იყოს იგი. ზოგადად, ქართულის, როგორც უცხო ენის სახელმძღვანელოებს თუ გადახედავთ, აღმოაჩენთ, რომ იქაც ძალიან ბევრია გასაკეთებელი და დასახვეწი. და ამიტომაც, არაა გასაკვირი, სვანურის და მეგრულის თვითმასწავლებლები პირველსავე მცდელობაზე რომ არ გამოვიდა იდეალური.

მაგრამ სადღაც მაინც ხომ უნდა დაგვეწყო? ასე რომ, მიუხედავად ყველა ჩამოთვლილი ნაკლოვანებისა, ამ ორი ნიგნის ყიდვას და გადახედვას მაინც ვურჩევდი ყველას, ვისაც მეგრული და სვანური ენები აინტერესებს. არა უშავს, თუ ამ ჯერზე მათი სწავლა არ გამოგვივა, ოდნავ მაინც ხომ მივუახლოვდებით და ამ ენების "ეგზოტიკურ" ჟღერადობაზე კი არ გავგეცინება ქვეყნის ცენტრში შეყუჟულებს, არამედ სამ-ოთხ სიტყვას მაინც გავიგებთ. დანარჩენი მომავლისთვის გადავდოთ. ისევ.




თანაპედროვე

ქართული

პროზა

2 ტომად



ქალეგის კალვით ამ ანთოლოგიაში შესულ ტექსტებს, მიუხედავად მრავალფეროვნებისა, ერთი რამ აერთიანებს: ისინი ქალეგის გადმოსახედიდანაა დაწერილი. ქალეგს კი ჯერ ისევ ხვდებათ ხილული თუ უხილავი ბარიერები ლიტერატურაში. მუსტად ამ ბარიერების გამოა, რომ მათ ნაკლებად ვიცნობთ და ნაკლებად ვაღიარებთ. ცალკე ანთოლოგიები იმითომ იქმნება, რომ ქალეგები მეტად გამოჩნდნენ საერთო ლიტერატურულ სურათზე და მეტად ხილვადი და შესაგრძნობი გახადონ ყველაფერი ის, რაც დომინანტური თვალთახედვიდან არ ჩანს.



მზის იმპერია

მთაჩგმნელი: ზაზა ჭიდაძე

დიდ ინგლისელ მწერალს, ჯეიმს ბალარდს მსოფლიო იცნობს, როგორც არაერთი მნიშვნელოვანი რომანის ავტორს, თუმცა მან სახელი თავისი ავტობიოგრაფიული ნაწარმოებით, „მზის იმპერია“ გაითქვა. არსებობს წიგნის ეკრანიზაციაც, - ამავე სახელწოდების ფილმი, რომელიც 1987 წელს სტივენ სპილბერგმა გადაიღო. ქართულად უკვე თარგმნილია ბალარდის ორი ცნობილი რომანი, „ცათამბჯენი“ და „შეჯახება“.

ბარბაროსების მოლოდინში

მთაჩგმნელი: მეგი გაბისონია

ნობელის პრემიის ლაურეატ ჯ. მ. კუტზეუს „ბარბაროსების მოლოდინში“ გამომცემლობა „პინგვინის“ სერია „მეოცე საუკუნის საუკეთესო წიგნების“ ოცეულშია შეტანილი. 1982 წელს ნაწარმოები ნომინირებული იყო ფილიპ დიკის პრემიაზე, ხოლო ნობელის პრემიის კომიტეტის კომენტარი ამგვარი გახლდათ: „ჯოზეფ კონრადის საუკეთესო ტრადიციით შექმნილი პოლიტიკური ტრილერი, რომელშიც მიამიტი იდეალისტი ჯოჯოხეთის კარიბჭეს შეადებს“.

